ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 13 სექტემბერი 1997 №109 (474) ფასი 50 თეთრი




## ვლადიმერ გუცაევი და მისი გუნდი გასული კვირის უდავო გმირები არიან. დიდი საქმეა, რომ ახალგაზრდულმა ნაკრებმა თანატოლ იტალიელებს 2:0 მოუგო, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანია ის ვაჟკაცური და მართლაც პროფესიული თამაში, რომლითაც ყველანი გაგვახარეს!

# დავივიწყოთ იტალია!

რუსთავში ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის შემდეგ, დრო აღარ იყო, ყველას თბილისში მოეჩქარებოდა. თუმცა, ვლადიმერ გუცაევთან მოკლე ინტერვიუ მაინც შედგა — მთავარი კითხვა და მოკლე, მაგრამ ამომწურავი პასუხი. სათქმელი კი ბევრი დარჩა. ამიტომ ხელმეორედ შევხვდით მას და ყველაფერზე დაწვრილებით ვისაუბრეთ. მით უმეტეს, ათიოდ დღეში მოლდოვასთან სტუმრობა ელით გუცაევის ბიჭებს.

**— გულახდილად თქვით, ელოდით ასეთ შედეგს?**

— ადრე, იტალიელებთან მატჩამდეც გითხარით, მიჭირს საბოლოო შედეგზე რაიმე ვთქვა-მეთქი. მე შეგპირდით, ბიჭები თავს არ დაზოგავდნენ და ნაღდ, კაცურ ბრძოლას უჩვენებდნენ მაყურებლებს. ამაში დარწმუნებული ვიყავი. მე მწვრთნელი ვარ და თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობები სხვებზე უკეთ ვიცი. თანაც ვიცოდი, საუკეთესო შემადგენლობის 80 პროცენტიდან მოშიწევდა მათი შერჩევა, ვინც იტალიელებს დაუპირისპირდებოდა. ბრძოლას ველოდი და ვიბრძოლეთ კიდეც. რაც შეეხება შედეგს, რომ გითხრათ, დარწმუნებული ვიყავი, მოვიგებდით-მეთქი, არ ვიქნები მართალი. დასაწყისში ლუკარელის ჯარიმა გვარამაძეს რომ ვერ მოეგერიებინა, ღმერთმა იცის, რა ანგარიშით მორჩებოდა მატჩი. იტალიელებთან გამარჯვება ფეხბურთელების მონდომების შედეგია, მწვრთნელთა დავალება თითქმის ყოველმა მათგანმა ზუსტად შეასრულა.

იხილეთ მეორე გვერდი

# მოზირელი ქართველები კბილებს ილესავენ

ლევან ბერიშვილმა დაიწყო, კახა ესაიაშვილმა კი დაამთავრა გროდნოს „ნემანის“ 4:0 განადგურება. ეს მოკლედ გუშინდელ მატჩზე, რომელშიც უეფას თასზე თბილისის „დინამოს“ მეტოქემ მოზირის მპკც-მ იოლად გაიმარჯვა და ქართველებთან შეხვედრისთვის, სამშაბათს რომ უნდა გაიმართოს, ხასიათი გამოიკეთა. ახლა კი თანმიმდევრობით მივყვეთ.

წინა ტურში განცდილი სასტიკი მარცხის შემდეგ გუშინდლამდე მოზირელებს არ უთამაშიათ, თუმცა, გუნდის რამდენიმე წევრს სათამაშო პრაქტიკა არ მოჰკლებია — ოთხი კაცი ხომ ბელარუსის ახალგაზრდული ნაკრების წევრია და გასულ ერთ კვირაში ორ მატჩში მიიღეს მონაწილეობა — მეკარე ვლადიმერ გაევმა, ნახევარმცველმა დმიტრი დენისიუკმა და მცველმა სერგეი პოლიაკოვმა შოტლანდიელ თანატოლთა 3:0 დამარცხებაში შეიტანეს წვლილი, სამშაბათს კი ავსტრიელებთან ამ სამს მცველი ანდრეი ლუკაშევიჩი დაემატა, თუმცა თავი მხოლოდ იმით გამოიჩინა, რომ უხეშობისთვის 66-ე წუთზე გააძევეს. ბელარუსმა კოლეგებმა განსაკუთრებით გაევი აქეს — შოტლანდიაში უშეცდომოდ გაუმკლავდა იქაურთა დარტყმებსო.

მოზირელთა 20 წლის მეკარემ არც გუშინ გაახარა ვინმე, თუმცა, შემწუხებელიც ბევრი არ ჰყოლია. „ნემანი“ ბელარუსის ჩემპიონატის ბოლოდან მესამე ადგილზეა და მოზირელთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. მეტოქის დაბეჩავება ლევან ბერიშვილმა დაიწყო, როცა თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. ამას ცოტა ხანში მალეევმა დაუმატა და ტაიმიც 2:0 დამთავრდა. შესვენებაზე ბუბნოვმა მეორე გოლის ავტორი დენისიუკით შეცვალა და მალე ამანაც იხეირა, როცა შორიდან აუღებელი დაარტყა, ბოლოს კი კახა ესაიაშვილმა პირველმა მიუსწრო ვიქტორ კუკარის მარცხნიდან ჩაწოდებულს და ახლოდან შეაგდო. მოზირელები, ალბათ, კიდევ გაიტანდნენ, მაგრამ სტუმრებს ყელში ამოუვიდათ ბურთის კარიდან გამოტანა და ბინძური თამაში გააჩაღეს. ერთ მომენტში საქმე ხელჩართულ ბრძოლამდეც მივიდა, როცა გროდნოელთა მეკარე მოედნის ცენტრში გაჭარდა და კახა ესაიაშვილს დაარტყა, თუმცა, ამჯერად ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა...

დინამოელები მოზირს ორშაბათს ჩადიან, ყიფიანის თანაშემწე გია გეგუჩაძე კი უკვე მოზირშია და გუშინდელ მატჩს დაესწრო კიდეც. ასე რომ, ჩვენი ჩემპიონი სამშაბათის შეხვედრას ერთგვარი უპირატესობით დაიწყებს.



გუშინ საღორიაზე: სერგო კუტივაძე და სოსო ფრუიძე

# 30 წლის შემდეგ

სერგო კუტივაძე ქუთაისში არ დაბადებულა, თორემ ბავშვობაც აქ გაატარა, სიყმაწვილეც და ფეხბურთელადაც აქ ჩამოყალიბდა. იგი 18 წლისა ჩაირიცხა „ტორპედოში“ და ყოფილი საკავშირო უმაღლესი ლიგის ხუთ ჩემპიონატში იცავდა გუნდის ღირსებას. ქუთაისში ახლაც ძალიან ბევრი იხსენებს თმახუჭუჭა ნახევამცველის ლაღ, გონივრულ თამაშს, ეფექტურ გოლებს. „ტორპედოდან“ მოხვდა იგი საბჭოთა კავშირის ნაკრებში და მალე თბილისის „დინამოში“.

კარგი ფეხბურთელი იყო სერგო კუტივაძე. მწვრთნელადაც ნაყოფიერად უშრომია.

გუშინ კუტივაძე მშობლიურ გუნდში დაბრუნდა. 30 წლის შემდეგ. როგორც მასწავლებელი.

იცით, „ტორპედოს“ მესვეურთ ძლიერი გუნდის შექმნა სურთ. ამ იდეაზე მათ ვერც ჩემპიონატის პირველ ტურებში გუნდის უხეირო თამაშმა ათქმევინა უარი და რას ვერჩით ამ ხალხს? კუტივაძე თბილისიდან თავისი უმცროსი კოლეგის სოსო ფრუიძის დასახმარებლად იხმეს და ისიც დათანხმდა.

დილით კუტივაძემ საღორიაზე გუნდის საწვრთნელი ბაზა დაათვალიერა, ტორპედოელებს ახლა გაეცნო და ნახევარსაათიანი ვარჯიშიც ჩაატარა, უბურთოდ.

მწვრთნელის თქმით, იგი დროებით მოვიდა „ტორპედოში“. არადა, შორს რომ იყურება, ფაქტია. კუტივაძემ კლუბის პრეზიდენტს ბესო ჯიქიას სთხოვა, ეგებ სოჭში დიმიტრი კუდინოვი მოვძებნოთო, ჩემს ხელში გაზრდილია და ვიცი, გამოგვადგებაო. ამ საქმეს მოევლება თუ არა, დრო გვიჩვენებს. კუდინოვი ახლა „ჟემჩუჟინაში“ თამაშობს. აი, დათო ჯანაშიას და ზურაბ იონანიძის საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ისინი უკვე „ტორპედოში“ ვარჯიშობენ, „დილასთან“ ზეგინდელ მატჩში არა, და მის მომდევნო თამაშში, სამწლიანი პაუზის შემდეგ, კვლავ მშობლიური გუნდისთვის გაირჯებიან. სერგო კუტივაძემ „ტორპედო“ — „დინამოს“ ამასწინანდელი მატჩის ჩანაწერი ითხოვა. მოკლედ, მასწავლებელი საქმეს შეუდგა.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**



# ცივი წყალი ცეცხლოვან ესტონელებს

ბოლოხანს ქართველი კალათბურთელები უცხოელ მეტოქეებთან ჭიდილსა და ევროტურნირებს შეეჩვივნენ, მაგრამ დღემდე მათ შორის რუსთაველები არ იყვნენ. ბოლო საკალათბურთო ხეზონი კი რუსთავის „აზოტისთვის“ წარმატებული გამოდგა და გუნდმა კორაჩის თასის საგზურიც მოიპოვა. ეს რუსთაველთა ევროტურნირებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები იყო და ჭაშნიკად განგებამ ტალინის „ესტონიან ფაიერხი“ (ცეცხლოვანი ესტონელები) არგუნა.

მატჩამდე მეტოქეთა თაობაზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლებოდა, რომ გუნდები დაახლოებით თანაბარი ძალისანი იყვნენ. ორივე გუნდს გამორჩეული ვარსკვლავები, გუნდის საკეთებლის ნახევარს ყველა თამაშში თავის თავზე რომ იღებს, არ ჰყავდა. ერთი ეგ იყო, ესტონელებს ევროტურნირეზზე ასპარეზობის გამოცდილება ჰქონდათ, რუსთაველებს — არა. სამაგიეროდ, ტალინელებს არ ჰყავდათ ისეთი ამომავალი ვარსკვლავი, როგორიც რუსთაველი ვლადიმერ ბოიხაა.

იხილეთ მერვე გვერდი

**ფუძე**

ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მეშვიდე ტური. მონაკო — მარსელი 2:0, პსჟ — ბასტია 2:0, ნანტი — მონპელიე 1:1, ბორდო — ლეაერი 2:1, ლიონი — სტრასბური 3:1, მეცი — კანი 2:0, ტულუზი — ოსერი 2:1

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. არმინია — ჰანზა 0:1, ჰამბურგი — კიოლნი 2:1

ჰოლანდიის ჩემპიონატი. მეხუთე ტური. მაასტრიხტი — როდა 1:2. აიაქსი — გრონინგენი 4:1

# დავივიწყოთ იტალია!



დასაწყისი პირველ გვერდზე

**— ზირაქიშვილმაც, რომელიც მე-20 წუთზევე შეცვალეთ?**

— მოვალეობა რომ ვერ შეასრულა, იმიტომ გამოვცვალეთ. თავიდანვე შევატყვე დაბნეული იყო. თუ კი ჩვენს კართან რაიმე ხიფათი იქმნებოდა, სწორედ მარჯვენა ფლანგიდან. ალბათ დამეთანხმებით, ქებაძე უკეთ რომ გამოიყურებოდა. ცვლილების შემდეგ ფლანგი საიმედოდ ჩაიკეტა.

**— გეთანხმებით, მაგრამ პირველ ტაიმში მოედნის ცენტრშიც იტალიელები ბატონობდნენ. მეორეში სულ სხვა სურათი იყო. ეტყობა, შესვენებაზე ყველაზე მეტი კიკნაძეს ელაპარაკეთ.**

— განსაკუთრებული არაფერი. უბრალოდ, დავამშვიდე და ყველას გასაგონად ვთქვი, ყველაფერი კარგად მიდის, ეგაა, ცოტა სისწრაფეს უნდა მოუმატოთ და თამამად იბრძოლოთ-მეთქი. მოედნის შუაში სტუმართა უპირატესობა მოსალოდნელი იყო, წინასწარ ვიცოდით, იტალიელები ორი საყრდენი ნახევარმცველით რომ ითამაშებდნენ. ჩვენ კი, ფაქტობრივად, ერთი ცენტრალური ნახევარმცველის ამარა ვიყავით, მუჯირი უფრო წინ იყო წაწეული, მას და ფოცხვერიას ევალებოდათ, მეტოქის შეტევისას ერთ-ერთ მათგანს უკან დაეხია. რა თქმა უნდა, მორიგეობით. რისკზე წავედით იმიტომ, რომ მუჯირსაც და ფოცხვერიასაც შეეძლოთ, თავდასხმაშიც სასარგებლოდ ეთამაშათ და უკანაც დროულად ჩამოსულიყვნენ. ასეც მოხდა. ახლა რომ ვუკვირდები, ასეთი ტაქტიკა გამართლებული იყო. ჩვენი კომბინაციები იტალიელებზე უფრო გააზრებული და ლამაზი გახლდათ.

**— მცველების თამაშს როგორ კომენტარს გაუკეთებთ? არც ისინი გამოიყურებოდნენ ურიგოდ.**

— მეკარეც და მცველებიც გონივრულად ირჯებოდნენ. თუნდაც იმიტომ, სტუმართა ყველაზე სახიფათო ფორვარდს, ლუკარელის გასაქანი რომ არ მისცეს. მან სამი გოლი არეცოში გაგვიტანა, სამიც მოლდოველებს შეუგდო. ამიტომაც იყო, სილაგაძეს ვუთხარი, ჩვენი კარის მახლობლად საითაც უნდა წასულიყო, ყველგან ლანდივით ადევნებოდა. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, როცა ლუკარელი სახიფათო ზონაში იმყოფებოდა და არა მთელ მოედანზე. იგივე დავალება ჰქონდათ ხუჯაძესა და დიდავას — მათ ფლანგზე რომელიმე იტალიელი თუ მოხვდებოდა, მათაც სილაგაძის დარად პერსონალურად უნდა ეთამაშათ. ცქიტიშვილს ჩვეულებრივ მათი დაზღვევა ევალებოდა. ვფიქრობ, მცველებმა უშეცდომოდ ითამაშეს. უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს.

**— თავდამსხმელებზეც ვთქვათ და იმ ინციდენტზეც, რის შემდეგაც ფოცხვერია მოედნიდან გააძევეს.**

— ჩვენს განკარგულებაში სამი კარგი ფორვარდი იყო. იაშვილი პირველ ნაკრებში მიიწვიეს და მხოლოდ აშვეთიას და ფოცხვერიას იმედად დავრჩით. გაზაფხულზე ევისგან ბევრი ინფორმაცია მქონდა აშვეთიას თაობაზე, ვიცოდი, კარგ ფორმაში იყო, თანაც ბოლო თამაშებში გოლებიც გაიტანა და გადავწყვიტე ფოცხვერიასთან ერთად შემეწყვილებინა. მართალია, მიშა „მახტიორში" რეგულარულად არ თამაშობს, მაგრამ ამ ბიჭის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვიყავი. ეჭვიც არ შემპარვია, რომ ფოცხვერია ნორმალურად ითამაშებდა. საქართველოს ნაკრებში პირველად ჩვენ მოვიწვიეთ და ბევრჯერ გამოუჩენია თავი. აშვეთიას ძირითადად წმინდა თავდამსხმელის ფუნქციები ჰქონდა, ხოლო ფოცხვერია, როგორც გითხარით, მუჯირს ენაცვლებოდა და უკანაც ხშირად უხდებოდა ჩამოსვლა. თამაშის წინ მიშას ვუთხარი, მთელი ძალით ითამაშე, პირველად გაქვს საშუალება, თბილისიდან მრავლად ჩამოსულ სპეციალისტებს თავი მოაწონო და ყველას დაუმტკიცო, ჩვეულებრივზე უკეთესი ფეხბურთელი რომ ხარ, თანაც ნუ დაგავიწყდება შენი ასაკი — მომავალ ციკლში ჩვენთან ერთად ველარ ითამაშებ. ამიტომაც ისე გააკეთე შენი საქმე, ეროვნულ ნაკრებში გამოძახება ხალხისთვის გასაკვირი აღარ იყოს-მეთქი. რაც შეეძლო იბრძოლა, მეტოქის მცველებს ბევრი პრობლემა შეუქმნა და იჩხუბა კიდეც. ამ საქციელს ვერ მოვუწონებ. თავი უნდა შეეკავებინა. თანაც შესვენებაზე ვთხოვე ერთი გაფრთხილება გაქვს, სტუმრებმა შეიძლება პროვოკაცია მოგიწყონ და არ აჰყვე, თორემ წითელი გარანტირებული გექნება, ყველაფერს მოერიდე, არანაირ ორთაბრძოლაში არ ჩაერთო-მეთქი. სამწუხაროდ, ასეც მოხდა. მიშას ნერვებმა უმტყუნა. რაც უნდა იყოს, მეტად დაძაბული, უკომპრომისო თამაში გამოვიარეთ. ფოცხვერიას ახლა უეჭველი დისკვალიფიკაცია ელის. დარჩენილ ორ თამაშში რომ ვერ გამოვიყენებთ, ცხადია, მაგრამ არა მგონია, მხოლოდ ორმატჩიანი სასჯელი აკმარონ და თავისთავად პირველ ნაკრებშიც ველარ გამოიძახებენ.

**— მარცხენა ნახევარმცველად მოულოდნელად ალექსიძე გაამწესეთ. სიურპრიზი მოუმზადეთ მეტოქეს? ამავდროულად საჯაია სკამზე დასვით.**

— როცა შემადგენლობას ვაყენებთ, ჩვენთვის მხოლოდ ერთი პრინციპია — ვინც მატჩის დღეს სხვებთან შედარებით უკეთ არის მომზადებული, ის ითამაშებს. ჩემთვის სულ ერთია, ვინ როგორ ითამაშა იტალიასთან არეცოში, თუნდაც ინგლისთან. კარგად ითამაშა? მადლობას გადავუხდი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მომავალ შეხვედრაში უეჭველად ძირითადში დავაყენებთ. ყოველი მატჩის წინა დღეებში ორმხრივი თამაში გვაქვს, ჰოდა, ვინც თავს გამოიჩენს, სწორედ მას ამოვარჩევ. საჯაიას ძირითადში არყოფნის მიზეზიც ამით აიხსნება. შეკრებაზე მთლად კარგად ვერ გამოიყურებოდა, ხოლო მუჯირი — პირიქით, ბოლო დროს აშკარად მოუმატა და საჯაიაზე უკეთ მომზადებული გახლდათ. რაც შეეხება ალექსიძეს, ამ ბიჭს დიდი ხანია, ვაკვირდები, ჯერ კიდევ როცა „დინამო-2"-ში თამაშობდა, შემდეგ „ჩელსიში" გადასულსაც ვაქცევდი ყურადღებას და ინგლისელებთან მატჩის წინ შეკრებაზეც მოვიწვიე. ამას წინათ რუსებთან ამხანაგური თამაშისას გამოვცადე და საიტალიოდ მოსამზადებლად დავუძახე. როცა შემადგენლობის შერჩევაზე მიდგა საქმე, მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე ორი კანდიდატი გვყავდა — მონასელიძე და ალექსიძე. რატი ვარჩიე, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, თამაში ტემპიანი, ხისტი, ძალისმიერი იქნებოდა. ასეთი ფეხბურთელი ალექსიძე უფროა, ვიდრე მონასელიძე. იგი შედარებით ტექნიკურია და ფიზიკურადაც არ იყო მზად იტალიელებთან ხაბრძოლველად.

**— გამარჯვებაში საბოლოოდ როდის დარწმუნდით?**

— მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე. მაშინ, როცა ტაქტიკური მოსაზრებით შეცვლაზე საჯაია შევიყვანე. ტემპის დაგდება აუცილებელი იყო, იტალიელები წაგებას უნდა შეგუებოდნენ. ბიჭებს ცოტა ამოსუნთქვის საშუალება მივეცი. ყველაფერი კარგად აეწყო და უკვე გამორიცხული გახლდათ, სტუმრებს თუნდაც ერთი გოლი გაექვითათ. ამ დროს, მგონი, ხალხიც დარწმუნდა, რომ აღარაფერი შეიცვლებოდა.

**— იტალიელებთან მატჩის შემდეგ თქვით, გამარჯვება უპირველესად სწორედ ბრძოლამ მოგვიტანა. რაც შეეხება ტაქტიკურ მხარეს, მეტოქემ ყველაფერი კარგად გააკეთა, ამ მხრივ თანაბარი თამაში იყოო. ახლაც ასე ფიქრობთ?**

— ვერც ახლა ვიტყვი, რომ იტალიელები ტაქტიკურად დავჯაბნეთ. ისინი ძალიან ჭკვიანურ, აზრიან ფეხბურთს თამაშობენ. ფეხბურთელებიც ისეთები ჰყავთ შერჩეული, ნებისმიერ პოზიციაზე რომ შეუძლიათ ნორმალური თამაში. ვფიქრობ, ამ შეხვედრისთვის ჩვენ უფრო სერიოზულად მოვემზადეთ. მეტოქეზე ბევრი ინფორმაცია გვქონდა. ვიცოდით, როგორი განლაგებით თამაშობდნენ. იმაზეც ვიფიქრეთ, მათი ორი საყრდენი ნახევარმცველისთვის რა მოგვეხერხებინა. ბოლოს რა გამოვიდა, თვითონ ნახეთ. მაშინაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ — ჩვენები ძალიან ნიჭიერები არიან. ამ მატჩისას კონკრეტულად რომელიმე ფეხბურთელის გამოყოფა თუ შეიძლებოდა, პირველ ყოვლისა, ამას ქართველი იმსახურებდა. რგოლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითოეული ჩვენი ფეხბურთელი მეტოქეზე მაღლა იდგა.

**— იტალიელებთან არ გისაუბრიათ?**

— მატჩის შემდეგ დრო აღარ ითმენდა, თბილისში მოვდიოდით. მეორე დღეს კი ერთ-ერთი მწვრთნელი და ნაკრების მენეჯერი ფედერაციაში მოვიდნენ. ვესაუბრე პანოვთან ერთად. აღტაცებულები ვართო, თქვეს და ყველა ფეხბურთელი ჩამოთვალეს, ვინც მოეწონათ. მთელი გუნდი გამოვიდა. მაშინ ვუთხარი, ენას რატომ იღლით, პირდაპირ გეთქვათ, რომ ყველა ფეხბურთელით მოიხიბლეთ-მეთქი. ნამდვილად მესიამოვნა, ჩვენი მუშაობა იტალიელებმაც რომ დააფასეს.

**— მთელი მატჩის განმავლობაში რეზო ძოძუაშვილი გვერდიდან არ მოგშორებიათ...**

— მე და რეზო დიდი ხნის მეგობრები ვართ. რუსთავშიც მეგობრულად მთხოვა, თუ შეიძლება, თამაშისას სათადარიგოთა სკამზე დავჯდებიო. ოფიციალურად ეს აკრძალულია, რადგან იგი პირველი ნაკრების მწვრთნელია და არა ახალგაზრდულის. დავთანხმდი, ოღონდ იმ პირობით, ხმას თუ არ ამოიღებდა. მართალია, მასთან ყოველთვის ვსაუბრობ ფეხბურთზე, ერთმანეთს აზრებს ვუზიარებთ, მაგრამ იტალიელებთან მატჩის დროს ერთმანეთისთვის სიტყვაც არ გვითქვამს. მან კარგად იცოდა, თამაშის დროს ყველაფერი მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია და მის საქმეში ჩარევა არავის შეუძლია. რჩევა რომ მოეცა, მაინც არ მოვუსმენდი. რა, როგორ და როდის უნდა გამეკეთებინა იმ მომენტში, ჩემზე უკეთ არავინ იცოდა. თამაშამდე ხუთი დღე ფეხბურთელებთან მე ვიმუშავე. თითოეული მათგანის სათამაშო მდგომარეობის შესახებ მე ვიცოდი და არა ძოძუაშვილმა. რეზო ახალგაზრდული ნაკრების დიდი გულშემატკივარია, სხვა არაფერი.

**— ათ დღეში სწორედ იმ მოლდოვასთანაა თამაში, რომელთანაც თქვენი ხელმძღვანელობით ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველ გამარჯვებას მიაღწია. თუ მეორე ადგილის დაკავება გვსურს, კიშინიოვში უნდა მოვიგოთ...**

— ვეცდებით, ბოლოდროინდელი წარმატებები მოლდოვაში არ გავაუფერულოთ. საამისოდ კარგად მომზადება გვმართებს. ვინც ფოთში ნახა მათი თამაში, დამეთანხმება, ხელწამოსაკრავი მეტოქე ნამდვილად არ არის. მათთან ძალიან გაგვიჭირდა ფოთში. მხოლოდ ერთბურთიანი სხვაობით დავამარცხეთ და მატჩის ბოლომდე კიდევ გაურკვეველი იყო, მოვიგებდით თუ არა. გარდა ამისა, პოლონელებს სტუმრად 3:1 სძლიეს და ინგლისში კინაღამ ფრე ითამაშეს. ერთადერთი გოლი მატჩის მიწურულს კუთხურიდან ჩაწოდებულს მოჰყვა. მოკლედ, ერთობ მძიმე, სერიოზული შეხვედრა გველის. თითოეულმა ფეხბურთელმა უნდა დაივიწყოს იტალიელებთან მოგება და სამოლდოვოდ გაემზადოს.

**— შემადგენლობა იგივე იქნება, რაც რუსთავში?**

— 19 სექტემბერს ყველა ფეხბურთელი გვყავს დაბარებული, ვინც საიტალიოდ ემზადებოდა, გარდა ფოცხვერიასი. ამათგან 16-ს შევარჩევთ და 22-ში კიშინიოვს გავფრინდებით. თუმცა, გამორიცხული არ არის, რამდენიმე ფეხბურთელი კიდევ დავიმატოთ. ამას ამ დღეებში დავაზუსტებთ.

**ძოზბა ინასარიძე**



საქართველო — იტალია: ნუ იქნება ოღონდ ბუნტი...



ფოცხვერია პისტონეს და გრანდონის ჰაერში ებრძოდა

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

**I ჯგუფი**

დანია 1:0 ხორვატია

ბოსნია 1:2 სლოვენია

**II ჯგუფი**

ინგლისი 1:0 მოლდოვა

საქართველო 2:0 იტალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 7 | 4 | 3 | 0 | 6:1 | 15 |
| იტალია | 7 | 3 | 2 | 2 | 17:5 | 11 |
| საქართველო | 6 | 2 | 2 | 2 | 5:9 | 8 |
| პოლონეთი | 6 | 0 | 5 | 1 | 6:8 | 5 |
| მოლდოვა | 6 | 1 | 0 | 5 | 3:14 | 3 |

**III ჯგუფი**

ნორვეგია 4:1 შვეიცარია

უნგრეთი 2:4 საფრანგეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 7 | 4 | 2 | 1 | 19:8 | 14 |
| საფრანგეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 11:5 | 14 |
| შვეიცარია | 7 | 2 | 2 | 3 | 13:17 | 8 |
| ფინეთი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:9 | 6 |
| უნგრეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 8:17 | 4 |

**IV ჯგუფი**

შვედეთი 5:0 ლატვია

ბელარუსი 1:1 ავსტრია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 9 | 8 | 0 | 1 | 25:6 | 24 |
| ბელარუსი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:5 | 20 |
| ავსტრია | 9 | 5 | 2 | 2 | 19:12 | 17 |
| შოტლანდია | 9 | 2 | 1 | 6 | 8:16 | 7 |
| ლატვია | 9 | 1 | 2 | 6 | 2:16 | 5 |
| ესტონეთი | 9 | 1 | 1 | 7 | 4:20 | 4 |

**V ჯგუფი**

ბულგარეთი 1:2 რუსეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:9 | 17 |
| რუსეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 24:5 | 16 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 14:9 | 12 |
| კვიპროსი | 7 | 2 | 1 | 4 | 11:15 | 7 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 3:31 | 0 |

**VI ჯგუფი**

სლოვაკეთი 0:1 იუგოსლავია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 7 | 6 | 1 | 0 | 14:3 | 19 |
| იუგოსლავია | 7 | 5 | 0 | 2 | 8:3 | 15 |
| სლოვაკეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:4 | 7 |
| ჩეხეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | 6 |
| მალტა | 6 | 0 | 0 | 6 | 0:18 | 0 |

**VII ჯგუფი**

სან მარინო 1:4 თურქეთი

**VIII ჯგუფი**

რუმინეთი 4:0 ისლანდია

ლიტვა 2:1 ირლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 7 | 7 | 0 | 0 | 16:4 | 21 |
| ისლანდია | 8 | 4 | 1 | 3 | 10:10 | 13 |
| ირლანდია | 7 | 3 | 0 | 4 | 11:5 | 9 |
| ლიტვა | 7 | 3 | 0 | 4 | 7:10 | 9 |
| მაკედონია | 7 | 0 | 1 | 6 | 1:16 | 1 |

**IX ჯგუფი**

გერმანია 7:0 სომხეთი


სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

# საქართველოს IX ჩემპიონატი
## II ჯგუფი, I წრის კალენდარი

### დასავლეთი

დინამო 2 (ბათუმი)
დინამო (გაგრა)
ეგრისი (სენაკი)
ენგური (განმუხური)
ოდიში 2 (ზუგდიდი)
ოქროს საწმისი (ქუთაისი)
სალხინო (მარტვილი)
სამგურალი 2 (წყალტუბო)
სულორი (ვანი)
ტორპედო 2 (ქუთაისი)
შუქურა (ქობულეთი)

**I ტური**

13 სექტემბერი, შაბათი
ეგრისი — ოქროს საწმისი
ბათუმი 2 — ენგური
სამგურალი 2 — გაგრა
ოდიში 2 — სულორი
ტორპედო 2 — შუქურა
სალხინო — ისვენებს

**II ტური**

22 სექტემბერი, ორშაბათი
სულორი — ტორპედო 2
გაგრა — ოდიში 2
ენგური — სამგურალი 2
ოქროს საწმისი — ბათუმი 2
სალხინო — ეგრისი
შუქურა — ისვენებს

**III ტური**

27 სექტემბერი, შაბათი
ბათუმი 2 — სალხინო
სამგურალი 2 — ოქროს საწმისი
ოდიში 2 — ენგური
ტორპედო 2 — გაგრა
შუქურა — სულორი
ეგრისი — ისვენებს

**IV ტური**

3 ოქტომბერი, პარასკევი
გაგრა — შუქურა
ენგური — ტორპედო 2
ოქროს საწმისი — ოდიში 2
სალხინო — სამგურალი 2
ეგრისი — ბათუმი 2
სულორი — ისვენებს

**V ტური**

8 ოქტომბერი, ოთხშაბათი
სამგურალი 2 — ეგრისი
ოდიში 2 — სალხინო
ტორპედო 2 — ოქროს საწმისი
შუქურა — ენგური
სულორი — გაგრა
ბათუმი 2 — ისვენებს

**VI ტური**

13 ოქტომბერი, ორშაბათი
ენგური — სულორი
ოქროს საწმისი — შუქურა
სალხინო — ტორპედო 2
ეგრისი — ოდიში 2
ბათუმი 2 — სამგურალი 2
გაგრა — ისვენებს

**VII ტური**

18 ოქტომბერი, შაბათი
ოდიში 2 — ბათუმი 2
ტორპედო 2 — ეგრისი
შუქურა — სალხინო
სულორი — ოქროს საწმისი
გაგრა — ენგური
სამგურალი 2 — ისვენებს

**VIII ტური**

25 ოქტომბერი, შაბათი
ოქროს საწმისი — გაგრა
სალხინო — სულორი
ეგრისი — შუქურა
ბათუმი 2 — ტორპედო 2
სამგურალი 2 — ოდიში 2
ენგური — ისვენებს

**IX ტური**

3 ნოემბერი, ორშაბათი
ტორპედო 2 — სამგურალი 2
შუქურა — ბათუმი 2
სულორი — ეგრისი
გაგრა — სალხინო
ენგური — ოქროს საწმისი
ოდიში 2 — ისვენებს

**X ტური**

9 ნოემბერი, კვირა
ბათუმი 2 — სულორი
სალხინო — ენგური
ეგრისი — გაგრა

10 ნოემბერი, ორშაბათი
ოდიში 2 — ტორპედო 2

11 ნოემბერი, სამშაბათი
სამგურალი 2 — შუქურა
ოქროს საწმისი — ისვენებს

**XI ტური**

15 ნოემბერი, შაბათი
შუქურა — ოდიში 2
სულორი — სამგურალი 2
გაგრა — ბათუმი 2
ენგური — ეგრისი
ოქროს საწმისი — სალხინო
ტორპედო 2 — ისვენებს

### ცენტრალური

თსუ არმაზი (თბილისი)
ვარძია (ასპინძა)
დინამო 2 (თბილისი)
35 სტუ (თბილისი)
მესხეთი (ახალციხე)
დილა 2 (გორი)
ბაია ქასქი ჯიქები (ბიჭვინთა)
მრეტები (თბილისი)
ქინერი (ქინვალი)
ლოკომოტივი 2 (თბილისი)

**I ტური**

13 სექტემბერი, შაბათი
თსუ არმაზი — ვარძია
დინამო 2 — 35 სტუ
მესხეთი — დილა 2
ბაია ქასქი ჯიქები — მრეტები

14 სექტემბერი, კვირა
ქინერი — ლოკომოტივი 2

**II ტური**

22 სექტემბერი, ორშაბათი
ვარძია — მრეტები
ლოკომოტივი 2 — ბაია ქასქი ჯიქები
დილა 2 — ქინერი
35 სტუ — მესხეთი
თსუ არმაზი — დინამო 2

**III ტური**

27 სექტემბერი, შაბათი
დინამო 2 — ვარძია
მესხეთი — თსუ არმაზი
ქინერი — 35 სტუ
ბაია ქასქი ჯიქები — დილა 2
მრეტები — ლოკომოტივი 2

**IV ტური**

3 ოქტომბერი, პარასკევი
ვარძია — ლოკომოტივი 2
დილა 2 — მრეტები
35 სტუ — ბაია ქასქი ჯიქები
თსუ არმაზი — ქინერი
დინამო 2 — მესხეთი

**V ტური**

13 ოქტომბერი, ორშაბათი
მესხეთი — ვარძია
ქინერი — დინამო 2
მრეტები — 35 სტუ
ლოკომოტივი 2 — დილა 2

14 ოქტომბერი, სამშაბათი
ბაია ქასქი ჯიქები — თსუ არმაზი

**VI ტური**

18 ოქტომბერი, შაბათი
ვარძია — დილა 2
თსუ არმაზი — მრეტები
დინამო 2 — ბაია ქასქი ჯიქები
მესხეთი — ქინერი

20 ოქტომბერი, ორშაბათი
35 სტუ — ლოკომოტივი 2

**VII ტური**

25 ოქტომბერი, შაბათი
ქინერი — ვარძია
მრეტები — დინამო 2
ლოკომოტივი 2 — თსუ არმაზი
დილა 2 — 35 სტუ

26 ოქტომბერი, კვირა
ბაია ქასქი ჯიქები — მესხეთი

**VIII ტური**

3 ნოემბერი, ორშაბათი
ვარძია — 35 სტუ
თსუ არმაზი — დილა 2
დინამო 2 — ლოკომოტივი 2
მესხეთი — მრეტები
ქინერი — ბაია ქასქი ჯიქები

**IX ტური**

9 ნოემბერი, კვირა
მრეტები — ქინერი
დილა 2 — დინამო 2
ბაია ქასქი ჯიქები — ვარძია
ლოკომოტივი 2 — მესხეთი

11 ნოემბერი, სამშაბათი
35 სტუ — თსუ არმაზი

### აღმოსავლეთი

ყვარელი (ყვარელი)
ალგეთი (მარნეული)
ალაზანი (გურჯაანი)
ჭაბუკიანი (ჭაბუკიანი)
სამგორი (გარდაბანი)
იბერია (თბილისი)
შირაქი (დედოფლისწყარო)
ხალიბი 97 (რუსთავი)
მარტყოფი (თელეთი)

**I ტური**

13 სექტემბერი, შაბათი
ყვარელი — ალგეთი
ალაზანი — ჭაბუკიანი
სამგორი — იბერია
შირაქი — ხალიბი 97
მარტყოფი — ისვენებს

**II ტური**

22 სექტემბერი, ორშაბათი
იბერია — შირაქი
ჭაბუკიანი — სამგორი
ალგეთი — ალაზანი
მარტყოფი — ყვარელი
ხალიბი 97 — ისვენებს

**III ტური**

27 სექტემბერი, შაბათი
ალაზანი — მარტყოფი
სამგორი — ალგეთი
შირაქი — ჭაბუკიანი
ხალიბი 97 — იბერია
ყვარელი — ისვენებს

**IV ტური**

3 ოქტომბერი, პარასკევი
ჭაბუკიანი — ხალიბი 97
ალგეთი — შირაქი
მარტყოფი — სამგორი
ყვარელი — ალაზანი
იბერია — ისვენებს

**V ტური**

13 ოქტომბერი, ორშაბათი
სამგორი — ყვარელი
შირაქი — მარტყოფი
ხალიბი 97 — ალგეთი
იბერია — ჭაბუკიანი
ალაზანი — ისვენებს

**VI ტური**

18 ოქტომბერი, შაბათი
ალგეთი — იბერია
მარტყოფი — ხალიბი 97
ყვარელი — შირაქი
ალაზანი — სამგორი
ჭაბუკიანი — ისვენებს

**VII ტური**

25 ოქტომბერი, შაბათი
შირაქი — ალაზანი
ხალიბი 97 — ყვარელი
იბერია — მარტყოფი
ჭაბუკიანი — ალგეთი
სამგორი — ისვენებს

**VIII ტური**

3 ნოემბერი, ორშაბათი
მარტყოფი — ჭაბუკიანი
ყვარელი — იბერია
ალაზანი — ხალიბი 97
სამგორი — შირაქი
ალგეთი — ისვენებს

**IX ტური**

9 ნოემბერი, კვირა
ხალიბი 97 — სამგორი
ჭაბუკიანი — ყვარელი
ალგეთი — მარტყოფი

10 ნოემბერი, ორშაბათი
იბერია — ალაზანი
შირაქი — ისვენებს

### ვინ სად თამაშობს

ბაია ქასქი ჯიქები — სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი
დინამო გაგრა — წყალტუბოს „26 მაისის" სტადიონი
დინამო 2 — „დინამოს" დიღმის საწვრთნელი ბაზა
თსუ-არმაზი — მცხეთის „არმაზის" სტადიონი
იბერია — სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი
ლოკომოტივი 2 — ვაკის „26 მაისის" სტადიონი
მარტყოფი — სოფელ თელეთის სპორტსკოლის სტადიონი
მრეტები — დიდუბის მაუდ-კამვოლის სტადიონი
სამგორი — ვარკეთილის სტადიონი
35 სტუ — დიდუბის მაუდ-კამვოლის სტადიონი

## მთავარია, საქართველომ გაიხაროსო

ქართველებს ევროპულ დონემდე მიახლოება ახლო მომავალში რომ არ გვიწერია, ამაზე საუბარი აღარც ღირს. ასეა ყველა სფეროში და, რა თქმა უნდა, ფეხბურთი გამონაკლისი ვერ იქნება. ჩვენში სტადიონზე უბილეთოდ შესვლა ტრადიციად იქცა. გავეშებული გულშემატკივრის შეკავება ვერაფრით ხერხდება, მაგრამ მეორე მხრივ, როგორი საქმეა, ფეხბურთის მოყვარულებს იტალიის, ინგლისის და სხვათა ცოცხლად ხილვა აუკრძალო. აქამდე ვერავითარმა კორდონმა ვერ მოახერხა აზობოქრებული ტალღის შეჩერება. კარები ჩაკეტეს და კინაღამ საშინელება დატრიალდა. მოკლედ, ან საქველმოქმედო მატჩები უნდა ატაროს ჩვენმა ნაკრებმა, ანაც ბილეთებს უნდა დაედოს ხალხისთვის ხელმისაწვდომი ფასი. სხვა გამოსავალი ახლანდელ ვითარებაში არ ჩანს.

რუსთავში, ახალგაზრდული ნაკრების თამაშზე, „ფოლადის" სტადიონის ტრიბუნები მაყურებელმა შეავსო. მოგეხსენებათ, „ფოლადი" 10 ათას კაცს იტევს, ბილეთი კი მხოლოდ 1800 გაყიდულა. ეროვნული გუნდის თამაშზე 60 ათასზე მეტი გულშემატკივარი მოვიდა. აქედან ბილეთიანი მხოლოდ 15 ათასი ყოფილა. ხალხმა თამაშის დაწყებამდე თხუთმეტი წუთით ადრე ყველა და ყველაფერი გადაჯეკა და ტრიბუნებზე მაინც შეაღწია.

ყოველივე ეს ხომ ნახა ფიფას მიერ გამოგზავნილმა დელეგატმა. საკითხავია, რა ამბავს წაიღებდა. ახლა ბევრი საგონებელშია ჩავარდნილი — დაგვაჯარიმებენ, გაგვაუბედურებენო, მაგრამ, ეტყობა, ეგ საქმე არც ისე საშიში ყოფილა. როცა ფედერაციის პრეზიდენტისთვის მოუხსენებიათ, უბილეთოები ვერ გავაჩერეთო, ფარსადანოვიჩის პასუხი ასეთი ყოფილა — ეგ პრობლემა კია, მაგრამ არაუშავს, მთავარია, საქართველომ ხომ გაიხარაო.

ამრიგად, გამოდის, რომ სანერვიულოც არა ყოფილა, მაგრამ ასე გაგრძელებაც არ შეიძლება — ამ ორომტრიალში თავს უბედურება არ დაგვატყდეს.

## შახტიორი ფოცხვერიას გაძევებამ გაახარა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემ გვითხრა, რომ გუშინ, 12 სექტემბერს, „შახტიორის" მთავარი მწვრთნელი ვალერი იარემჩენკო შეხმიანებია და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და დონეცკელთა თავდამსხმელის მიხეილ ფოცხვერიას თაობაზე უსაუბრიათ. იარემჩენკოს არ დაუმალავს, რომ იტალიელებთან ფოცხვერიას გაგდებამ მეტად გაახარა, — გაგვანდო ანდრიაძემ, — რადგანაც 18 სექტემბერს თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში „შახტიორი" ჩვენი „დინამოს" შარშანდელ მძლეველს პორტუგალიის „ბრავიშტას" ხვდება და მიშაც ძალიან სჭირდება. მოლდოველ ახალგაზრდებს ჩვენ 23 სექტემბერს ვხვდებით და მიშა, ისე როგორც სხვა მოთამაშეები, შეკრებაზე სწორედ 18 სექტემბერს უნდა გამოგვეძახა.

ანდრიაძემ დასძინა: „ფოცხვერია ბოლო შეხვედრებში „შახტიორის" შემადგენლობაში რომ არ თამაშობდა, ამის მიზეზად იარემჩენკომ პოლონეთის შეხვედრის შემდეგ ფეხის ტრავმის გამიზეზება დაასახელა. ამის გამო ჩვენებურს ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა და, ბუნებრივია, ვერც თამაშობდა. ახლა კი, რუსთავში თქვენც ნახეთ, როგორ ფორმაშია, მშვენივრად თამაშობს და იარემჩენკოს „ბოავიშტასთან" მისი იმედი აქვს. ძალიან გაუხარდა, როდესაც ვუთხარი, ფოცხვერია ჩინებულად გამოიყურებოდა-მეთქი. სხვათა შორის, თამაშის შემდეგ ფოცხვერიაზე იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუჩანო ნიცოლამაც მითხრა, ეს რა კარგი თავდამსხმელი გყოლიათო და დაინტერესდა, სად თამაშობს. რაც შეეხება მასსა და კოკოს შორის მომხდარ გაწევ-გამოწევას, ნიცოლამ ყველაფერში თავისიანი დაადანაშაულა. ახლა ფოცხვერიას მინიმუმ სამი თამაშით ელის დისკვალიფიკაცია, მაქსიმუმ — ხუთით. თუმცა იმედი მაქვს, ამდენი მატჩით არ დასჯიან, რადგანაც იტალიელებს უეფაში ხელს აფარებენ და თუ კოკოს მცირედით დააჯარიმებენ, წესით არც ფოცხვერიას უნდა დაატეხონ მეტი რისხვა".

## დინამომ გოგიჩას ხელი მოიგო

ლევერკუზენის „ბაიერთან" საპასუხო მატჩში კახა გოგიჩაიშვილმა არ ითამაშა. მიზეზი წლის დასაწყისში კვიპროსის პელ-თან გაფორმებული წინასწარ განზრახულობათა ოქმი იყო. უეფამ ამაში შეუსაბამობა დაინახა და საქმის გარკვევამდე დინამოელს დროებით აეკრძალა თამაში. ეს ფიფას გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა აუწყა თბილისელთა ხელმძღვანელობას. საქმის გარჩევა უეფას საკონფლიქტო კომისიაში 1 სექტემბერს გაიმართა, რაზეც „დინამოს" ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ გვიამბო:

— სხდომაზე ჩვენმა და კვიპროსელმა წარმომადგენლებმა საქმესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი წარმოადგინეს. ჩვენ თავიდანვე მიგვაჩნდა, რომ გოგიჩაიშვილი კვიპროსელებმა შეცდომაში შეიყვანეს და კონტრაქტი არასწორად გააფორმებინეს. კომისიის სხდომაზე ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა — გოგიჩაიშვილი „დინამოში" ირიცხება და ბელარუსში თამაშიც შეუძლია. რაც შეეხება მის მომავალს, იგი გაცილებით ძლიერ გუნდში ითამაშებს, ვიდრე აელია და ეს თავად კახასთვისაც უკეთესი იქნება. გოგიჩაიშვილით რამდენიმე სერიოზული გუნდი დაინტერესდა. წლის ბოლოს ბევრი რამ გადაწყდება.

## ხრუზბეშაც ალანიაში

საქართველოსა და იტალიის ნაკრებების შეხვედრას ვლადიკავკაზის „ალანიის" მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი და პრეზიდენტი ბათრაზ ბითაროვიც ესწრებოდნენ. გაზაევის თქმით, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება გერმანიის რეგიონალლიგის „ზალმრორიდან" წამოსული, თავის დროზე საქართველოს ნაკრებში ნათამაშევი გიორგი ლუდუშაურის გადაყვანის თაობაზე, ყველაფერი კი უახლოეს ხანებში გაირკვევა.

## კობიაშვილი გრასჰოპერისთვის არ ემეტებათ

წინა „სარბიელში" გაუწყეთ, რომ „ალახიაში" განათხოვრებული საქართველოს ნაკრებისა და „დინამოს" ფეხბურთელის — ლევან კობიაშვილის გადაბირება „გრასჰოპერს" სდომებია, რაც ციურიხელთა მენეჯერმა ილია კენციგმა გაგვანდო. თუმცა, როგორც თბილისელთა ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ გვითხრა, კობიაშვილით „გრასჰოპერზე" გაცილებით ძლიერი — საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ესპანეთის კლუბები არიან დაინტერესებულნი, ასე რომ, იგი ციურიხელთათვის არ გვემეტებაო. სავარაუდოა, რომ კობიაშვილი ახალი გუნდის (როგორც შოთაძემ ბრძანა, მეტად პრესტიჟულის) მაისურს ნოემბრის შემდეგ მოირგებს.

## რვიდან ექვსი

დღეს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მორიგი, VI ტური დაიწყება. ფოთის „კოლხეთი" თბილისს რომ ვერ ესტუმრება, ადრე გაუწყეთ — კოლხური გუნდი გარდაცვლილი პრეზიდენტის, ვალერი გეგიძის დაკრძალვას ვერ გამოკლდებოდა. ფეხბურთის ფედერაციამ „მორკინალი" — „კოლხეთი" 16 სექტემბრისთვის დანიშნა.

15 სექტემბერს გასამართი „დინამო" — „ოდიშიც" გადაიდო. თბილისელებს სამშაბათს ბელარუსის მპკც ელოდება და „დინამოც" მოზირს ორშაბათს ეწვევა. გადატანილი მატჩის ჩატარებას ფეხბურთის ფედერაცია 19 სექტემბრისთვის ვარაუდობს.

მოკლედ, ტურში გასამართი რვა მატჩიდან გულშემატკივრები ექვსის ხილვას უნდა დასჯერდნენ.

## სამშაბათს წილისყრაა

სამშაბათს, პირველ საათზე, ფეხბურთის ფედერაციაში ეროვნული თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის წილისყრა შედგება. აქამდე ფედერაციამ თასის გათამაშების ორი წინასწარი წრე უკვე მოაწყო. შესარჩევ ეტაპებში გამარჯვებული ერთი მატჩით გამოვლინდა. ამ ჯერზეც ასე იქნება. რაც შეეხება პირველჯგუფელებს, თასისთვის ბრძოლაში ისინი მხოლოდ მეთექვსმეტედფინალიდან ჩაერთვებიან.

გიო აჩვლედიანის

სვეტი

# FORZA, GEORGIA!

ალბათ, არავის გაუკვირდება — ეს ზღაპრული ოთხშაბათი იყო.

გამოსულა ხოლმე-მეთქი, ვწერდი წინა შაბათის სვეტში. გამოსულა ხოლმე-მეთქი და გამოვიდა.

რა სჯობია ამას? რა თქმა უნდა, არაფერი.

რამდენი ხანია არ ყოფილა ასე. რამდენი ხანია არავისთვის შეგვიშლია ხელი. რამდენი ხანია გაზეთებისთვის ცეცხლი არ წაგვიკიდებია თამაშის შემდეგ და რამდენი ხანია ასე არ გვიყვირია.

გოლი არ გასულა, მაგრამ თავდაცვა იყო თავგანწირული და თავდადებული. ვგრძნობდი, ვერ გავიტანდით, მაგრამ რომ არ გავუშვით, ეს ზღაპრული იყო. მე მგონია, რომ ეს დიდი გამარჯვება იყო — არაადამიანური ძალების ხარჯვით მოპოვებული.

გამოვიდა.

გვარიანად ჩავუფლავეთ საქმე დიდი საფეხბურთო ქვეყნის გუნდს. იტალიელთა კვალიფიკაცია, მათი ოსტატობა, ფეხბურთის ცოდნა მისაბაძია. ჩვენს ნაკრებს ერთადერთი შანსი უნდა ჰქონოდა — არ გაეშვა და ასეც მოხდა.

ეს ისტორიული ფრეა. პირველი ფრე, რაც საქართველოს გუნდი შესარჩევებს თამაშობს.

არა, არა, ეს საუცხოო იყო. ამგვარი მონდომება, ამგვარი ცდა საკუთარი ოსტატობის წარმოჩენისა ფეხბურთელთა მხრიდან ბოლოს როდის იყო, აღარც კი მახსოვს. და ეს მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები ტაქტიკურად დაუხვეწავი და შეუთამაშებელი გუნდია, რომელსაც არსენალში არანაირი საფეხბურთო ფანდი არა აქვს, გარდა მოთამაშეთა პირადი ფანდებისა.

მაგრამ მოთამაშეც არის და მოთამაშეც — ჯანი ჩვენს ბიჭებს აშკარად მეტი აქვთ, ვიდრე ჰქონდათ და ახლა მე არ მოვყვები, ვინ როგორ ითამაშა, ვის გამოცვლას მოითხოვდა ფანობა და ვის თამაშს, ვინ ივარგა და ვინ გაიბლანდა. გუნდმა თავი დადო. ზოგადად, არჩევანი სწორი იყო — იტალიელებს არ უყვართ, როცა კარში ჩაუდგებიან ხოლმე, მაგრამ არჩევანი მხოლოდ ზოგადად იყო სწორი. პირველ ტაიმში საქართველოს ნაკრებმა გვარიანი ჩხვლეტები გასწია. სხვა საკითხია, რომ მეორეში ველარ გასწვდა ამას, რაც ჩვენი ფიზიკური და ტაქტიკური ჩამორჩენის ბრალია. ჩვენს ტექნიკურ ილეთებში იყო ძალიან ბევრი წუნი, თუმცა იყო ლამაზი ფინტებიც. ფინტი, თავისთავად, დიდებული რამ არის, მაგრამ ფინტი არ არის ფერწერული ტილო, ფინტი — ერთი მონასმია და მას გაგრძელება უნდა.

კარგი ფორმა თითქმის ყველა ქართველმა აჩვენა. თავგანწირვა — ყველამ. ეს მგონი პირველად იყო, რომ ყველა ქართველი ერთმანეთს ეხმარებოდა. ეს გუნდური თავგანწირვა და ჯიგარი იყო.

და ამათ გვერდით იყო ქართველი ფანობა, რომელმაც იქომაგა ჯიგრიანად, ღირსეულად და როგორც იქნა, ნელ-ნელა და მძიმედ, მაგრამ მაინც შეუდგა ნამდვილი ქომაგობის გზას.

ჩვენს გუნდში იყო რამდენიმე ფეხბურთელი, რომელმაც პრაქტიკულად უშეცდომოდ და მაღალ დონეზე ითამაშა. გელა შეყილაძე და მურთაზ შელია ალბათ საუკეთესონი იყვნენ. და საერთოდ, ჩვენს მცველებს ხოტბა ეკუთვნით. ქება ეკუთვნით იმათაც, ვინც მცველებს ეხმარებოდა. და ცალ-ცალკე ყველა საქებარია. პუბლიკა ყაველას აკრიტიკებდა. მას მართლაც ბევრი წუნი ჰქონდა, ბევრი კარგად წამოწყებული ჩაშალა ამ უზუსტობებმა, მაგრამ ყაველა წამით არ გაჩერებულა — მან ძალიან ბევრი იმუშავა.

და კიდევ ერთი რამ: აჩი ნამდვილი აღმოჩენა იყო. ასეთი აჩი მე არ მინახავს. სამწუხაროა, რომ მეორე ტაიმს ბოლომდე ვერ გაწვდა და შეცვლა ითხოვა. მაგრამ ეს არაფერი — აჩი საუცხოო იყო. ერთხელ შოთამ თქვა, აჩის ყოველთვის ჩემზე უკეთესი მონაცემები ჰქონდა, უბრალოდ ბედმა უმუხთლაო. ძმამ ძმისა უკეთ იცის. აჩიმ კი მართლაც საუცხოოდ ითამაშა.

ნიკა ტოგონიძე პირველად იდგა ნაკრების კარში ოფიციალურ თამაშში. მას ნერვიულობა ეტყობოდა, მაგრამ გასაოცარი ჯიგრითა და მონდომებით ირჯებოდა. მთლად დახვეწილი არ იყო, მაგრამ ბურთს უხვდებოდა. და გვიხსნა კიდეც.

ეს ფრე სასახელო და დიადი იყო ჩვენი საფეხბურთო ფსიქოლოგიისთვის და წინსვლისთვის.

**FORZA, GEORGIA!**

გუცაევის მშვენიერი გუნდი კი, ნამდვილი, ჭკვიანი, მოხერხებული და ვაჟკაცური გუნდი, ცალკე სვეტის თემაა.

# ვისთვის შოკი, ვისთვის შვება

## იტალიური და ინგლისური პრესა თბილისის მატჩზე

თბილისში დაკარგულმა ორმა ქულამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრისთვის მებრძოლ იტალიას საქმე ძლიერ რომ გაუფუჭა, ამაზე არც ღირს საუბარი — ისედაც ყველამ იცის. ქართველებმა აპენინელებს კი წაუხდინეს ხასიათი, მაგრამ სამაგიეროდ, ინგლისელებს ერთიორად გამოუკეთეს გუნება.

აი, ჩეზარე მალდინის კი, რაც „სკუადრა ატურა" ჩაიბარა, ასეთი კრიტიკა თავს არ დასტეხია. თითქმის ყველა საქმეში ჩახედული იტალიელი ჩეზარეს დაცვისთვის ზედმეტი ყურადღების მიქცევის გამო აკრიტიკებს, უფროსი მალდინი კი თავისას მაინც არ იშლის. ისე, რაც იგი მწვრთნელია, იტალიას შესარჩევში გოლი რაა, ის არ გაუშვია: ზედიზედ ხუთი ბაჯო მოედანზე ადრე რატომ არ გამოიყვანეო, გუნდი კარგად თამაშობდა და დისონანსის შეტანა არ მინდოდაო, უპასუხა. მანვე განაცხადა, ამ ფრეთი ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოც ნაკრებია, ხომ ნახეთ, რამდენი კარგი მოთამაშე ჰყოლიათო.

„სკუადრა ატურას" ლიდერის, ჯანფრანკო ძოლას ღრმა რწმენით კი, მართალია, თბილისში მეტად მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგეს, მაგრამ 11 ოქტომბერს რომის ოლიმპიურ სტადიონზე ყველაფერი ისე მოხდება, როგორც მათ სურთ: „მაშინ, როცა უკანასკნელი შანსი აქვს, იტალია შეუჩერებელია. მერწმუნეთ, ინგლისს დავამარცხებთ და საფრანგეთის საგზურსაც მოვიპოვებთ".

# KETS BOYS LIFT GLENN

ქეცის (იგულისხმება ქეცბაია) ბიჭებმა გლენი აღაზევეს

ოფიციალური მატჩია, ანჯელო პერუცის კარის ბადეს მხოლოდ ქარი არხევს.

პრესა კი ჩეზარე მალდინის კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს:

იტალიის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა „გაძეტა დელო სპორტმა" პირველ გვერდზე დიდი შრიფტით დაწერა, პოლონეთსა და საქართველოში დაკარგულმა ქულებმა „უემბლიზე" ინგლისელთა ძლევას ფასი დაუკარგაო: „იტალიამ ჩეზარეს გამო ოთხი ქულა უაზროდ დაკარგა, ხოლო ინგლისმა მაქსიმუმი აიღო. ამით ჰოდლმა და მისმა ბიჭებმა სრულფასოვანი დაუსწრებელი რევანში აიღეს იტალიასთან, რომელიც სწორედ გადამწყვეტი მომენტის წინ ჩამოიტოვეს კიდეც". იქვე ეწერა — ჩეზარეს, ალბათ, დაავიწყდა, თბილისში ფრე წაგების ტოლფასი რომ იყოო.

რომში გამომავალმა „ლა რეპუბლიკამ" შედარებით დიპლომატიური ტონი ირჩია: მართალია, ორი ქულა დავკარგეთ, მაგრამ იტალია ჯერ არ დაღუპულა, შანსები კიდევ გვაქვს, ამიტომ წინასწარ მკერდზე მლოჯის ცემას ჯობს, 11 ოქტომბრისთვის რიგიანად მოვემზადოთო.

დედაქალაქელებისგან განსხვავებით ტურინის „ტუტოსპორტმა" არც აცია, არც აცხელა და ჩეზარე არაკომპეტენტურობაში დაადანაშაულა — ფეხბურთელობისას მცველი იყო და გასაგებია, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გაათმაგებით რომ ზრუნავდა, მაგრამ მწვრთნელი გახდა და გოლის შიში ვერც ახლა მოიშალაო. ამავე გაზეთის აზრით, ჩეზარემ ფეხბურთელები გაშვებული გოლის ისეთი სინდრომით დაავადმყოფა, პირველ წუთებზე გაშვების შემთხვევაში, ადვილი მოსალოდნელია, თამაში წავაგოთო.

სანამ პრესა მატჩის მეორე დღეს მალდინის კრიტიკას შეუდგებოდა, თბილისში მყოფმა იტალიელმა ჟურნალისტებმა ეს თამაშის დამთავრებისთანავე მოახერხეს. თბილისიდან იტალიაში პირდაპირ სატელევიზიო გადაცემაში საუბრისას მწვრთნელს რომ ჰკითხეს — ინძაგი და

სანამ იტალიაში თბილისურ სენსაციას მტკივნეულად განიცდიდნენ, ინგლისში ერთი ზარ-ზეიმი იყო. მოლდოვასთან მატჩი თბილისურზე ერთი საათით გვიან დაიწყო და აქედან ინფორმაციამიღებულმა ინგლისელებმა მეტოქეს ბდღვენა ადინეს, გახარებულმა გლენ ჰოდლმა კი აი, რა განაცხადა: „ადრე ვამბობდი, ქართველების დიდი იმედი მაქვს, იტალიას ქულებს დააკარგვინებენ-მეთქი. მაგრამ, მართალი გითხრათ, ამის მაინც ნაკლებად მჯეროდა. მოხდა ის, რასაც ყველა ჩვენგანი ისურვებდა და ნაკლებად ელოდა. ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება, თუ რაოდენ საჭირო და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ინგლისმა თბილისში".

ჰოდლის დარად გამოეხმაურა ინგლისური პრესა თბილისურ ფრეს.

„დეილი სტარი" წერს: „ქეცბაია სიტყვის კაცი ყოფილა — ნიუკასლელებს შეჰპირდა, იტალიელებს ქულებს დავაკარგვინებთო და დაპირება შეასრულა კიდეც". იმავე გაზეთმა გასულ ოთხშაბათს იტალიური ფეხბურთის წითელი ოთხშაბათი უწოდა და შემდეგ მხატვრულად თქვა: ქეცბაიას შინდისფერმა არმიამ ბობოლა იტალიელები ციდან მიწაზე დააბრუნაო.

**SCOTT COLEMAN**
**Georgia 0 Italy 0**

**WORLD CUP no-hopers Georgia did England proud as they held aristocrats Italy to a shock draw in Tbilisi last night.**

მსოფლიო თასიდან უიმედოდ მოტოვებულმა საქართველომ არისტოკრატ იტალიას გამაოგნებელი ფრე გაუგორა და ინგლისი გაათამამა.

**ლაშა გოდუაძე**



თავდადებამ მურთაზ შელიას ფრენა დაწყებინა

FRANCE 98

## შესარჩევი ტურნირი

## ევროპა

### I ჯგუფი

**დანია 3:1 ხორვატია**

**1:0 ბ. ლაუდრუპი (17), 2:0 მ. ლაუდრუპი (36), 3:0 მოლნარი (41), 3:1 შუკერი (44)**

მეტოქეები ევროპის ჩემპიონატზეც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ექს-იუგოსლაველებმა დანიას გადაუარეს. შუკერმა ხომ საერთოდ გაილაღა და შმაიხელს სულ თავზე უგდო ბურთები. დავორმა ოთხშაბათსაც შეაგდო, მაგრამ მანამდე დანიელებს უკვე სამი გოლი ჰქონდათ გატანილი. ძმებმა ლაუდრუპებმა ერთობ მოიწადინეს. ორივემ ლამაზად, ძლიერად და, რაც მთავარია, გუნდისთვის სასარგებლოდ ითამაშა. შესვენების შემდეგ, მიუხედავად ორბურთიანი უპირატესობისა, სკანდინაველებმა შეტევებს არ უკლეს, მაგრამ ისედაც დაძაბულ თამაშში წარმოქმნილმა უსიამოვნო სიტუაციამ ისინი აიძულა, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ეზრუნათ. საქმე შეეხება პერ ფრანდსენის გაძევებას. მან ალიოშა ასანოვიჩთან უხეშობის გამო მიიღო მეორე გაფრთხილება. კაცნაკლულ მეტოქეს ბლაჟევიჩის ბიჭებმა ყველა მხრიდან უტიეს, მაგრამ ბობან-შუკერ-ბოკშიჩის უძლიერეს სამეულს მასპინძლებმა გაუძლეს. თამაშის მიწურულს ხორვატმა გულშემატკივრებმა, წაგების სუნი რომ იგრძნეს, მინდორზე სანთებელების სროლა დაიწყეს, მატჩის შემდეგ კი არც მასპინძელ ფანებთან შეხლა-შემოხლას მოერიდნენ. დანიელმა პოლიციელებმა უწესრიგობა დროზე აღკვეთეს, რამდენიმე ფიცხი ხორვატი კი განყოფილებაში წააბრძანეს. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ხორვატთა მწვრთნელმა მეტოქეს კაცურად უთხრა, თამაში თქვენი იყო, მოგებასაც იმსახურებდითო. დანიელთა თავკაცმა ბო იოჰანსონმა კი თქვა, მეტად დაძაბული მატჩი მოვიგეთ, მაგრამ არანაკლებ პრინციპული შეხვედრა გველის საბერძნეთში. იქ მიმუშავია და მათი გულშემატკივრობის ამბავი, თანაც გადამწყვეტი მატჩის დროს, კარგად მომეხსენებაო.

**ბოსნია 1:0 სლოვენია**

**ბოსნია:** დედიჩი, საბიჩი, იასარევიჩი, კონჩიჩი, ვარესანოვიჩი, მუიჩინი (ბესირევიჩი 69), ხალილოვიჩი, სალიხამიჯიჩი, ბილიჩი, კოდრო (დემიროვიჩი 82), ბოლიჩი (დადიჩი 89)

**სლოვენია:** ბოშკოვიჩი, გალიჩი, კრიჟანი, მილანიჩი, ისტენიჩი, ჩეპი, ნოვაკი, სესლარი (ოსტერჩი 46), გაისერი, გლიჰა (გორშეკი 75), რუდონია

**1:0 ბოლიჩი (22)**

ამ არაფრისმომტან, უინტერესო შეხვედრას, სარაევოში რომ გაიმართა, 22 ათასი მაყურებელი დაესწრო. საათნახევრის მანძილზე მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ მათი უპირატესობა მოჩვენებითი იყო, რადგან სლოვენების თითქმის ყველა კონტრშეტევა დედიჩის კართან სახიფათო მომენტით სრულდებოდა. სამჯერ მეტად ხელსაყრელი მდგომარეობიდან ვერ ივარგა გლიჰამ, რომელმაც 1994 წელს მალტის ოთხთა ტურნირზე საქართველოს ნაკრებს ერთადერთი გადამწყვეტი გოლი გაუტანა. მას მიბაძეს ნოვაკმაც და გაისერმაც. აი, შოთა არველაძესთან თურქეთის ბომბარდირობისთვის პაექრობაში დამარცხებულმა ელვირ ბოლიჩმა კი პირველივე ხელსაყრელი მომენტი გოლად აქცია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 7 | 5 | 1 | 1 | 14:6 | 16 |
| საბერძნეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:4 | 13 |
| ხორვატია | 7 | 3 | 3 | 1 | 14:11 | 12 |
| ბოსნია | 8 | 3 | 0 | 5 | 9:14 | 9 |
| სლოვენია | 7 | 0 | 1 | 6 | 4:17 | 1 |

*დარჩენილი მატჩები. 11 ოქტომბერი: საბერძნეთი — დანია, სლოვენია — ხორვატია*

### II ჯგუფი

**ინგლისი 4:0 მოლდოვა**

**1:0 სქოულზი (28), 2:0 რაიტი (46), 3:0 გესქოინი (81), 4:0 რაიტი (90)**

ოთხშაბათს „უემბლიზე" ინგლისის ნაკრებს ახალი კაპიტანი გაუძღვა მოლდოველებთან სათამაშოდ. იგი დევიდ სიმენი იყო, რომელიც სტუმრებმა მთელი თამაშის მანძილზე მხოლოდ რამდენჯერმე შეაწუხეს.

თამაშის დაწყებამდე 15 წუთით ადრე „უემბლიზე" ელტონ ჯონის პრინცესა დაიანასადმი მიძღვნილი სიმღერა „სანთელი ქარში" აჟღერდა. ვითარება ისევ ინგლისელმა ფანებმა გამოაკეთეს და ომახიანად იწყეს ფეხბურთელთა გამხნევება. თამაშის დაწყებამდე კი მთელი სტადიონი წუთით კვლავ გაირინდა.

მატჩი ისე წარიმართა და ისე დასრულდა, როგორც მოსალოდნელი იყო. მასპინძლებმა [illegible] ითამაშეს და [illegible] გიც [illegible]. [illegible] იყო გესქოინი. მან ინგლისელთა [illegible] ხაზში [illegible] — გოლებს რაც შეეხება, სქოულზმა თანაკლუბელი ბექემის ჩაწოდების შემდეგ შეაგდო თავით, მეორე რაიტმა გაიტანა მეკარისგან ახლოს კუთხეში, მერე კი გაზას გარჯა დაუფასდა და გაცუდებული მომენტების შემდეგ თავადაც იხეირა, თან მას შემდეგ, რაც რამდენიმე მოლდოველი ჩამოიტოვა, ბოლოს კი კვლავ რაიტმა შეაგდო.

ამ გამარჯვებამ და იტალიელების თბილისში წაფორხილებამ ინგლისელები ჯგუფის ლიდერებად აქცია და ახლა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად მათ რომში ფრეც ჰყოფნით. ამაზე ჰოდლმა განაცხადა, ლიდერები კი ვართ, მაგრამ წინ რა თამაშიც გველის, კარგად ვიცით, ამიტომ იტალიაში ფრეს მისაღწევად სულაც არ ჩავდივართ, რევანში გვწყურიაო.

### III ჯგუფი

**ნორვეგია 5:0 შვეიცარია**

**ნორვეგია:** გროდასი, ჰალე (მაალანდი 83), ეგენი, ბერგი, ბიორნებიე, ჯ. ფლო (ოსტენსტადი 46), რუდი, სოლბაკენი, ტ. ფლო, რეკდალი, იაკობსენი (სტრანდლი 71)

**შვეიცარია:** ლემანი, ორელი (ზამბაზი 53), ვოლკერი, ვიჩოსი, ვოლფი, იაკინი, ფურნიე, ვიკი, კუნცი (სესა 59), სფორცა, შაპუიზა (ფოგელი 68)

**1:0 იაკობსენი (46), 2:0 სოლბაკენი (50), 3:0 ეგენი (65), 4:0 ოსტენსტადი (74), 5:0 ფლო (85)**

მასპინძლები ამ შეხვედრას მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურით შეხვდნენ და ამიტომაც იყო, პირველ ნახევარში თავი დიდად რომ არ მოუკლავთ. ეგ კი არა, შვეიცარიელებს ბედი რომ ჰქონოდათ, ორ მეტად ხელსაყრელ მომენტს არ გააფუჭებდნენ, მაგრამ... მე-15 წუთზე სებასტიან ფურნიე ჯასტინ ფლოს ეუხეშა, რისთვისაც გააძევეს. კაცნაკლულმა სტუმრებმა, რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის არანაირი შანსი არ გააჩნდათ, პირველ ტაიმში როგორღაც გაძლეს, მერე კი ლემანმა გოლები პანტა-პუნტით გაუშვა, თუმცა ხუთი გოლი დანარჩენი შვეიცარიელების სინდისზე უფროა. შესვენებიდან ხუთ წუთში მასპინძლები ორი ბურთით იგებდნენ, სოლბაკენის გოლი კი მისთვის ამ შესარჩევ ტურნირში მეოთხე გამოდგა, რითაც ჯგუფის ბომბარდირი გახდა. მერე მცველმა დან ეგენმა ნაკრებში პირველად იხარა. ათ-ათი წუთის ინტერვალით კი არც ოსტენსტადმა და ტორე ანდრე ფლომ დაიზარეს გოლის შეგდება. ნორვეგიელთა მწვრთნელმა ეგილ ოლსენმა, რომელსაც ამ შესარჩევი ტურნირის შემდეგ ნაკრებიდან წასვლა განუზრახავს, განაცხადა, სტუმრებს ორი შესაძლებლობა ჰქონდათ და რომ ევარგათ, საბოლოოდ გავიმარჯვებდით თუ არა, არ ვიციო. თავისი გუნდის წარმატება კი უფრო შვეიცარიელთა პირველი ტაიმის უილბლობას მიაწერა, ვიდრე თავისი ბიჭების ძალისხმევას.

**უნგრეთი 3:1 აზერბაიჯანი**

**უნგრეთი:** საფარი, მრაჩკო, ჰალმაი, კურეშტური, ეგრეში, ლიპჩეი, დომბი (ილეში 60), ურბანი, კოვაჩი (ოროში 59), ნილაში (ფარკაშაზი 83), კლაუში

**აზერბაიჯანი:** ჟიდკოვი, აგაევი (ქარიმოვი 34), გაისუმოვი, ჯაბაროვი, ლიტიოხინი, აბუსოვი, გულიევი, რზაევი (მუსეინოვი 61), გურბანოვი, სულეიმანოვი (მუსაევი 78), სირკსაევი

**1:0 კლაუში (8), 2:0 ჰალმაი (44), 2:1 ლიტიოხინი (71), 3:1 ილეში (89)**

ერთ დროს მსოფლიოს უძლიერეს გუნდს, რომელსაც ახლა აზერბაიჯანთან და სხვა ამგვარ გუნდებთან მოგება ახარებს, სამი ქულის მოსაპოვებლად დიდი ჯაფა დაადგა. პირველი გოლი კლაუშმა კი გაიტანა, მაგრამ უფრო სამართლიანი იქნებოდა, კოვაჩს რომ შეეგდო: მისი შორეული და მეტად ლამაზი დარტყმა ძელს მოხვდა, ასხლეტილს კი აზერბაიჯანელმა მცველებმა ვერ მიუსწრეს და ლასლოს კლაუშსაც დიდად არ გასჭირვებია დამატება. ამის მერე მასპინძლებმა ჟიდკოვის კარზე მძლავრი იერიში მიიტანეს, მაგრამ ისეთ მომენტებში ცდებოდნენ, გასაკვირი იყო. მოკლედ, პირველი ტაიმი უნგრელებს მინიმუმ ოთხი ბურთით უნდა მოეგოთ, მაგრამ... შესვენება აზერბაიჯანელებმა უფრო ნაყოფიერად გამოიყენეს და სულმოთქმულები ეკვეთნენ უნგრელებს, რომლებიც სტუმართა შეტევამ დააბნია და კინაღამ ანგარიში საყაიმო გახდა. ლიტიოხინმა ერთადერთი გოლი მაშინ შეაგდო, როცა ორ მცველს გასცდა, მერე კი მასპინძლებმა მესამეც გაიტანეს — ილეშმა მეკარეს მარცხენა ხელის ქვეშ გაუძვრინა ბურთი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 8 | 6 | 2 | 0 | 21:2 | 20 |
| უნგრეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:7 | 11 |
| ფინეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:11 | 10 |
| შვეიცარია | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | 7 |
| აზერბაიჯანი | 7 | 1 | 0 | 6 | 3:17 | 3 |

*დარჩენილი მატჩები. 11 ოქტომბერი: ფინეთი — უნგრეთი, შვეიცარია — აზერბაიჯანი*

## IV ჯგუფი

### ბელარუსი 0:1 ავსტრია

**ბელარუსი: საცუნკევიჩი, გერაშჩენკო, შტანიუკი, ოსტროვსკი, დოვნარი (ორლოვსკი 76), მახლიჩი (გერასიმეცი 55), კულჩი, გურენკო, ბელკევიჩი, კაჩურო, რომაშჩენკო**

**ავსტრია: ვოლფარტი, ჩერნი, შიოტელი, კოგლერი, ფაიერზინგერი, მეპლიხი, ვასტიჩი (შტიოგერი 46), ჰფაიფენბერგერი, პოლსტერი, ჰერცოგი (ჰიუტერი 71), ჰრილასნიგი**

**0:1 ჰფაიფენბერგერი (50)**

მინსკში გამართულ ამ შეხვედრას დაახლოებით ხუთი ათასი გულშემატკივარი დაესწრო, მაგრამ ათჯერ მეტიც რომ ყოფილიყო, მაინც ვერაფრით დაეხმარებოდნენ თავიანთ ნაკრებს, რადგან ავსტრიის უპირატესობა აშკარა იყო. მასპინძლებს ძირითადად თავის დაცვა უხდებოდათ, ამიტომაც იყო, საცუნკევიჩმა ბლომად ოფლი რომ ღვარა, თუმცა ერთი გოლი გაუშვა: „ვერდერის“ ნახევარმცველმა ჰაიმო ჰფაიფენბერგერმა ათი მეტრიდან მასპინძელთა კარის ბადე თაურით შეარხია.

### შვედეთი 1:0 ლატვია

**შვედეთი: რაველი, სუნდგრენი, პ. ანდერსონი, ბიორკლუნდი, კამარკი, ალექსანდერსონი, ზეტერბერგი, მილდი (ბლომკვისტი 75), ტერნი, დალინი (ა. ანდერსონი 75), კ. ანდერსონი (იონსონი 67)**

**ლატვია: კარავაევი, ტროიცკი, ასტაფიევი, ლობანოვი, ბლაგონადეჟდინი, სტეპანოვი, ივანოვი, ბლეიდელისი, რიმკუსი (ელისეევი 60), ბაბიჩევი (შტოლცერსი 50), პახარი**

**1:0 იონსონი (87)**

ტომი სვენსონის ბიჭებს ლატვიელთა დამარცხება გაუჭირდათ. თამაშით მათ მეტოქე აშკარად დაჩაგრეს. ბოლოს და ბოლოს მათ ჩაწოდებულ 17 კუთხურზე მეტოქის მხოლოდ ერთი მოდის, მაგრამ გოლი ვერ იქნა და ვერ შეაგდეს. თუ დალინის და კენეტ ანდერსონის უიღბლობას ვახსენებთ, იქვე კარავაევის თავდადებაზეც უნდა ითქვას — ოლეგმა ძალიან კარგად ითამაშა და ხუთჯერ გადაარჩინა თავისიანები. შვედების თავდასხმის ძვირადღირებული წყვილი — დალინი-კენეტ ანდერსონი მუყაითად ირჯებოდა, მაგრამ დაინახა სვენსონმა, რომ ბედი არ სწყალობდათ და ორივე ნაკლებად ცნობილი ფორვარდებით შეცვალა. ამათგან ერთ-ერთმა, მატიას იონსონმა, 15 მეტრიდან დაარტყა და სამი ქულაც მოაპოვებინა ნაკრებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 9 | 7 | 1 | 1 | 13:4 | 22 |
| შოტლანდია | 9 | 6 | 2 | 1 | 13:3 | 20 |
| შვედეთი | 9 | 6 | 0 | 3 | 15:9 | 18 |
| ლატვია | 9 | 3 | 1 | 5 | 10:12 | 10 |
| ესტონეთი | 9 | 1 | 1 | 7 | 4:15 | 4 |
| ბელარუსი | 9 | 1 | 1 | 7 | 5:17 | 4 |

*დარჩენილი მატჩები. 11 ოქტომბერი: ავსტრია — ბელარუსი, შვედეთი — ესტონეთი, შოტლანდია — ლატვია*

## V ჯგუფი

### ბულგარეთი 1:0 რუსეთი

**1:0 ივანოვი (55)**

ასეთი რამ რუსების ნაკრებს არ ახსოვს — ბორის იგნატიევის გუნდმა ზედიზედ სამი თამაში წააგო, თანაც მეტოქის კარის აღება ვერც ერთში მოახერხა. მოკლედ, დიდი რუსეთი დიდ გაწამაწიაშია. ბოლო შეხვედრაში ისინი მოსკოვში მასპინძლობენ მძლეველებს, მაგრამ მოგების შემთხვევაშიც კი მოპოვებული სამი ქულა არაფერს გადაწყვეტს. რუსებს სოფიაში არ უნდა წაეგოთ. ამას 55-ე წუთამდე კიდეც ასრულებდნენ, მაგრამ გამოხტა მუდამ წვერმოშვებული ტრიფონ ივანოვი და ხრისტო სტოიჩკოვის პასით შეაგდო. გოლის შემდეგ რუსებმა შეტევებს უმატეს, მაგრამ სახეირო ვერაფერი შეძლეს. საფინალო სასტვენმა ბულგარელები მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის მონაწილე მეათე გუნდად აქცია, სოფია კი გადაირია: ხალხი ქალაქში გამოეფინა. ხარობდა მთელი ბულგარეთი, საპრესკონფერენციო დარბაზში კი: — „ჩვენ საკუთარი შეცდომების გამო წავაგეთ. მეტოქის ნახევარდაცვა ბალაკოვის და ლეჩკოვის გამო გაუვალი იყო. მან შესანიშნავად ითამაშა და აშკარად გვაჯობა“ — თავს იმართლებდა რუსთა მთავარი მწვრთნელი, ვინც ბულგარელმა კოლეგამ, ხრისტო ბონევმა გააფრთხილა — არ გეგონოთ, საპასუხო მატჩზე ტურისტების რანგში ჩამოვიდეთ, ჩვენ ბულგარული ფეხბურთის პრესტიჟი უნდა დავიცვათო. ბედნიერმა გოლის ავტორმა თქვა, მოხარული ვარ, ჩემი თაობა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორედ რომ მიიღებს მონაწილეობასო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 16:5 | 18 |
| რუსეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:3 | 14 |
| ისრაელი | 8 | 4 | 1 | 3 | 9:7 | 13 |
| კვიპროსი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:15 | 7 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:20 | 0 |

*დარჩენილი მატჩები. 11 ოქტომბერი: რუსეთი — ბულგარეთი, კვიპროსი — ლუქსემბურგი*

## VI ჯგუფი

### სლოვაკეთი 1:1 იუგოსლავია

**1:0 მაიოროში (65), 1:1 მიხაილოვიჩი (80)**

ბრატისლავაში სლოვაკებმა ევროპის ვიცე-ჩემპიონ ჩეხებს 2:1 მოუგეს. მათ ახლა იგივე მოუნდომეს იუგოსლაველებს, თუმცა, სინიშა მიხაილოვიჩის საჯარიმო დარტყმამ ნაშრომი წყალში ჩაუყარა. სტუმრები აშკარად ჯობდნენ მეტოქეს, მაგრამ რად გინდა, გოლი ვერ გაჰქონდათ. 37-ე და 38-ე წუთებზე ჯერ მიხაილოვიჩმა, მერე კი სავიჩევიჩმა ვერ ივარგეს. პირველ ტაიმში მასპინძლები აშკარად დაბნეულები იყვნენ, თავიანთი თამაში ვერ ეპოვათ, მეორეში კი ცოტათი დაწყნარდნენ და სტუმრებსაც დიდი თავსატეხი გაუჩინეს. შესვენებიდან ხუთ წუთში ჯერ კოზლეიმ ააცილა სამი მეტრიდან, მერე კი ბალიშმა ვერ ივარგა და ეს სულ ერთ წუთში მოხდა. 64-ე წუთზე სტუმრებისა და „კილმარნოკის“ მეკარე დრაგოი ლეკოვიჩი მუხლის ტრავმის გამო შეცვალეს, რასაც მასპინძელთა გოლიც მოჰყვა: იოზეფ მაიოროშმა კოჩიჩს ხელიდან გამოატანინა ბურთი კარიდან. გაშვებულმა გოლმა სტუმრები დააბნია, მაგრამ მალევე მოეგნენ გონს და შეხვედრის მიწურულს გააყაიმეს. მასპინძელთა მწვრთნელი იოზეფ იანკეში გულდაწყვეტილი იყო — კარგად ვითამაშეთ, დასანანია, რომ ვერ მოვიგეთო. იუგოსლაველთა თავკაცმა სლობოდან ზანტრაჩმა კი — მასპინძლებს აშკარად ვჯობდით, უსამართლობაა, აქ ორი ქულა რომ დავკარგეთო — თქვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 21:4 | 20 |
| იუგოსლავია | 9 | 6 | 2 | 1 | 24:7 | 20 |
| სლოვაკეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 17:9 | 16 |
| ჩეხეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:6 | 10 |
| ფარერები | 9 | 2 | 0 | 7 | 9:28 | 6 |
| მალტა | 8 | 0 | 0 | 8 | 2:31 | 0 |

*დარჩენილი მატჩები. 24 სექტემბერი: მალტა — ჩეხეთი, სლოვაკეთი — ესპანეთი; 11 ოქტომბერი: მალტა — იუგოსლავია, ჩეხეთი — სლოვაკეთი, ესპანეთი — ფარერები*

## VII ჯგუფი

### სან მარინო 0:5 თურქეთი

**სან მარინო: ფ. გასპერონი, მანცაროლი, ვანუჩი, გობი, ვალენტინი, მატეონი, ბაკიოჩი, მუჩოლი, გუალტიერი, ფრანჩინი, ბ. გასპერონი**

**თურქეთი: რუშთუ, ტაიფუნი, ტაიფური, ფატიხი, ალფაი, აბდულა, არიფი, სერგენი (მეჰმეთი 65), ჰაქანი, ოგიუზი, საფეტი (ჰამი 46)**

**0:1 გობი (28 ს.კ.), 0:2 არიფი (29), 0:3 ჰაქანი (75), 0:4 ჰამი (78), 0:5 არიფი (81)**

თითქოს თურქები ისე ვერ მოიგებდნენ, სან მარინოელები რომ არ დახმარებოდნენ — ლუკა გობიმ უყურა ზანტად მოთამაშე სტუმრებს, მათი უმოქმედობით აღშფოთდა და გასპერონის თავად გაუტანა. გახალისებულმა მუსულმანებმა ეგრევე მეორეც შეაგდეს. საოცარია, მაგრამ მეხუთე გოლზეც კი თურქებმა სიხარულისგან ერთმანეთს ლამის მაისურები შემოაფხრიწეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 7 | 6 | 0 | 1 | 26:4 | 18 |
| ბელგია | 7 | 5 | 0 | 2 | 17:9 | 15 |
| თურქეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 21:9 | 13 |
| უელსი | 7 | 2 | 1 | 4 | 18:18 | 7 |
| სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 0:42 | 0 |

*დარჩენილი მატჩები. 11 ოქტომბერი: ბელგია — უელსი, ჰოლანდია — თურქეთი*

## VIII ჯგუფი

### რუმინეთი 4:0 ისლანდია

**რუმინეთი: სტელია, პეტრესკუ, პროდანი, დობოში, გილჩა (გაბრიელ პოპესკუ 72), გეორგ პოპესკუ, მუნტიანუ, კრაიოვეანუ (სელიმეში 46), ილიე (ბარბუ 66), ჰაჯი, დუმიტრესკუ**

**ისლანდია: გოტსკალკსონი, გ. იონსონი, ჰრეიდარსონი, ს. იონსონი, გუნარსონი, კრისტიანსონი, ადოლფსონი, დანიელსონი (გუდმუნდსონი 82), სიგურდსონი (დადასონი 72), გუდიონსონი, გრეტარსონი (ტორდვალდსონი 81)**

**1:0 ჰაჯი (8), 2:0 პეტრესკუ (40), 3:0 გილჩა (65), 4:0 ჰაჯი (81 პ)**

რუმინეთის შეჩერება შეუძლებელია. აქამდე ქვეჯგუფში ცხრავე თამაში არავის მოუგია და ეს მსოფლიოს რეკორდია. ისლანდიელებთან მატჩში სანაკრებო რეკორდის გარდა პირადულიც დამყარდა — რუმინელთა ყველაზე სახელოვანმა ფეხბურთელმა გეორგ ჰაჯიმ, იმ დღეს 107-ედ რომ თამაშობდა ნაკრებში, გოტსკალკსონის კარში გატანილი ორი გოლით სანაკრებო გოლების რაოდენობა 31-მდე გაზარდა, ამდენი კი რუმინეთის პირველ გუნდში ჯერ არავის გაუტანია. სწორედ „კარპატულ მარადონაზე“ თქვა რუმინელთა თავკაცმა ანგელ იორდანესკუმ, ჰაჯი რუმინული ფეხბურთის დღევანდელი სახეა, მისი დარი მოთამაშე ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ დაბადებულაო.

### ლიტვა 1:2 ირლანდია

**0:1 კასკარინო (17), 1:1 ჟიუკასი (51), 1:2 კასკარინო (72)**

სტუმრებმა მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს და მეორეადგილოსანთა ფლეი-ოფში მონაწილეობა ფაქტიურად გაინაღდეს. ირლანდიის სამი ქულა სამი კაცის — შეი გივენის, როი კინის და ტონი კასკარინოს დამსახურებაა. გუნდის ლიდერი „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი კინი იყო, რომელსაც ერთი ორთაბრძოლაც კი არ წაუგია ლიტველებთან, ფრანგული „ნანსის“ თავდამსხმელმა კასკარინომ კი ორი გოლი ხომ გაიტანა და კიდევ ხუთჯერ ვერ ივარგა. ახლა ნაკრებში ჩატარებულ 73 შეხვედრაში კასკარინოს 18 გოლი აქვს გატანილი და თუ კიდევ სამის გატანა მოახერხა, მაშინ ფრენკ სტეპლტონის რეკორდს მოხსნის, რომელიც აგერ უკვე შვიდი წელია დაუმხობელია.



REUTERS ფოტოქრონიკიდან

ლიტვა — ირლანდია. კასკარინოს მასპინძელთა კარში პირველი გოლი გააქვს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 9 | 9 | 0 | 0 | 36:3 | 27 |
| ირლანდია | 9 | 5 | 2 | 2 | 21:7 | 17 |
| ლიტვა | 9 | 4 | 2 | 3 | 9:7 | 14 |
| მაკედონია | 9 | 4 | 1 | 4 | 21:16 | 13 |
| ისლანდია | 9 | 1 | 3 | 5 | 7:16 | 6 |
| ლიხტენშტაინი | 9 | 0 | 0 | 9 | 3:48 | 0 |

*დარჩენილი მატჩები. 11 ოქტომბერი: მაკედონია — ლიტვა, ირლანდია — რუმინეთი, ისლანდია — ლიხტენშტაინი*

## IX ჯგუფი

### გერმანია 4:0 სომხეთი

**1:0, 2:0 კლინსმანი (70, 84), 3:0 ჰესლერი (86), 4:0 კირსტენი (90)**

განვლო 854 წუთმა და იურგენ კლინსმანმა კვლავ შეაგდო — ბოლოს მან სომხებსვე გაუტანა ერევანში, 1996 წლის შემოდგომაზე. მას შემდეგ ნაკრებში რვა უგოლო მატჩი ითამაშა, ნავსი თითქოს მეცხრეზეც უნდა გადასულიყო, მაგრამ ნაკრების კაპიტანმა, იმ დღეს გერმანიის პირველ გუნდში მე-100 რომ თამაშობდა, ორჯერ შეაგდო. მანამდე კი...

თამაში, ცხადია, მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ისინი ვერაფერს უხერხებდნენ სომეხთა კარგად ორგანიზებულ დაცვას, განსაკუთრებით — ორ ძელს შუა ჩამდგარ რომან ბერეზოვსკის. ამან ექვსჯერ დაამწუხრა გერმანელები, ერთხელ კი, ნაკრებში პირველად მოთამაშე რიკენის დარტყმისას, მეკარეს ძელიც დაეხმარა. ფოგტსს მშვენივრად კლინსმანი მოევლინა, მასთან ერთად კი — ბირჰოფი. ისე, როცა ოლივერი გადის მოედანზე, გერმანელებს თითქოს ძალები ემატებათ. ახლაც, თამაშში სამი წუთის ჩართულმა, კლინსმანს საგოლედ უპასა. მალე იურგენმა ჰესლერის კუთხურის შემდეგ ბწყინვალე თაური გაიტანა, იქვე ჰესლერმა საჯარიმოდან ბერეზოვსკის დაახლოებით იმგვარი გოლი გაუტანა, ერევანში რომ შეუგდო, სულ ბოლოს კი კირსტენმა იხეირა.

და ბოლოს: კლინსმანი მესამე გერმანელი ფეხბურთელია, ნაკრებში 100 მატჩი რომ ჩაატარა. მას ლოთარ მათეუსი (122) და ფრანც ბეკენბაუერი (103) უსწრებენ.

### ალბანეთი 1:0 ჩრდ. ირლანდია

**ალბანეთი: სტრაკოშა, ტოლე, შულკუ, ჯუმბა, ვატა, ფაკაი, პაკო (მალილი 65), ჰაჯი (გალო 83), კოლა, ბუშაი, ტარე**

**ჩრდ. ირლანდია: რაიტი, ჰილი, გრიფინი, მაკგიბონი, გილესპი, როულენდი (მალრონი 46), ჰორლოკი, ლომასი, ლენონი (სანერი 83), ქუინი (მაკმაჰონი 76), დაუი**

**1:0 ალტინ ჰაჯი (69)**

შეხვედრა ალბანეთში შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გაიმართა. შეხვედრის წინ ფეხბურთელებმა და არც ისე ბევრმა მაყურებელმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს პრინცესა დაიანასა და დედა ტერეზას ხსოვნას. მეტად უინტერესო თამაშში საკმაოდ მოულოდნელად იმარჯვეს ალბანელებმა, რომელთათვის ეს მოგება მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობის დღიდან, ანუ 1964 წლიდან, მხოლოდ მეხუთეა, 90-იან წლებში კი — მხოლოდ მეორე. თანაც ალბანელებმა ჩრდილოეთ ირლანდიასთან ნათამაშევ მერვე მატჩში პირველი გამარჯვება მოიპოვეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 9 | 5 | 4 | 0 | 19:6 | 19 |
| უკრაინა | 9 | 5 | 2 | 2 | 8:6 | 17 |
| პორტუგალია | 9 | 4 | 4 | 1 | 11:4 | 16 |
| სომხეთი | 9 | 1 | 5 | 3 | 8:15 | 8 |
| ჩრდ. ირლანდია | 9 | 1 | 4 | 4 | 6:9 | 7 |
| ალბანეთი | 9 | 1 | 1 | 7 | 4:16 | 4 |

*დარჩენილი მატჩები. 11 ოქტომბერი: გერმანია — ალბანეთი, სომხეთი — უკრაინა, პორტუგალია — ჩრდ. ირლანდია*

## სამხრეთ ამერიკა

### ჩილე 1:2 არგენტინა

**არგენტინა: როა, აიალა, სენსინი, პასი, ვერონი, ალმეიდა, ლოპესი, გალარდო (ძანეტი 86), სიმეონე, ორტეგა, კრესპო (ბერტი 71)**

**0:1 გალარდო (25), 1:1 სალასი (34), 1:2 ლოპესი (85)**

შესარჩევ ტურნირში ჩილელებს შინ გამართული ყველა შეხვედრა მოეგოთ, მაგრამ ამ მიღწევას, ისევე, როგორც ყველაფერს, დასასრული აქვს და ჩილელთა 100 პროცენტიანი საშინაო შედეგიც აღარ გაგრძელდა. არგენტინამ, შუა შესარჩევ ტურნირში დიდ გაჭირვებაში რომ იყო, პირველი წუთიდან ძლიერად ითამაშა და მასპინძლებს შანსი არ დაუტოვა, მიუხედავად იმისა, რომ სანტიაგოში გამართულ ამ შეხვედრას 80 ათასი კაცი ესწრებოდა. ჩილელებმა, რომელთაც არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში არასოდეს დაემარცხებინათ, ვერაფერი მოუხერხეს მასპინძელთა დაცვის ამწიოკებელ არიელ ორტეგას. სწორედ არიელის პასით გაიტანა მე-13 წუთზე ლოპესმა ჩაუთვლელი გოლი. ბურთის გაუქმებამ პასარელას გიჟმაჟი ბიჭები გააცოფა და ისინიც გაათმაგებული ძალებით ეკვეთნენ ტაპიას კარს. მალე გალარდომ ორტეგას გადაცემით გაიტანა კიდეც. სტუმრები შეტევებში ძლიერ გაერთვნენ და ერთ-ერთ იშვიათ შეტევა გამოეპარათ, რითაც სალასმა იხეირა. მეორე ნახევარში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს რამდენიმე საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ სცოდავდნენ, ბოლოს კი თავად ჩილელები შეცდნენ. მათ მცდელობას, ხელოვნური თამაშგარე შეექმნათ, ცივი წყალი გადაასხა ლოპესმა.

### პარაგვაი 2:1 ბოლივია

**პარაგვაი: შილავერი, არსე, გამარა, ვიალა, რივაროლა, სუარესი, ენკისო, აკუნია, ოველარი, ბაესი (როხასი 75), ბენიტესი**

**1:0 ბენიტესი (27), 2:0 გამარა (36), 2:1 სუარესი (57)**

შილავერს დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა და იგიც პარაგვაის ნაკრებს დაუბრუნდა, თანაც — ერთობ შედეგიანად. ცნობილმა გოლკიპერმა, [illegible] თავს მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ რომ მიიჩნევს, თანამემამულეთა პირველ გოლში დაიდო წვლილი. მისი დარტყმული ჯარიმის შემდეგ ბაესმა ბენიტესს საგოლედ უპასა. მალე „ბენფიკას“ მცველმა კარლოს გამარამ ბოლიველ კოლეგებს აჯობა და არსეს კუთხურს ბადეში მიუჩინა ადგილი, რითაც „დიფენდერს ჩაკოს“ სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები ძლიერ გაახარა. მეორე ტაიმში პარაგვაელებს, ერთი ხანობა კონტინენტის შესარჩევ ტურნირს რომ ლიდერობდნენ, შეტევები არ შეუჩერებიათ, მაგრამ გატანის ნაცვლად გაუშვეს, თუმცა მეტის უფლება წლევანდელი „კოპა ამერიკის“ ფინალისტებს აღარ მისცეს.

მსაჯის საფინალო სასტვენმა პარაგვაელებს და არა მარტო მათ ამცნო, რომ 12 წლის შემდეგ ეს ქვეყანა კვლავ მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს.

### პერუ 2:1 ურუგვაი

**0:1 რეკობა (44), 1:1 პალასიოსი (59), 2:1 კარტი (61)**

### კოლუმბია 1:0 ვენესუელა

**1:0 კაბრერა (67)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 14 | 8 | 4 | 2 | 22:12 | 28 |
| კოლუმბია | 15 | 8 | 3 | 4 | 22:14 | 27 |
| პარაგვაი | 14 | 8 | 2 | 4 | 20:13 | 26 |
| პერუ | 14 | 6 | 4 | 4 | 18:16 | 22 |
| ჩილე | 14 | 5 | 4 | 5 | 25:18 | 19 |
| ეკვადორი | 14 | 5 | 3 | 6 | 18:16 | 18 |
| ბოლივია | 14 | 4 | 5 | 5 | 18:17 | 17 |
| ურუგვაი | 14 | 5 | 2 | 7 | 13:18 | 17 |
| ვენესუელა | 15 | 0 | 3 | 12 | 8:40 | 3 |

*დარჩენილი მატჩები. 12 ოქტომბერი: არგენტინა — ურუგვაი, ჩილე — პერუ, ეკვადორი — ბოლივია, პარაგვაი — ვენესუელა. 16 ნოემბერი: არგენტინა — კოლუმბია, ჩილე — ბოლივია, პერუ — პარაგვაი, ურუგვაი — ეკვადორი.*

## ავსტრიასაც შევეწიოთ

მაშ ასე, ოთხშაბათს კიდევ ოთხი ფინალისტი გაირკვა — ბულგარეთი, არგენტინა, პარაგვაი და კოლუმბია.

ჩვენ რა, თორემ ინგლისს რომ ნახევარი საქმე გავუკეთეთ, მთელმა მსოფლიომ იცის. ახლა, ბარემ, ავსტრიელებსაც დავეხმაროთ. სად ჩვენ და სად მეოთხეჯგუფელი ავსტრიაო, იკითხავს მკითხველი, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტების გარკვევა ისეთი სისტემით ხდება, სწორედაც რომ მასეა — თუ საქართველომ 24 სექტემბერს კიშინიოვში არ წააგო, ავსტრია, იმ დღეს საერთოდ მოედანზე რომ არ გავა, ისე მოიპოვებს საფრანგეთის საგზურს.

ეს რებუსი თანმიმდევრობით ავხსნათ. ცნობილია, რომ ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული გუნდები შემდეგ ორმატჩიან დუელში არკვევენ ფინალისტებს, მაგრამ ეს არ ეხება ერთს — საუკეთესო მეორე ადგილს. ისაც გავიხსენოთ, რომ ამ საუკეთესოს გამოსავლენად მხედველობაში მიიღება მხოლოდ ჯგუფში პირველ, მესამე და მეოთხე ადგილზე გასულ გუნდებთან მიღწეული შედეგები. ჰოდა, ავსტრიის ასეთი მონაგარი (უკვე საბოლოო, ვინაიდან დარჩენილი აქვს მატჩი ბელარუსთან, რომელიც ბოლოსწინა ადგილს ვერ ასცდება) 13 ქულაა, ბურთები კი — 6:4. ასეთივე შედეგის მიღწევა უკვე ცნობილ თუ პოტენციურ მეორეადგილოსნებში მხოლოდ იტალიას შეუძლია, თუ, ცხადია, ის ინგლისს შინ ვერ მოუგებს და მეორე ადგილზე დარჩება, თან, თუ ჯგუფში ბოლო ადგილზე საქართველო გავა, რადგან ამ ვარიანტში ჩვენთან დაკარგული ორი ქულა იტალიელების სამეორეადგილო სათვალავში აღარ შევა.

დიდი შანსია, არც ავსტრია გავიდეს მეორე ადგილზე და არც იტალია. მათ პირველი ადგილის დაკავების დიდი შანსები აქვთ, მაგრამ ფაქტი ასეთია — თუ საქართველომ კიშინიოვში არ წააგო, ავსტრია ფინალისტი ხდება, რადგან ბოლო თამაშში ბელარუსთან რომც წააგოს, მაინც საუკეთესო მეორე ადგილს მოიპოვებს. ისე, ავსტრიელებზე ნაკლებად არც შოტლანდიელები გვიქომაგებენ, რადგან IV ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების ყველაზე დიდი შანსი სწორედ მათ აქვთ — ახლა სქოთებს სამეორეადგილო 10 ქულა აქვთ და ლატვიელებთან შინ გამარჯვების შემთხვევაში (თუ ავსტრიაც მოიგებს), საუკეთესო მეორე ადგილიც მას ექნება.

უფრო რომ ჩავუღრმავდეთ ამ სისტემას, კიდევ რამდენიმე ჩვენს ქომაგს აღმოვაჩენთ. თუმცა, ამათი თავი ჯანდაბას — საქართველომ კიშინიოვში პირველ რიგში თავისი საქმე უნდა გააკეთოს.

# თქვენ ცეკვავთ ბარსას დაკრულზე?



„ბარსელონას“ ბრაზილიური ტრიო: ანდერსონი, ჯოვანი და რივალდო

ესპანეთის ჩემპიონატის დღეს და ხვალ გასამართი მესამე ტურის უმთავრესი მატჩი, ეჭვგარეშეა, „ბარსა“ — „დეპორტივოს“ შეხვედრა იქნება. ესპანური ფეხბურთის ბოლო წლების ოთხიდან ორი უძლიერესი გუნდის შეხვედრა მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა და დღესაც ასეა. ამ სეზონში ამათი შეხვედრისადმი ინტერესს კი ისიც აძლიერებს, რომ ბრაზილიელ რივალდოს პირველად მიეცემა შანსი, ყოფილი თანაგუნდელების კარი დალაშქროს. ზაფხულში ლა-კორუნიიდან კატალონიის დედაქალაში 26 მილიონ 700 ათასად გადასულმა რივალდომ ძველ თანაგუნდელებთან მატჩის წინ განაცხადა, მათ დიდ პატივს ვცემ, იქ უამრავი მეგობარი მყავს, მაგრამ მე ისეთსავე პროფესიონალად დავრჩი, „დეპორტივოში“ რომ ვიყავი, ამიტომ გოლის შესაგდებად მუდამ მზად ვიქნებიო. რივალდომ ახლადდაწყებულ ჩემპიონატში სამი გოლის გატანა მოასწრო. სხვათა შორის, მასში გადახდილი თანხა ესპანურ კლუბებს შორის უდიდესია. ლა-კორუნიელებს რივალდოს გარდა კიდევ ორი ბრაზილიელისგან ელის დიდი ხიფათი — ესენი სონი ანდერსონი და ჯოვანი არიან. ამათაც უკვე მოასწრეს გოლების შეგდება. კატალონიელები მეტოქეს სამ მეტად ტექნიკურ ბრაზილიელს უპირისპირებენ, თუმცა, არც „დეპორტივო“ განიცდის ბრაზილიელთა უკმარისობას — როგორც კი რივალდო გავიდა, ლა-კორუნიელებმა ჯალმინია შეისყიდეს. ამან თქვა, ჩვენი ენთუზიაზმი მათ დასამარცხებლად უდიდესია, თუმცა, ამ მიზნის შესრულება ერთობ ძნელი იქნებაო. „დეპორტივოს“ ბრაზილიელმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო სილვამ კი, სანამ ჟურნალისტებს მომავალი დიდი მატჩის თაობაზე გაესაუბრებოდა, აცრემლებულმა დიდი მადლობა მოუხადა მათ გაჭირვების დროს თანადგომისთვის (სილვას ბიჭი ავარიაში მოჰყვა), მერე კი თქვა — „ბარსამ“ პირველი ორი მატჩი 3:0 მოიგო, მაგრამ ჩვენ ისეთი კლუბი სულ არ ვართ, მათ დაკრულზე ვიცეკვოთ, თუ არადა, აგერ ნახავთო.

## ფეხბურთის რუკასთან



**ჩილეს** პირველი და მეორე დივიზიონის ფეხბურთელები გაიფიცნენ, ხელფასებს არ გვიხდიან და დაპირებებს არ გვისრულებენო. მოთამაშეთა პროტესტს მხარი მწვრთნელებმაც დაუჭირეს, ჩილეს საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა კარლოს რამოსმა კი კლუბების მისამართით თქვა, ეგრე უნდათ მაგათ, ახლა ნახონ, როგორია პირის გატეხვაო. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მიგელ ბაუსის განცხადებით, ფედერაცია ყურსაც არ შეიბერტყავს, პირიქით — ყველა გაფიცულს დაავჯარიმებს.

**ინგლისის ნაკრებში ოთხშაბათს ორი გოლის გამტანმა იან რაიტმა ფეხბურთის ასოციაციას მიმართა, „ლესტერთან“ ჩხუბში ბრალს რომ მდებთ და დასჯას მპირებთ, მოდით, მომხდარი კიდევ ერთხელ განვიხილოთო. იანი საქმის გარჩევაზე კიდევ ორი მოჩხუბარის — პატრიკ ვიეირას და სტივ უოლშის — მიწვევას მოითხოვს.**

**ნიგერიელი** ტენდი ჩერითი, რომელიც 1989 წლის ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი იყო, გუშინწინ ქვეყნის ჩემპიონატის მატჩის შემდეგ საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მისი „ნიგერდოკი“ „ბენიან სიტის“ ეთამაშებოდა. ჩერითიმ თავის მძიმე ტრავმა მიიღო, მაგრამ თამაში დაასრულა. მერე სისხლისდენა დაეწყო და ექიმებმა ველარაფერი უშველეს. დეკემბერში ტენდი რუსეთში უნდა წასულიყო სათამაშოდ.

**ინგლისელი სტიუარტ რიპლი, რომელმაც ოთხშაბათს მოლდოველებთან მეორედ ითამაშა ნაკრებში, დაახლოებით ექვსი კვირით ჩამოშორდება ფეხბურთს. მან წვივის ტრავმა მიიღო, როცა მოედანზე ექვსი წუთის შესული იყო.**

**პორტუგალიის** სუპერთასი „ბოავიშტამ“ მოიგო. თასის მფლობელებმა აგვისტოში თანაქალაქელ „პორტუს“ 2:0 სძლიეს, ოთხშაბათს კი განმეორებით შეხვედრაში 0:1 დამარცხდნენ. „პორტუს“ ერთადერთი გოლი მე-7 წუთზე ფერნანდო მენდეშმა გაიტანა.

**ჰოლანდიელი დენის ბერგკამპი სავარაუდოდ უეფას თასის პირველი წრის პირველ შეხვედრას ბერძნულ „პაოკთან“ გამოტოვებს, რადგან მას საშინლად ეშინია ფრენის. დენისმა ამ დღეებში გადაწყვიტა, არ გაემგზავროს საბერძნეთში და განაცხადა, შიში ბავშვობიდანვე მქონდა, რა ვქნა, ვერ მოვიშორეო.**

**ბრაზილიის** ნაკრებმა ამხანაგურ შეხვედრაში ეკვადორს 4:2 მოუგო. მსოფლიოს ჩემპიონები პირველ ტაიმში დენილსონის და დოდოს ორი გოლით 3:0 იგებდნენ, შესვენების შემდეგ ეკვადორელებმა — აგინაგამ და მალდონადომ ანგარიში შეამცირეს, მაგრამ ლევერკუზენელმა ემერსონმა მეოთხედაც შეაგდო. ბრაზილიამ შემდეგი შემადგენლობით ითამაშა: ჟერმანო (ზეტი 46), კაფუ, ჟუნიორ ბაიანო (კლებერი 70), გონსალვეში, ზე რობერტო, მაურო სილვა, ემერსონი, რივალდო (ზინიო 70), დენილსონი, ანდერსონი (კრისტიანი 61), დოდო.

**ინგლისის ნაკრების ფორვარდმა ტედი შერინგემმა, რომელიც „ლესტერის“ წინააღმდეგ ჩატარებულ პრემიერლიგის მატჩში დაშავდა, შესაძლოა, 11 ოქტომბერს იტალიაში ითამაშოს. ექიმებმა მას ორი ნეკნის გაბზარვა დაუდგინეს და დასვენება ურჩიეს. ტედიმაც შეწყვიტა ვარჯიშები. მას იტალიასთან თამაშის გამოტოვებაც უწინასწარმეტყველეს, მაგრამ თავად ფეხბურთელი ამბობს, ვატყობ, მოვმჯობინდებიო.**

**ინდოეთმა** სამხრეთ აზიის ქვეყნების ტურნირში — „ოქროს თასი“ — ნახევარფინალი დასძლია. ინდოელებმა 2:0 მოუგეს პაკისტანს და დღეს ფინალში მალდივის კუნძულების ნაკრებს შეხვდებიან, რომელმაც თავის მხრივ შრილანკას 2:1 სძლია.

**გერმანიის ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა, „ოქროს ბურთის“ ორგზის მფლობელმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, ნაკრებში თამაშისთვის ფეხბურთელებს ძალიან ცოტას უხდიანო. მან მიუღებლად მიიჩნია მოთამაშეთათვის 3 და 4 ათასი დოლარის მიცემა და ფედერაციას მოუწოდა, თანხა 22-დან 27 ათასამდე გაზარდოს.**

**ავსტრალიელი** კრეიგ ფოსტერი 300 ათას გირვანქად „სიდნეი იუნაიტედიდან“ ინგლისის „პორტსმუთში“ გადაბარგდა. 28 წლის ნახევარმცველი ავსტრალიის ნაკრების წამყვანი მოთამაშეა. ამ გუნდს ტერი ვენეიბლზი წვრთნის. სწორედ ტერიმ ურჩია „პორტსმუთს“ ფოსტერის შეძენა.

**მალაიზიაში პოლიციამ კიდევ ერთი მატჩების ჩამწყობთა ჯგუფი აღმოაჩინა და ამხილა ერთ-ერთი ტოტალიზატორის ორი წარმომადგენელი, რომლებიც ლონდონში ცხოვრობდნენ და იქ პრემიერლიგის, თასის და სხვა საერთაშორისო მატჩების შედეგების გაყალბებას მოთამაშეთა მოქრთამვით ცდილობდნენ. დადგინდა, რომ ფეხბურთელებს ან სხვა პირებს საწყისად 66 ათას დოლარს სთავაზობდნენ, მერე კი თანხას თამაშის მნიშვნელობის მიხედვით ზრდიდნენ. ერთმანეთთან დასაკავშირებლად ისინი ინტერნეტის ქსელს იყენებდნენ.**

**შოტლანდიის** ლიგის თასის ნახევარფინალში, რომელიც 14 და 15 ოქტომბერს უნდა გაიმართოს, ერთმანეთს დანფერმლაინი — სელტიკი და აბერდინი — დანდი იუნაიტედი შეხვდებიან.

**ჩეხეთის ჩემპიონატის მე-5 ტური: ტეპლიცე — ჩესკე ბუდეიოვიცე 2:3, კაუჩუკი — დუკლა 1:0, პრადეცი — ბანიკი 0:0, ვიქტორია პლზენი — ვიქტორია ჟიჟკოვი 1:0, სიგმა — ბოდანეცი 3:0, ბობი — პეტრა 3:1, იაბლონეცი — სლავია 0:0, სპარტა — სლოვანი ლიბერეცი 4:0. ხუთი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით დედაქალაქის „სპარტა“ ლიდერობს.**

**ჰოლანდიელი** სტენლი მენცო, ერთ დროს თავისი ქვეყნის და ბელგიის ჩემპიონი, „ბორდოს“ შემადგენლობიდან ამოვარდა. 34 წლის მეკარემ ჩემპიონატის ექვს ტურში 12 გოლი გაუშვა, რამაც მწვრთნელი გი სტეფანი ძლიერ გაანაწყენა. ჯერჯერობით მენცოს ადგილს 24 წლის სათადარიგო მეკარე რიმე დაიკავებს.

**ესპანეთის ჩემპიონებთან შეხვედრამდე „ტოსიედადის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, შესაძლოა, ჩვენმა იუგოსლაველმა ლეგიონერმა დარკო კოვაჩევიჩმა „რეალთან“ ითამაშოსო. 23 წლის ფორვარდმა, რომელსაც ნაკრებში 19-ჯერ უთამაშია, ტრავმა სეზონის დაწყებამდე მიიღო და მალე მორჩება.**

**ბრაზილიის** ჩემპიონატის მე-14 ტურში „ვასკუ და გამამ“ 6:0 მოუგო „უნიაო სან ჟოაოს“ — ყველა გოლი ედმუნდომ გაიტანა. მეტსახელად „მხეცმა“ პირველი ბურთი პირველსავე წუთზე შეაგდო, დანარჩენი ხუთი კი — მეორე ტაიმის ოცი წუთის განმავლობაში. ექვსი გოლის გარდა მან პენალტიც გააფუჭა. სხვა თამაშები ასე დამთავრდა: ამერიკა ნატალი — კრუზეირო 2:1, ატლეტიკო მინეირო — სანტოსი 2:1, ბაია — პარანა 2:1, კორინტიანსი — ვიტორია 3:1, კურიტიბა — გრემიო 3:3, კრისტიუმა — სპორტ რესიფე 2:0, ფლამენგო — ფლუმინენსე 2:1, გოიასი — გუარანი 2:1, ინტერნასიონალი — ჟუვენტუდი 0:1, პორტუგეზა — სან პაულუ 2:1. 14 თამაშიდან 31 ქულით „ინტერნასიონალი“ ლიდერობს. ქულით ნაკლები აქვს „პორტუგეზას“.

**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაციამ „სარაგოსას“ წინა ტურში გაძევებული თავდამსხმელი პიერლუიჯი კერუბინო ექვსი თამაშით მოკვეთა და 40 ათასი დოლარით დააჯარიმა. აქამდე ესპანეთში გაძევებისთვის ასე სასტიკად არავინ დაუსჯიათ. ფედერაციის გადაწყვეტილებას მადრიდის „რეალის“ მეკარე კანისარესმა ბარბაროსობა უწოდა, „რეალის“ ფორვარდმა მორიენტესმა კი — აბსურდი. შედარებისთვის: იმავე ტურში „ბარსელონას“ წინააღმდეგ გაძევებული „ვალენსიას“ ფორვარდ ამადეო კარბონის ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

**პანამელმა** ხულიო სეზარ დელი ვალდესმა, რომელიც შარშან პსვ-ში თამაშობდა, ოთხშაბათს ვარჯიშზე მარცხენა ფეხის კუნთი დაიზიანა და სავარაუდოდ სამი კვირა მოუწევს დასვენება. „ოვიედოში“ ზაფხულში გადასულმა დელი ვალდესმა პირველ ტურში გოლიც შეაგდო.

**საფრანგეთის** „ნანტმა“, სამი წლის მანძილზე ფეხბურთელებისგან რომ იცლება, ამ კვირაში კიდევ ერთი, მეკარე დომინიკ კასაგრანდი გაყიდა. საფრანგეთის ბოლო წლების ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა დომინიკი „სევილიას“ 830 ათას დოლარად დაუთმო.

**დანიელი** მცველი მარკ რიპერი, შესაძლოა, ლონდონის „ვესტ ჰემიდან“ შოტლანდიის „სელტიკში“ გადავიდეს. მარკს კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. ინგლისელებს ფულის დაკარგვის ეშინიათ, მის დროზე გაყიდვას ცდილობენ და სქოთების შეთავაზებულ 2 მილიონ 200 ათასზე ლონდონელები თანახმანი არიან. „ვესტ ჰემს“ დანიელის შემცვლელად ავსტრალიელი სტივ ხორვატი ესახებათ, რომელიც სპლიტის „ჰაიდუკში“ თამაშობს.

**ბულგარეთთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში მარცხმა რუსეთა საფეხბურთო სამყარო ძლიერ აღაშფოთა. ცხადია, მწვრთნელსაც და ფეხბურთელებსაც ძლიერ მოხვდათ. „ნეზავისიმაია გაზეტამ“ პირველ გვერდზე დაწერა, ამ ფეხბურთელებს თავი რომ წამოუყვიათ და რომ იბრძვიან, დროა პატრიოტიზმის გრძნობა გაუჩნდეთ და სულ ფულზე არ იფიქრონო.**

**რუსეთის** 27-ე ტურის გუშინდელი მატჩი: როტორი — ფაკელი 2:0

## შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

### აზია

B ჯგუფი

**სამხრეთ კორეა 2:1 უზბეკეთი**

1:0 იონგ სუ (15), 1:1 შაცკიხი (74), 2:1 სან იონი (87)

**საამიროები 4:0 ყაზახეთი**

1:0 ჰასანი (20), 2:0 ობეიდი (49პ), 3:0 ბახიტი (78), 4:0 საადი (85)

## საფრანგეთი

VII ტური

**შატორუ — რენი 1:0**

1:0 კოლი (28)

**გინგამი — ლანსი 2:1**

1:0 ლასპალესი (4), 2:0 ბანკარელი (22), 2:1 ფელონი (47 ს.კ.)

## ჰოლანდია

IV ტური

**ჰერენვენი 0:0 ფეიენოორდი**

**ეინდჰოვენი 0:0 გრააფსხაპი**

**უტრეხტი 1:1 ტვენტე**

0:1 პეტროვი (42), 1:1 დე იონგი (45)

**სპარტა 1:1 სიტარდი**

1:0 დე ნუაიერი (25), 1:1 ბურკი (55)

**ვიტესი 3:1 ტილბურგი**

1:0 მახლასი (17), 2:0, 3:0 პეროვიჩი (26, 47), 3:1 ფაინმარდი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 4 | 4 | 0 | 0 | 20:1 | 12 |
| ფეიენოორდი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| ჰერენვენი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| ეინდჰოვენი | 4 | 2 | 2 | 0 | 11:4 | 8 |
| ტვენტე | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| გრონინგენი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| ვიტესი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:8 | 7 |
| როდა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ნაიმეგენი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | 6 |
| გრააფსხაპი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ვოლენდამი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| უტრეხტი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:10 | 4 |
| ბრედა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ვალვაიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |
| სპარტა | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| სიტარდი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:13 | 1 |
| ტილბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:11 | 0 |
| მაასტრიხტი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:13 | 0 |

## 17 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი

III ტური

A ჯგუფი

**ეგვიპტე 1:1 გერმანია**

**ჩილე 6:2 ტაილანდი**

B ჯგუფი

**მალი 3:1 მექსიკა**

**ესპანეთი 13:0 ახალი ზელანდია**

C ჯგუფი

**ბრაზილია 3:1 ომანი**

**აშშ 4:0 ავსტრია**

D ჯგუფი

**განა 2:0 კოსტა რიკა**

**არგენტინა 2:0 ბახრეინი**

*მეოთხედფინალში გავიდნენ: გერმანია, ეგვიპტე, ბრაზილია, ომანი, ესპანეთი, მალი, განა და არგენტინა*

## მინდორიც ამას ჰქვია

28 იანვარს საფრანგეთის ნაკრები ამხანაგურ მატჩში პარიზში უმასპინძლებს ესპანეთს, მაგრამ მატჩი ცნობილ „პარკ დე პრენსზე“ არ გაიმართება. მომავალი წლიდან საფრანგეთის პირველ სარბიელად „სტად დე ფრანსი“ იქცევა, რომლის მშენებლობაც ამჟამად მიმდინარეობს. ოთხშაბათს ფრანგებმა სტადიონზე საგანგებოდ ამ შენობისთვის გამოზრდილი ბალახი მოიტანეს და მწვანე საფარის დაგება გათვალისწინებულზე ერთი თვით ადრე დაიწყეს. მინდორი დაახლოებით მილიონ 600 ათას დოლარად შეფასდა, მაგრამ ეს თანხა არაფერია მთლიანად „სტად დე ფრანსის“ ღირებულებასთან.

სწორედ ამ სტადიონზე შედგება მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩი, რომლის ერთ-ერთი მონაწილე აუცილებლად ბრაზილია იქნება. ჩემპიონატის პირველ მატჩზე დასასწრები ბილეთების ღირებულება 33 დოლარიდან 208 დოლარამდეა, მეოთხედფინალების ბილეთების — 40 დოლარიდან 125-მდე, ნახევარფინალების — 50-დან 308-მდე, ხოლო ფინალზე კი მინიმალური ფასი 58 დოლარი იქნება, მაქსიმალური კი — 490. ფასები, ცხადია, ადგილისდა მიხედვით გაიზრდება.



# ძველი ვარსკვლავის გზანი

**წარმოგიდგენიათ, რომ საქართველოში არ იცოდნენ, ვინ არის ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი ან დავით ყიფიანი? ფეხბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივარი ასეთს ვერაფრით წარმოიდგენს.**

**ალბათ, ასევე ფიქრობს ყველა, ვისაც გოგი ვაჩნაძის თამაში უნახავს, ან მის გვერდით ჩაუტარებია თუნდაც ერთი მატჩი. „ფსიშკა“ (ასე ეძახდნენ ვაჩნაძეს) ხომ 20-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო. თბილისელ გულშემატკივართა კერპს ბედმა თუ განგებამ ისეთი ცხოვრება არგუნა, დიდხანს გაქრა ქართველ ქომაგთა თვალსაწიერიდან, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში მისი სახელი მუდმივად იქნება. ამ წერილის მიზანია, ფეხბურთის მოყვარულთა ახალმა თაობამაც იცოდეს ამ შესანიშნავი მოთამაშის შესახებ.**

20-იანი წლების თბილისის „დინამო“ საკმაოდ ძლიერი გუნდი იყო. მაშინ საკავშირო ჩემპიონატები არ ტარდებოდა, მაგრამ გუნდებს კავშირის მასშტაბით ერთმანეთთან მაინც ჰქონდათ კონტაქტები. როგორც იმდროინდელი ფეხბურთის მოყვარულნი აღნიშნავდნენ, 20-იანი წლების „დინამოში“ სამი მაღალი კლასის ფეხბურთელი იყო: მარჯვენა მცველი ჭიჭიკო ფაჩულია, ცენტრალური ნახევარმცველი ანდრო ჟორდანია — შემდგომში უდიდესი ქართველი მწვრთნელი და ცენტრფორვარდი გოგი ვაჩნაძე.

მაგრამ იმ არეულ დროში ყველაფერი პოლიტიკას უკავშირდებოდა და რადგან გოგი ვაჩნაძე თავადი იყო, რევოლუციურმა მთავრობამ საქართველოდან გადაასახლა. სხვათა შორის, ასეთი ხვედრი ანდრო ჟორდანიასაც ემუქრებოდა, რა თქმა უნდა, გვარის გამო. ამიტომ ბატონ ანდროს სიცოცხლის ბოლომდე მიჰყვა ეს შიში და ყოველთვის ერიდებოდა პოლიტიკასთან ოდნავ მიახლოებულ საუბარსაც კი.

გოგი ვაჩნაძე 30-იან წლებში დაუბრუნდა თბილისს და ჩამოაყალიბა ფეხბურთელთა შესანიშნავი გუნდი — ზიი (ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი). ეს გუნდი იმდენად ძლიერი იყო, სახელგანთქმულ თბილისის „დინამოსაც“ უწევდა მეტოქეობას და ამარცხებდა კიდეც. „ფსიშკა“ ამ გუნდის მოთამაშე-მწვრთნელი გახლდათ. ზიი მისი ხელმძღვანელობით და შესანიშნავი თამაშით ამიერკავკასიის ჩემპიონი გახდა, პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზე. გოგი ვაჩნაძე ისეთივე პოპულარული ცენტრალური თავდამსხმელი იყო, როგორიც შემდგომში ბორის პაიჭაძე. სხვათა შორის, სწორედ ვაჩნაძემ ჩამოიყვანა ფოთიდან ბორისი და ზიის მეორე გუნდში ჩაარიცხვინა. ერთხელაც ამ გუნდის მწვრთნელმა ვახტანგ კანდელაკმა გოგის შესჩივლა, ამ ბიჭს ადგილი ვერ მოვუნახეო. გოგიმ პირველ გუნდში გადაიყვანა ბორისი, თავისი ადგილი დაუთმო თავდასხმის ცენტრში და პაიჭაძის ნიჭიც მთელი ბრწყინვალებით გაიფურჩქნა.

მაგრამ იმ დროის დაწყნარებულ ცხოვრებას ვინ დააცლიდა. მოახლოვდა წინანდელზე უფრო მკაცრი და ულმობელი რეპრესიების დრო. „დინამოს“ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ, პოლკოვნიკმა გამსახურდიამ გოგის უთხრა, ახლავე დატოვე თბილისი, თორემ ცოცხალი ვერ გადარჩებიო და ვაჩნაძეც კიდევ ერთხელ დაემშვიდობა სამშობლოს, თუმცა, კვლავ მცირე ხნით. 1937 წელს საქართველოს ბასკეთის დიდი გუნდი ეწვია. ჩამოვიდნენ იმ დროის ბრწყინვალე მოთამაშეები: ლანგარა, რეგეირო, გოროსტიცა და სხვები. მათ თბილისში ორი დაუვიწყარი მატჩი გამართეს „დინამოსთან“ და საქართველოს ნაკრებთან. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში 20 წუთი ვაჩნაძემაც ითამაშა. შემდგომ იგონებდა, ბურთისთვის ფეხი არ დამიკარებია, ბასკთა შესანიშნავ თამაშს ვუყურებდიო. სხვათა შორის, გიორგი ვაჩნაძე 17 წლისა უკვე საქართველოს ნაკრების წევრი იყო.

1941 წელს გიორგი ვაჩნაძე ომში წაიყვანეს. თბილისში დარჩა მეუღლე და ორი თვის ბიჭი, რეზო, რომელიც შემდეგ მხოლოდ 26 წლისა იხილა. ჩრდილო კავკასიაში იბრძოდა, დაიჭრა და გერმანელებს ჩაუვარდა ტყვედ. იყო ტყვეთა ბანაკებში პოლონეთსა და გერმანიაში. 1945 წელს, ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ჯარებმა ეს ტყვეთა ბანაკი გაათავისუფლეს. ისინი სატვირთო მანქანაში ჩასხეს და საბჭოთა კავშირისკენ წამოიყვანეს. რაღაც ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა გოგი ვაჩნაძეს, რაც მერე კიდეც დადასტურდა — დაბრუნებული ტყვეებიდან ბევრი დახვრიტეს და ბევრიც ციმბირში გადაასახლეს. ჰოდა, ენდო გოგი ვაჩნაძე გულს — ის, კიდევ ერთი რაჭველი და ერთიც ყაზახი სატვირთო ავტომობილიდან გადახტნენ და ფეხით ისევ გერმანიას მიაშურეს. შემდეგ ვაჩნაძე კარგა ხანს მიუნხენში ცხოვრობდა და ათასგვარი საქმიანობით ირჩენდა თავს. 1949 წელს კი ამერიკაში წავიდა საცხოვრებლად, რადგან იქ სახლობდა მისი დეიდა, რომელიც ადრევე წავიდა საბჭოთა კავშირიდან. მან შეძლო გოგისთვის ვიზის გახერხება. ოჯახმა სტალინის სიცოცხლეში მხოლოდ ის გაიგო, რომ გოგი ვაჩნაძე ცოცხალია და ამერიკაში იმყოფება. გოგის დეიდამ წერილი გამოუგზავნა თბილისში ახლობლებს, სადაც წერდა ჩემი შვილები — ვალოდია და ელენე კარგად არიან და მესამესაც არა უშავსო. ამ მინიშნებით მიხვდა ვაჩნაძის ოჯახი ყველაფერს. ქალბატონ თამარს ორი შვილი ჰყავდა და 70 წელს მიტანებულს მესამე შვილი როგორღა შეემატებოდა. 1953 წლამდე ეს იყო და ეს. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ოჯახში უკვე გოგის ხელნაწერი ბარათები მოვიდა, ოღონდ ბოლოში დეიდის სახელს აწერდა. წერის აზარტში შესულ ბატონ გოგის ზოგჯერ ისეთი რამეც წასცდებოდა, რასაც არანაირად არ დაწერდა ქალბატონი თამარი. ვთქვათ, როგორი გოლი შეაგდო, ან როგორ თამაშობდა. ამ დროს ამერიკა აღარ იყო მიუწვდომელი. იქ იყვნენ ჩვენი მოცეკვავეები, მოჭიდავეები და ნახეს გოგი ვაჩნაძე. ამიტომ შემდეგ, როდესაც გოგის დედა გარდაეცვალა და მიმოწერა მისმა შვილმა, რეზომ განაგრძო, პირდაპირ მისწერა მამას, თუ შინსახკომს ვატყუებთ, მან ჩვენზე მეტი იცის და პირდაპირ შენი სახელით მოიწერე წერილიო. გიორგი ვაჩნაძეც წერდა ყველაფერზე, რასაც იქ ხედავდა. არ გამოსტოვებდა ქართველთა არც ერთ სტუმრობას ამერიკაში. ალაფრთოვანებდა ჩვენს მოცეკვავეთა თუ სპორტსმენთა წარმატება, და კიდევ, რა თქმა უნდა, წერდა ფეხბურთზე. გარდა ამისა, მუდმივად აინტერესებდა, რა ხდებოდა აქ და როგორ იყვნენ ყოფილი თანაგუნდელები თუ მისი თაობის სხვა ფეხბურთელები.

გოგი ვაჩნაძემ იქ ოჯახი შექმნა, თუმცა შვილი არ ჰყოლია. მის მეუღლესაც ძნელი ცხოვრება ჰქონდა გავლილი. შვეიცარიელის ქალიშვილი იყო. მისი მამა, დონეცკის ერთ-ერთი მაღაროს უფროსი გერმანიაში წაიყვანეს აღდგენით სამუშაოებზე. მამის ეროვნებამ უშველა და მის სამშობლოში ჩავიდა. იქიდან კი ამერიკაში აღმოჩნდა.

1967 წელს ბატონ რეზო ვაჩნაძეს შესაძლებლობა მიეცა ამერიკაში ჩასულიყო. მამამ, ფაქტობრივად, უნახავი, 26 წლის ვაჟი ნახა. მაშინ მოუთხრო შვილს თავისი თავგადასავალი. მიუხედავად იმისა, რომ გოგი ვაჩნაძეს ნორმალური სამსახურიც ჰქონდა (თავიდან ამერიკაში შავი სამუშაოებით დაიწყო, შემდეგ თავისი სპეციალობით — ინჟინრად მუშაობდა, ბოლოს ნიუ იორკის მუნიციპალიტეტში), მაინც ვერ იგუა ამერიკა. მამაჩემმა მითხრა, შენ რომ მოინდომო აქ დარჩენა, მე მაინც არ დაგტოვებო — იგონებს რეზო ვაჩნაძე.

ამერიკაშიც იგი ქართველებს ეძებდა (სხვათა შორის, ნიუ იორკში იმ დროს 20-იანი წლების სამი სახელგანთქმული ქართველი სპორტსმენი ცხოვრობდა — მოჭიდავე კოლია ქვარიანი, საბჭოთა კავშირის პირველი აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში პავლე რომანიშვილი და გოგი ვაჩნაძე) და საქართველოთი ცხოვრობდა. თუმცა, სამშობლოში დაბრუნებაზე არ უფიქრია, იმდენად დიდი იყო რეპრესიებისგან გამოყოლილი შიში.

გიორგი ვაჩნაძე 1969 წელს გარდაიცვალა.

ცხოვრება ყოველთვის როდი ეწყობა ისე, როგორც ჩვენ გვსურს. მისმა დინებამ შეიძლება იქ ამოგაყოფინოს თავი, ვერასდროს რომ წარმოიდგენდი. ქართული ფეხბურთის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა გოგი ვაჩნაძემ ნიუ იორკში გალია ცხოვრება, მაგრამ იგი შერჩა ჩვენი ფეხბურთის ისტორიას. მართალია, უფრო პოპულარულნი გახდნენ ისინი, რომელთაც შემდგომ მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატში იასპარეზეს, ისინიც, ვისაც ბედმა ტელევიზიისა და ვიდეოს ეპოქაში არგუნა ცხოვრება და მომავალ თაობას დარჩა მათი თამაში, მაგრამ ნურც იმ ფეხბურთელებს დავივიწყებთ, რომელთა შესახებაც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. იტალიაში ხომ დღესაც პოპულარულნი არიან 20-იანი წლების ვარსკვლავები — კალიგარისი და დე ვეკი. ბელგიელებსაც 20-იანი წლების მოთამაშე ემილ ჰანსე დღესაც საუკეთესოდ მიაჩნიათ. უნგრელები ფლორიან ალბერტზე და ფერენც პუშკაშზე წინაც აყენებენ იმრე შლოსერს. ჩვენც უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველ ფეხბურთელთა შესანიშნავი თანავარსკვლავედი ცარიელ ადგილზე არ მოსულა და ჩვენი ფეხბურთის წარმატებებს 20-იანი და უფრო ადრინდელი თაობის მობურთალეებმაც შეუწყვეს ხელი, რომელთა ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი გიორგი („ფსიშკა“) ვაჩნაძეც იყო. მას წელს 90 წელი შეუსრულდებოდა.

**ილია მხეიძე**



გიორგი („ფსიშკა“) ვაჩნაძე



# რა თოფი იყო?!.. ტალავერა პატარა ლინარესია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან გაფრინდაშვილი 15 წლისაა, მაგრამ მან უკვე ბევრი რამ მოასწრო. იგი მსოფლიოს ჩემპიონია 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის. 12-წლიანებში ორჯერ იყო ევროპის ჩემპიონი და ბევრ სხვა საერთაშორისო ტურნირშიც უსახელებია თავი. მოკლედ, ვალერიანის სახით ქვეყანას კიდევ ერთი კარგი მოჭადრაკე ეზრდება. სულ მალე მას მორიგი საპასუხისმგებლო შეჯიბრება ელის — 21 სექტემბერს ერევანში ერთდროულად ორი მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება — 16 და 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთათვის. უმცროს ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს ღირსებას ვალერიან გაფრინდაშვილი დაიცავს. ამ დღეებში ყმაწვილი ქუთაისელი ფიდე-ს ოსტატი ესპანეთიდან დაბრუნდა, სადაც თვეზე მეტი დაჰყო. იგი ზედიზედ სამ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა და მაღალ შედეგებსაც მიაღწია. თუმცა, ჯობს თავად მოჭადრაკეს მოვუსმინოთ.

**— ესპანეთში როგორ აღმოჩნდი? რამდენადაც ვიცი, ქართველ მოჭადრაკეთაგან იქ სხვა არავინ ყოფილა მიწვეული...**

— შარშან ესპანეთის კასტია ლამანჩას რეგიონის პატარა ქალაქ ტალავერა დელა რეინაში ჭაბუკთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ტურნირი მოეწყო. იქ წარმატებით ვითამაშე და ორგანიზატორებმა მითხრეს, გვსურს, ტურნირი ტრადიციული გავხადოთ და გაისადაც უნდა ჩამოხვიდეო. ტალავერას ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ფერნანდო ბარასა კი დამპირდა, რომ პირადად მისი სტუმარი ვიქნებოდი და მგზავრობის გარდა ყველა ხარჯებს თავად გაიღებდა.

**— შეასრულა სიტყვა?**

— რა თქმა უნდა. ბატონი ფერნანდო ყურადღებიანი კაცია. წინასწარ შემვატყობინა ტურნირის დაწყების დრო. ტალავერაში ორი კვირა მასთან ვცხოვრობდი. როგორც საკუთარ შვილს, ისე მეპყრობოდა. სხვათა შორის, ბატონ ფერნანდოს ვაჟი, ხუან იგნასიო პერსპექტიული მოჭადრაკეა. თანატოლებს შორის ესპანეთის ჩემპიონი.

**— ესე იგი პირველი ტურნირი ტალავერაში ჩატარდა...**

— დიახ, 16 წლამდე ასაკის ათი უძლიერესი მოჭადრაკე შეგვკრიბეს, წრიული სისტემით გვათამაშეს. პირველი ადგილი ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გავინაღდე, 7,5 ქულა წაუგებლად დავაგროვე. ჩემი მთავარი კონკურენტები იყვნენ საერთაშორისო ოსტატები — პეტერ აქსი (უნგრეთი), ალფონსო ლეიტე (პორტუგალია), რაფაელ გარსია მერინო (ესპანეთი). ჩვენთან ერთად გოგონამაც ითამაშა, მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონმა, 13 წლის ალექსანდრა კოსტენიუკმა (რუსეთი), რომელიც მეხუთე ადგილზე გავიდა. რომ იცოდეთ, წლეულს კოსტენიუკი თავისი ქვეყნის ჩემპიონი გახდა სწრაფ ჭადრაკში ქალთა შორის.

**— ორ სხვა ტურნირზე რას იტყვი?**

— ტალავერადან საკურორტო ქალაქ ავილესში გადავინაცვლეთ. აქ სან აუგუსტინის სახელობის ტურნირი ჩატარდა 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებისთვის. 150-ზე მეტი მონაწილე შეგროვდა, მათ შორის შვიდი საერთაშორისო ოსტატი იყო. 9 შესაძლებლიდან 6 ქულა მოვაგროვე, რაც V-VIII შედეგი აღმოჩნდა, თუმცა, კოეფიციენტთა ცხრილით მეშვიდე ადგილი მერგო. უკმაყოფილო დავრჩი, ვინაიდან მეტის მიღწევა შემეძლო.

მედინა დელ კამპოს ტურნირი უკვე 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს დაეთმო. აქაც საკმაოდ ბევრმა, 160-მა მონაწილემ იასპარეზა. ძლიერი შემადგენლობა იყო. პირველი ადგილი რუმინელ საერთაშორისო ოსტატს გაბრიელ მატეუტას ხვდა, მეორეზე კი მე გავედი — შვიდ პარტიაში 5,5 ქულა დავაგროვე. გამარჯვებული ძლივს გადამირჩა — ყაიმზე შევთანხმდით. როგორც მეორე პრიზიორი, ვიდეოკამერით დამასაჩუქრეს.

**— ერთი ეს მითხარი, უცხო ქვეყანაში მარტო როგორ დადიხარ...**

— თავიდან მიჭირდა, მაგრამ შევეჩვიე. ორი წელიწადია, ასე დავიარები. უცხო ენებიც შევისწავლე. ასე რომ, არსად დავიკარგები.

**— მუდმივი მწვრთნელი თუ გყავს?**

— პროფესიონალ მოჭადრაკედ გახდომა რომ გადავწყვიტე, ოსტატობის ასამაღლებლად თბილისში გადავედი, მაგრამ წელიწადში მხოლოდ 2-3 თვე თუ მიწევს ელგუჯა ფხაკაძესთან მეცადინეობა. იგი ნინო ხურციძის მწვრთნელია და ხშირად მას ახლავს ტურნირებზე. არადა, ძალიან მინდა ჭკუის დამრიგებელი მუდმივად მყავდეს.

**— კი მაგრამ, არ გიცდია ჩვენს ცნობილ მწვრთნელებთან და მოჭადრაკეებთან თანამშრომლობა?**

— როგორ არა, მაგრამ ეს ძალიან ძვირი ყოფილა. ოჯახს ამის საშუალება არა აქვს. მშურს ზოგიერთების, მწვრთნელზე და მშობლებზე აღარაფერს ვამბობ, საკუთარი ექიმებით ჩადიან ტურნირებზე. მამაჩემმა კი, ესპანეთში რომ წავსულიყავი, სხვა ნივთებთან ერთად საგვარეულო თოფიც გაყიდა. იცით, რა თოფი იყო!?..

**— სწავლაში როგორ გაქვს საქმე?**

— ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის მე-3 კლასიკური გიმნაზია დავამთავრე და ახლა სპორტული ლიცეუმის მეათე კლასში ვარ. ჭადრაკს ძალიან ბევრი დრო მიაქვს, ამიტომ საგნებში გამოცდებს ექსტერნად ვაბარებ. ფრიადოსანი ვარ.

**— ერევანში რისი იმედი გაქვს?**

— გამარჯვების, თუმცა, ვგრძნობ, ამჯერად ძალიან გამიჭირდება. ჩემპიონატის მასპინძლებმა 5 მონაწილის გამოყვანის უფლება მიიღეს. სომხების ამბავი ხომ იცით, აქცენტს ერთ-ერთზე გააკეთებენ. ასეც რომ არ იყოს, მათ ძლიერი მოჭადრაკეები ჰყავთ — ლევონ არონიანი, გაბრიელ სარქისიანი, ვარუშ აკოფიანი. გამარჯვებისთვის იბრძოლებენ აგრეთვე ფრანსისკო ბაეხო (ესპანეთი), ევგენი კობილკინი (უკრაინა), ვიტალი შინკევიჩი (რუსეთი). ტიტულები არცერთს აკლია.

**— მერე რას აპირებ?**

— არ დაგიმალავთ, ფერნანდო ბარასამ ორჯერ შემომთავაზა ტალავერაში დარჩენა და იქაურ საკლუბო გუნდში თამაში. ჯერ არაფერი გადამიწყვეტია, მაგრამ თუკი გადავწყვიტე ესპანეთში წასვლა, მხოლოდ მშობლებთან ერთად. ეს იქნება ჩემი მთავარი პირობა. ისე, ტალავერაში ნამდვილი საჭადრაკო ბუმია. ესპანელები მას პატარა ლინარესსაც კი უწოდებენ.

**იუზა ქაციტაძე**



ბარასამ იცის გაფრინდაშვილების ფასი

# ცივი წყალი ცეცხლოვან ესტონელებს

**აზოტი 81:75 ფაიერსი**
**რუსთავი ტალინი**

**აზოტი:** გაბისონია, ბოისა (22), კიკვიძე (3), ბეჟანიშვილი (5), წიკლაური, ჯაფარიძე (17), გოგობერიშვილი (31), კეჟაყმაძე, დავითულიანი (3)
**ესტონიან ფაიერსი:** სეელი (7), ნურია (4), ილვერი (2), ლოკოტსევსკი (12), ტიბარი, სუუიორეკი (14), ტენო (6), რენტერი, ჰენდერსონი (4), პინელა (26)
**მსაჯები:** სერგეი ბულანოვი (რუსეთი), რომან რიჟიკი (უკრაინა)

შეხვედრა „აზოტმა" ასეთი ხუთეულით დაიწყო: ბოისა, გაბისონია, ბეჟანიშვილი, ჯაფარიძე და გოგობერიშვილი. „ესტონიან ფაიერსმა" ეს სასტარტო ხუთეული არჩია: ნურია, სეელი, სუუიორეკი, ტენო და პინელა. მატჩის დაწყებისას ბურთის აგდება ტენომ მოუგო ბოისას, მაგრამ იმავე ბოისასთან ბრძოლაში ნურია დაჯარიმდა, ბოისამ 2 საჯარიმო ტყორცნიდან ერთი ჩააგდო და რუსთაველი კალათბურთელები საფეხბურთო ანგარიშით დაწინაურდნენ — 1:0. ამ წუთიდან მოყოლებული მეორე ტაიმის შუაწელამდე რუსთაველებს უპირატესობა არ დაუთმიათ და სულ წინ იყვნენ, ოღონდ, ისეთი ანგარიშით, რომ თავის დამშვიდების უფლებას არ აძლევდნენ საკუთარ თავს. ესტონელთაგან თამაშში გარდატეხის შეტანა მუდამ მოსალოდნელი იყო. მე-5 წუთისთვის „აზოტი" 3 ქულას იგებდა, ანგარიში 8:5 იყო, ამან კი ზოგიერთს ქილიკის საბაბი მისცა: აბა, წარმოიდგინეთ, ნბა-ს გუნდებს რომ ეთამაშათ, ანგარიში როგორი იქნებოდაო. რა თქმა უნდა, ასეც არის, ნბა-ს ჩემპიონატში 5 წუთში მეტოქენი გაცილებით მეტ ქულასაც მიითვლიდნენ, მაგრამ ამერიკელთა დარად თამაშს, აბა, ვინ ელოდა რუსთაველთა და ტალინელთა მატჩში. სტუმრები პრესინგზე გადავიდნენ და ამის წყალობით მარკუს ნურიამ ორიოდ წუთში 3 პერსონალური გაფრთხილება მიიღო, უმთავრესად ვლადიმერ ბოისას „წყალობით".

„აზოტი" კვლავ წინ მიიწევს — 18:10, მაგრამ მეტად მკაცრი პრესინგით ესტონელებმა მე-11 წუთისთვის 2 ქულამდე შეამცირეს სხვაობა — 18:20. მაგრამ „აზოტი" უძალიანდებოდა მეტოქის მარწუხებს და ქულათა მარაგს ზრდიდა. რამაზ გოგობერიშვილმა ორქულიანი ჩააგდო, თან ჯარიმის სროლის უფლებაც მოიპოვა, არც ეს სროლა გააცუდა და კიდევ 3 ქულა შესძინა გუნდს. ამ დროს რამაზი ალექსანდრე დავითულიანმა შეცვალა, ამანაც რამაზს მიბაძა — 2-ქულიანიც ჩაუთვალეს და საჯარიმო სროლითაც დააჯილდოვეს მსაჯებმა, ოღონდ მეგობრისგან განსხვავებით დავითულიანი ამ ორ ქულას დასჯერდა. ამ დროს „აზოტი" გვარიანად დაწინაურდა (30:18) და მოედნიდან გასული ბოისაც დაბრუნდა.

პირველ ტაიმში მხოლოდ 2 სამქულიანი ჩააგდეს კალათბურთელებმა, ერთი ჩვენმა ბეჟანიშვილმა, ერთიც ლოკოტსევსკიმ. ხსენებაზე, ტალინელთა 9 ნომერმა, რომ იტყვიან, გატანჯა რუსთაველები, რა არ იღონეს, მაგრამ მისი სრული განეიტრალება ვერ შეძლეს. არც პინელა ჩამორჩა მას — პირველ ტაიმში სისხლი გაუშრო ბოისას, რომელიც მატჩის შემდეგ იტყვის: „მომკლა მაგ ოხერის დევნამ, გამაწამა კაცი, მაგრამ მეორე ტაიმის მე-7 წუთისთვის მივხვდი, როგორ უნდა მომევლო პინელასთვის".

თავხოტორა ლოკოტსევსკიმ გუნდის ლიდერობა იკისრა, ბოლომდეც ერთგულად ზიდა ეს ტვირთი, შედეგიანობითაც გამოირჩეოდა თანაგუნდელებში, მაგრამ არც უზუსტესი პასები და ფარქვეშ თამაში იცოდა ნაკლებად. მატჩის გმირი კი მაინც ვლადიმერ ბოისა იყო, ჯერ კიდევ 16 წლის ჭაბუკი, რომელმაც ტოლი არ დაუდო მასზე ათგზის გამოცდილ მეტოქეებს და თანაგუნდელებს. მას არც შავი სამუშაო დაჰკლებია მოედანზე და შედეგიანობით აზოტელთაგან მეორე იყო.

ტალინელებმა მერე მჭიდრო მეურვეობაზე უარი თქვეს და მას ზონური დაცვა ამჯობინეს. ამან ორივე გუნდის კალათბურთელებს ხელები გაუხსნა და კალათისკენ ნატყორცნი ბურთებიც გახშირდა. მანამდე რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო და ამან შედეგი გამოიღო, მაგრამ ტალინელები მაინც გაძალიანდნენ, ტაიმის მიწურულს ჯერ 10 ქულამდე შეამცირეს სხვაობა, მალე 3 ქულაც „ამოქაჩეს". მსაჯის სასტვენამდე მეტოქეებმა ორ-ორი ორქულიანი ზუსტად ისროლეს და პირველი ტაიმიც დასრულდა — 40:33. ამ ტაიმში ისიც იყო ნიშანდობლივი, რომ რუსთაველთაგან მხოლოდ ბოისამ შეძლო 2 საჯარიმოდან ორივეს ჩაგდება, სამწუხაროდ, სხვებმა ან თითო, ან ორივე ტყორცნა გააცუდეს. ეს რომ არა, „აზოტის" წარმატება პირველ 20 წუთში უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა.

მეორე ტაიმიც ბოისას ზუსტი ტყორცნით დაიწყო — 42:33. შემდეგ ტალინელთა 4 ქულას „აზოტმა" ექვსით უპასუხა. გოგობერიშვილმა 4 ქულაც შემატა გუნდს, კვლავ ბოისა, ირაკლი ჯაფარიძე, ისევ გოგობერიშვილი და რუსთაველები 19 ქულით დაწინაურდნენ. 7 წუთი იყო გასული მეორე ტაიმის დაწყებიდან, ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ „აზოტს" დიდი სხვაობით უნდა მოეგო, მაგრამ ამ დროს იაკ სალუმეეცმა წუთშესვენება აიღო, შეიძლება ითქვას, დროულად. ეტყობა, ცალი ყურით შესმენილი მწვრთნელის რჩევა-დარიგება ესტონელებმა მეორე ყურიდან არ გაუშვეს და გონებაში კარგად ჩაიჭედეს ბალტიისპირელებმა, რაკი ნახეს, განწირულნი იყვნენ, მეტად გააქტიურდნენ. ყველაფერი იღონეს, რომ თამაშში გარდატეხა შეეტანათ და მიაღწიეს კიდეც მიზანს. გარდატეხა კი პროტ პინელამ დაიწყო, როცა თავად 4 პერსონალური ჯარიმის მფლობელმა, ბოისას მესამე პერსონალური მიალებინა და ორივე ჯარიმაც ჩააგდო. ამას გოგობერიშვილის ლამაზი და შედეგიანი სამქულიანი მოჰყვა. ტალინელებმა, რომ იტყვიან, აიწყვიტეს და მათ შესაჩერებლად არც ხმელიძის აღებულმა წუთშესვენებამ იკმარა, არც რამაზ გოგობერიშვილის, ბადრი კიკვიძისა და ირაკლი ჯაფარიძის თავგამეტებულმა თამაშმა. რუსთაველებს, ცოტა არ იყოს, დაღლა და ოდნავი დაბნეულობაც დაეტყოთ და თამაშის სადავეები დროებით მეტოქეს გადაულოცეს. ეგ კი არა, მთელი 3 წუთი ჩვენები 61 ქულას ვერ ასცდნენ. ნავსი ბოლოს ისევ გოგობერიშვილმა გატეხა და 3 საჯარიმო ჩააგდო, თუმცა ამ დროს ესტონელები მხოლოდ 7 ქულას აგებდნენ — 57:64. ტალინელები მაინც უფრო ზუსტნი იყვნენ, ვიდრე ჩვენები, თან საჯარიმო ტყორცნებიც შედეგიანი ჰქონდათ. ამის წყალობით სეელმა ბოლოს და ბოლოს შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 66:66. ბეჟანიშვილმა კი დააწინაურა აზოტი, მაგრამ იმ ავადსახსენებელმა პინელამ ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი საჯარიმოთი 1 ქულით დააწინაურა თავისიანები 69:68. ამ მატჩში მხოლოდ ამ ეპიზოდში დაწინაურდნენ სტუმრები. ყველა ფიქრობდა, რომ ტალინელები შეხვედრას მოგებამდე მიიყვანდნენ, მით უმეტეს, რომ ამ დროისთვის 5 პერსონალურის გამო გაბისონიას დაატოვებინეს მოედანი. მის ნაცვლად კი 4 პერსონალურით გოგობერიშვილი დაბრუნდა. ამ დროისთვის 5 წუთი რჩებოდა მატჩის დასრულებამდე. ერთი შეხედვით, ფორტუნა კარგს არაფერს უქადდა რუსთაველებს. გაუკუღმართებული საქმის წალმა შემობრუნება მაინც შეძლეს ჩვენებურებმა. ეს კი მაშინ დაიწყო, როცა ბოისამ ლოკოტსევსკის მეხუთე პერსონალური „აჰკიდა", თვითონ კი ორივე საჯარიმო ჩააგდო. აზოტელები გამოცოცხლდნენ და კიკვიძემ და ჯაფარიძემაც გამოიღეს ხელი — პირველის სამქულიანს მეორემ ორი ქულა მოაყოლა, კიკვიძის ჯიბრით კი სუუიორეკმაც 3 ქულიანი ჩააგდო. მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე კვლავ გამოიკვეთა „აზოტის" უპირატესობა — 77:74. სანერვიულო აღარაფერი იყო, ესტონელები ლოკოტსევსკის არყოფნამ წელში გატეხა, ამ დროს გოგობერიშვილმა ისევ „აიწყვიტა", ბერუაშვილმაც მეტად იყოჩაღა, მათ მოგროვებულ ქულებს ესტონელებმა ერთი ზუსტი საჯარიმო ტყორცნითღა უპასუხეს. საბოლოოდ „აზოტმა" გაიმარჯვა — 81:75.

ალბათ, ღირს აღნიშვნად: ამ მატჩისას სპორტის სასახლის ტრიბუნები არ შევსებულა, მაგრამ 7 ათას კაცამდე კი ქომაგობდა „აზოტს", მეტწილად კი რუსთაველები ისხდნენ ტრიბუნებზე, დაახლოებით 4 000 კაცი.

„ესტონიან ფაიერსის" მწვრთნელი იაკ სალუმეეცი, წაგების მიუხედავად, ჩინებულ გუნებაზე იყო და მცირე ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა.

**— ბატონო იაკ, კმაყოფილი ხართ შედეგით?**

— მხოლოდ ექვსი ქულა წავაგეთ, ისიც სტუმრად, ამით ჩვენს მიზანს მივაღწიეთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ჩვენი პროგრამა-მინიმუმი.

**— მომავალ მატჩზე რას იტყვით?**

— ტალინში უთუოდ გავიმარჯვებთ და კორაჩის თასის შემდეგ ეტაპზეც ჩვენ გავალთ.

**— თქვენი სიტყვები მეტოქის ძალების შეუფასებლობის შედეგი ხომ არ არის?**

— გუნდს, რომელიც 19 ქულას იგებს და 5-7 წუთში ამხელა უპირატესობას დათმობს, არ შეიძლება საშიში ეწოდოს. პერსპექტიული გუნდია „აზოტი", ნიჭიერი ბიჭები თამაშობენ, მაგრამ მეტი გამოცდილების წყალობით მაინც ჩვენ გავალთ მეორე წრეში. მოკლედ, ნუ მიწყენთ — არანაირი შანსი არა გაქვთ სატალინო მატჩში.

**— დღეს თქვენი გუნდიდან ვის გამოყოფდით?**

— ყველამ თავისი საქმე გააკეთა. დღეს ითამაშა გუნდმა და არა ცალკეულმა კალათბურთელებმა.

**— ლოკოტსევსკი არ გამოირჩეოდა სხვებზე მეტად?**

— ეგ თქვენი პირადი აზრია, მე მაინც ჩემსაზე ვდგევარ.

**— კარგით. რუსთაველთაგან ვინ მოგეწონათ?**

— აი, ამაზე სიამოვნებით გიპასუხებთ. ის მომეწონა ძალიან, 5 ნომერი, მთლად ბავშვი რომ არის. ეგ ბიჭი დიდ კალათბურთს ითამაშებს.

დიდი მომავალი და კარიერა რომ ელის ვლადიმერ ბოისას, ამას, აბა, სალუმეეცის დასტური რად უნდა, ეს ჩვენში ყველამ იცის, ვისაც კალათბურთისა გაეგება რამე. ბოისა „აზოტის" მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემაც გამოყო — ჩვენს გუნდში საუკეთესო იყოო, კიდევ გოგობერიშვილი, ჯაფარიძე და გაბისონია გამოარჩია, როგორც საუკეთესოდ მოთამაშენი. ოღონდ, ესტონელ კოლეგას არ დაეთანხმა ბატონი ოთარი და ეს ბუნებრივიცაა — ყველა მწვრთნელი ხომ საკუთარი არშინით ზომავს და მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს: კი, 19 ქულას ვიგებდით და დავთმეთ უპირატესობა, მაგრამ ის ფაქტი, რომ 19 ქულით დაწინაურება შეგვიძლია, ანაც ლამის წაგებული მატჩის შემოტრიალება და მოგება, იმას არ ნიშნავს, რომ პოტენციურად ბევრის შემძლენი ვართ. თუ არბიტრებმა მომავალ შეხვედრაში ნორმალურად იმსაჯეს, მაშინ ორივე გუნდს შემდეგ წრეში გასვლის თანაბარი შანსი ექნება — დარწმუნებულია ხმელიძე.

მატჩის 16 წლის გმირი ვლადიმერ ბოისა კი მეტად გახარებული იყო. გასახდელიდან რატომღაც სულ ბოლოს გამოვიდა და მორჩილად გაემზადა ჩემს კითხვებზე საპასუხოდ. პირველ რიგში კი, ზემოთ რომ მოგახსენეთ, ის საიდუმლო გამიმხილა.

— პინელას დევნამ ლამის მომკლა, დამქანცა მაგ ესტონელმა, მერე, მეორე ტაიმის თითქმის მიწურულს რაღაცნაირად ჩავხვდი მისი თამაშის სტილსა და ხასიათს — ბურთს არ მიაღებინებ, საშიში არ არის, თუ მიიღო, მერე ვერას გააწყობ. ამიტომ მისკენ გამიზნული პასების ჩაჭრაზე დავიწყე მუშაობა.

**— მოედანზე ყველაზე უმცროსი და გამოუცდელი იყავი. ეს არ გბოჭავდა?**

— კი, თავიდან ცოტა მეშინოდა, საერთოდ, უფროსების წინააღმდეგ ასეთი დონის ტურნირში არ მითამაშია, მერე ნელ-ნელა დავწყნარდი, აღარ ვღელავდი და, მგონი, თამაშიც გამოვიდა.

**— ორივე გუნდის მწვრთნელებმა შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ გაღიარეს.**

— ძალიან მიხარია, რომ ეს თქვეს. საერთოდ, დღეს ძალიან გახარებული ვარ გამარჯვებით. თავი არავის დაუზოგავს ჩვენგან და მომავალ მატჩშიც ასე იქნება.

**— ბოლოს დაღლა შეგეტყო...**

— ასე არასდროს დავღლილვარ. მაინც სხვა საქმეა უფროსებთან თამაში — სიქა გამაძვრეს.

რუსთაველთაგან ყველაზე შედეგიანი რამაზ გოგობერიშვილი იყო — მან 31 ქულა მოაგროვა, ბოისა 22 ქულით მეორეა. რამაზიც, რა თქმა უნდა, გახარებული იყო „აზოტის" პირველი დიდი წარმატებით, მით უმეტეს, თავად ლომის წილი დაიდო ტალინელთა დამარცხებაში. გოგობერიშვილმა საბერძნეთში, სალონიკის „მენტში" დაჰყო 3 წელი და რაკი გუნდი ევროტურნირების საგზურს ვერ ეღირსა, წელს აღარ განაახლა კონტრაქტი და საქართველოს მოაშურა, როგორც ვნახეთ, „აზოტშიც" აღმოჩნდა და უმისოდ ეს გამარჯვებაც არ იქნებოდა. რამაზიც იმედიანადაა და სატალინოდ უცილობელ მოგებას თუ არა, ისეთ ანგარიშს გვპირდება, „აზოტი" მეორე წრეში რომ გავიდეს. ვნახოთ, ღმერთმა ქნას!

წლევანდელი საკალათბურთო სეზონი რუსთავის „აზოტმა" გამარჯვებით დაიწყო. მთლად საქმე არა, მაგრამ საქმის ნახევარი გაკეთდა. დანარჩენი კი ხმელიძესა და მის ბიჭებზეა დამოკიდებული. ქომაგთა ვახარება რომ შეძლებიათ, ეს რუსთაველებმა დაამტკიცეს.

**ლევან ჯავახიშვილი**



ვლადიმერ ბოისა (№5) რუსთაველთაგან საუკეთესო იყო


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**უეფას თასი. 1/32 ფინალი.** პირველი მატჩები
16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დეპორტივო — ოსერი | (1,3-2,8) | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ზალცბურგი — ანდერლეხტი | (4,0-1,15) | 2,1 | 2,8 | 2,7 |
| პაოკი — არსენალი | (7,5-1,05) | 2,8 | 2,9 | 2,0 |
| ვიძევი — უდინეზე | (7,5-1,05) | 3,2 | 2,7 | 1,9 |
| აიაქსი — მარიბორი | (1,01-15,0) | 1,01 | 7,0 | 16,0 |
| ლიონი — ბრონდბიუ | (1,55-1,9) | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| მოზირი — დინამო (თბილისი) | | ანგარიში — 4,5 | | |
| ვალიადოლიდი — სკონტო | (1,1-5,0) | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| გიმარაეში — ლაციო | (5,0-1,1) | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| სტრასბური — რეინჯერსი | (1,6-1,8) | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| მტკ — ალანია | (4,0-1,15) | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| შალკე — ჰაიდუკი | (1,2-3,5) | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| ბასტია — ბენფიკა | (1,6-1,8) | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| სიონი — სპარტაკი (მ) | (2,3-1,4) | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| ოფი — ფერენცვაროში | (1,9-1,55) | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| სამპდორია — ბილბაო | (1,25-3,1) | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| ბორდო — ასტონ ვილა | (1,55-1,9) | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| სტიაუა — ფენერბაჰჩე | (1,8-1,6) | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| როტორი — ერებრუ | (1,25-3,1) | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ჯაზი — მიუნხენი | (15,0-1,01) | 8,0 | 4,7 | 1,15 |
| ტრაბზონსპორი — ბოხუმი | (3,1-1,25) | 2,0 | 2,9 | 2,8 |
| კროაცია — გრასჰოპერი | (1,3-2,8) | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ვიტესი — ბრაგა | (1,7-1,7) | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| რაპიდი — ჰაპოელი (ფ-თ) | (1,25-3,1) | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ინტერი — ქსამაქსი | (1,01-15,0) | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| სელტიკი — ლივერპული | (4,0-1,15) | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| მუსკრონი — მეცი | (5,0-1,1) | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ტვენტე — ლილესტრიომი | (1,2-3,5) | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ბეითარი — ბრიუგე | (5,0-1,1) | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ატლეტიკო — ლესტერი | (1,2-3,5) | 1,2 | 4,2 | 7,0 |
| ორჰუსი — ნანტი | (4,0-1,15) | 2,9 | 2,8 | 2,0 |
| კარლსრუე — ანორთოსისი | (1,01-15,0) | 1,05 | 6,0 | 12,0 |

**ჩემპიონთა ლიგა. I ტური**
17 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტა — პარმა | 3,2 | 2,7 | 1,9 |
| გალათასარაი— დორტმუნდი | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| კოშიცე — მანჩესტერ იუნაიტედი | 7,0 | 4,2 | 1,2 |
| იუვენტუსი — ფეიენოორდი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ეინდჰოვენი — დინამო | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ნიუკასლი — ბარსელონა | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| რეალი — რუსენბორგი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ოლიმპიაკოსი — პორტუ | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ბაიერნი — ბეშიქთაში | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| პსჟ — გეტებორგი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| სპორტინგი — მონაკო | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ლევერკუზენი — ლიერსი | 1,15 | 4,7 | 8,0 |

**თასების თასი. 1/16 ფინალი.** პირველი მატჩები
18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქოჩაელისფერი — ნაციონალი | (1,7-1,7) | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| აპოელი — შტურმი | (7,5-1,05) | 4,0 | 3,1 | 1,6 |
| შტუტგარტი — ვესტმანაეიარი | (1,01-15,0) | 1,01 | 7,0 | 16,0 |
| ბოავიშტა — შახტიორი | (1,15-4,0) | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ეკერენი — ცრვენა ზვეზდა | (3,1-1,25) | 2,0 | 2,9 | 2,8 |
| აიკ — პრიმორიე | (1,15-4,0) | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| აეკ — დინაბურგი | (1,01-15,0) | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| სლავია (პრ.) — ლუცერნი | (1,55-1,9) | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ჰაპოელი (ბ-შ) — როდა | (3,5-1,2) | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ზაგრები — ტრომსო | (1,2-3,5) | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| კოპენჰაგენი — არარატი | (1,01-15,0) | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| ბელშინა — ლოკომოტივი (მ) | (7,5-1,05) | 4,0 | 3,1 | 1,6 |
| ჩელსი — სლოვანი | (1,05-7,5) | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ნიცა — კოლმარნოკი | (1,4-2,3) | 1,3 | 3,6 | 6,0 |
| ბეტისი — ვაშუტაში | (1,01-15,0) | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| ვიჩენცა — ლეგია | (1,05-7,5) | 1,05 | 6,0 | 12,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

# გაჩუქებული მედლები

*სამი წელიწადი გვაშორებს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებს. ატლანტაში ხელმოცარული თითქმის ყველა ჩვენი სპორტსმენი იქადნება, რომ სიდნეიდან ხელდამშვენებული დაბრუნდება, თუკი ხელშეწყობა ექნებათ სპორტის მესვეურთაგან. ისინიც მწირი საბიუჯეტო თანხებით შეძლებისდაგვარად ცდილობენ ხელი გაუმართონ სიდნეისკენ იმედით მომზირალთ, მაგრამ, იქნებ დროა, მარტო შინაურთა, ჯერჯერობით საქართველოს შემორჩენილთა დახმარება-მომზადებაზე კი არა, გაკარეულებულთა დაბრუნებაზეც გვეფიქრა. აბა, რა აზრი აქვს ისეთი სპორტსმენის იმედად ყოფნას, რომლის კარიერის საუკეთესო შედეგი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე დაკავებული, ვთქვათ, მე-15 ადგილია და რომელიც თითო-ოროლა მცირე საერთაშორისო ტურნირის პრიზიორობით თუ დაიკვეხნის. მავანნი ჯიუტად ამზადებენ მათ საოლიმპიადოდ. საქართველოში სპორტი არ არის ისე გაფუფუნებული, რომ ყველა, ვინც კი ლიცენზიას მოიპოვებს, ოლიმპიადაზე გავუშვათ, პრინციპი — „მთავარია მონაწილეობა და არა შედეგი" — ჯერჯერობით საჩვენოდ არ გამოდგება.*

*სათქმელსაც მივადექი: ქართული სპორტის თავკაცებმა თითოეული კაპიკი, ბიუჯეტიდან ბოძებული, ყაირათიანად უნდა დახარჯონ და მოგებაც წინასწარ უნდა გათვალონ. ახალბედა და არაერთგზის ხელმოცარულ სპორტსმენებზე გადაყოლას, არ სჯობს, ვთქვათ, მშვილდოსანი ნატო ნასარიძე დავიბრუნოთ, რომელსაც დღევანდელი გადასახედიდან დიდი შანსი აქვს სიდნეიში მედლის მოგებისა, მაგრამ ის მედალი ვის კოლექციას გაამდიდრებს, აი, ეს არის საკითხავი. 1991 წელს ჩვენს სპორტსმენებს მაშინდელ ესენგეს ჩემპიონატებზე ასპარეზობის ნება აღარ დართეს, ნატომ თურქეთს მიაშურა და ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო. თურქეთის სახელით არაერთი წარმატებას მიაღწია, ასახელა ეს ქვეყანა და საჩვენო მედლებიც უხვად მიუძღვნა იქაურ ქომაგებს. რა დასამალია, ნატოს გული მოუწევს სამშობლოსკენ, მაგრამ როგორც ნამდვილ პროფესიონალს სჩვევია, არ ჩქარობს, რადგან ცხოვრებაში მხოლოდ ეს საქმე — მშვილდოსნობა ემარჯვება და უნდა, ბოლომდე გაიხარჯოს, უფრო დიდ სპორტსმენად იქცეს და სპორტიდანაც მთლიანად მიიღოს კუთვნილი. საქართველოში კი დღეს ამის საშუალება არ არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუ მავანნი მოინდომებენ, ნატო ნასარიძეს დავიბრუნებთ და ერთ სახელიან სპორტსმენსაც შევიმატებთ.*

*ნატო ნასარიძე და მისი მწვრთნელი ვლადიმერ ლეკვეიშვილი ახლახან მცირე ხნით დაბრუნდნენ თურქეთიდან, პატივი დაგვდეს და თხოვნისთანავე რედაქციაში გვეწვივნენ. ნატოს საუბრის დასაწყისშივე ვკითხე საქართველოდან წასვლის მიზეზი. აი, რა მიპასუხა.*

— იმხანად, 1991 წელს, ქართველ სპორტსმენებს აგვეკრძალა ესენგეს ჩემპიონატებსა და ტურნირებში ასპარეზობა, უცხოურ შეჯიბრებებზე კი ხელი არ მიგვიწვდებოდა, რადგან საერთაშორისო სპორტული ფედერაციები საქართველოს ფედერაციებს დამოუკიდებლად არ სცნობდნენ. ერთადერთი შანსი დიდ ტურნირებში ასპარეზობისა ესენგეს ნაკრებში მოხვედრა იყო. ბარსელონის ოლიმპიადა კარს იყო მომდგარი და მე და ხათუნა ქვრივიშვილი, ესენგეს მშვილდოსანთა ნაკრების წევრები, საოლიმპიადო გუნდის კანდიდატებად ვითვლებოდით. მაგრამ ჩვენ წინასწარ ვიცოდით, რომ 3 კაციან გუნდში ორ ქართველს ოლიმპიადაზე არავინ წაიყვანდა, ან მე უნდა დავრჩენილიყავი შინ, ან ხათუნა. ამ დროს თურქეთის სახელით ბარსელონაში ასპარეზობის შანსი გამიჩნდა, ბევრი ვიყოყმანე, მაგრამ უკეთესი ვარიანტი არ გამოჩნდა და თურქებს დავყაბულდი. ამით ხათუნასაც არ გადაველობე წინ და ისიც ბარსელონაში წაიყვანეს.

**— თურქეთში როგორ მოხვდი?**

— ანტალიაში ყოველ წელს საერთაშორისო ტურნირი ტარდება. ქართველი მშვილდოსნები ხშირად ვსტუმრობდით ანტალიას და ჩვენმა ნაკრებმა 1991 წელსაც იასპარეზა ამ შეჯიბრებაში. სწორედ მაშინ შემომთავაზა თურქეთის სროლის ფედერაციის პრეზიდენტმა ურ ერდენერმა ანტალიის მშვილდოსანთა კლუბ „ტულანში" გამოსვლა. დავთანხმდი. თურქებს თურმე სხვა რამ ჩაეფიქრებინათ — ჩემი გადაბირება სურდათ. მალე თურქეთის მოქალაქეობის მიღებაზე ჩამომიგდეს სიტყვა. თავიდან შორს დავიჭირე მათი წინადადება, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ ოლიმპიადაზე წასვლისა და, საერთოდ, დიდ სპორტში დარჩენისა და სპორტული კარიერის გაგრძელების სხვა შანსი არ მქონდა.

**— როგორ შეგხვდნენ თურქები?**

— საუარჯიშოდ ყველა პირობა შემიქმნეს. მე და ჩემი მწვრთნელი ვლადიმერ ლეკვეიშვილი ანკარიდან 200 კილომეტრში, საკურორტო ქალაქ კასტანომუში დავბინავდით. ზამთრის საკურორტო ქალაქია, ბაკურიანს ჰგავს. ანაზღაურებაც ნორმალური მაქვს, იმის შესაბამისი, რა ადგილიც უჭირავს მშვილდოსნობას თურქეთის სპორტულ ცხოვრებაში. სხვათა შორის, იქაური ფედერაციის თავკაცებმა დღემდე 4 მანქანა მაჩუქეს ჩემი წარმატებების საზღაურად.

**— სანაცვლოდ რა მოუნაგრე თურქ სპორტის გულშემატკივრებს?**

— თურქეთის სახელით ორჯერ ევროპის ჩემპიონი გავხდი. ერთხელ — აბსოლუტური, მეორედ კი გუნდურში ვიყავი პირველი. 1995 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე პირად პირველობაში მესამე ვიყავი. წელს პირადში კვლავ მესამე ადგილი დავიჭირე. ამას გარდა, თურქეთის ნაკრებში ევროპისა და მსოფლიოს არაერთი რეკორდი დავამყარე.

**— გამიგია, ნასარიძის თურქეთში ჩასვლას მშვილდოსნობის ბუმი მოჰყვაო. გადაჭარბებული ხომ არ არის?**

*ამ კითხვაზე ნატოს ნაცვლად ვლადიმერ ლეკვეიშვილმა მიპასუხა.*

— როცა ნატო თურქეთში ჩავიდა, უკვე ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი იყო, ევროპის რეკორდსმენი და, რა გასაკვირია, რომ მის ჩასვლას თურქეთში მშვილდოსნობის აყვავება მოჰყვა. ნატო იმთავითვე გახდა პოპულარული, კასტანომუში ბავშვებმა მისი ხათრით მშვილდოსნობაზე სიარული დაიწყეს. თურქებს ნატოს დარი მშვილდოსნები დღემდე არ ჰყოლიათ. ნატოს თანაგუნდელებმა ელიფალთი კაინაკმა, ელი ექშიმ, ზეხრა ოქტენმა და დენის გუნაიმ ახლაღა გაითქვეს სახელი, ნატოსგან ბევრი რამ ისწავლეს. ფაქტია, ნატო რომ არა, თურქებს დღესდღეობით ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები არ ეყოლებოდათ.

**— ბატონო ვლადიმერ, მოდით, თქვენზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. თურქეთში ნატოს პირად მწვრთნელად გცნობენ მხოლოდ, თუ სხვა საქმესაც მოჰკიდეთ ხელი?**

— ძირითადად ნატოს წვრთნით ვარ დაკავებული. თავისუფალ დროს იქაურ ბავშვთა გუნდებს ვავარჯიშებ, ვარ თურქეთის მშვილდოსანთა ნაკრების მწვრთნელთა საბჭოს წევრი. ჩემს რჩევასა და კონსულტაციას, როგორც ნატო ნასარიძის დამკვალიანებლისას, დიდად აფასებენ და ეს თანამდებობაც თვითონ თურქებმა შემომთავაზეს.

თურქეთში, როგორც ყველგან, მწვრთნელს სპორტსმენზე გაცილებით ნაკლებს უხდიან. მათ შორის, მეც, მაგრამ ნატოს წარმატებების კვალობაზე საკმაოდ სოლიდურ თანხას მაძლევენ და ამ მხრივ საწუწუნო არაფერი მაქვს.

**— თურქები თავიანთი მშვილდოსანთა ნაკრების მწვრთნელობას ხომ არ გპირდებიან?**

— არა, რომ იტყვიან, ამის შანსი არც მაქვს. თანაც, მშვილდოსნობის ფედერაციის ზოგიერთ ხელმძღვანელთან არ მაქვს კარგი ურთიერთობა — ბევრს გულზე არ ვეხატები, რადგან ისეთი სპორტსმენის მწვრთნელი ვარ, როგორიც ნატო ნასარიძეა.

**— ამჟამად ვინ არის თურქეთის ქალთა ნაკრების მწვრთნელი?**

— იტალიელი მარიო კოდისპოტი. ეს უკვე 70 წელს გადაცილებული კაცი იტალიის ვაჟთა ნაკრების ყოფილი თავკაცია. თავის დროზე ცნობილი იტალიელი მშვილდოსნები — ფერარა და სპიგარელი გაუზრდია, მაგრამ ახლა აღარ ეთქმის კარგი მწვრთნელი. არც ნატოს, არც ნაკრების ზოგიერთ წევრს არ სურთ ეს კაცი თავიანთ დამრიგებლად. გუნდში მარიოს თავისი ფავორიტები ჰყავს, თავად ანტალიელია და იქაურ კაინაკსა და ოქტენს ეფერება, მათთვის არაფერს იშურებს. სწორედ მარიოსთან დაპირისპირების გამო არ გაემგზავრა ნასარიძე ახლახან კანადის მსოფლიოს ჩემპიონატზე. მარიომ კი გუნდის მეორე ნომერი, დენიზ გუნაი არ წაიყვანა და მის ადგილას გუნაიზე სუსტი, მეოთხე ნომერი დააყენა. მოკლედ, სანამ კოდისპოტი იქ არის, ნატო თურქეთის ნაკრებში დამბრუნებელი აღარაა.



ნატო ნასარიძე და ვლადიმერ ლეკვეიშვილი

*ნატო ნასარიძეს თურქეთში ხელისგულზე ატარებენ. ორჯერ ზედიზედ — 1995 და 1996 წლებში თურქეთის საუკეთესო სპორტსმენ ქალად აღიარეს. წელსაც ამ წოდების უპირველესი მაძიებელია, რადგან იქაურ ქალ სპორტსმენთაგან ყველაზე მეტი ტიტული მოიპოვა. ამას წინათ კი ქართველი მშვილდოსნის მადლიერმა თურქმა ქომაგებმა ნატოს უჩვეულო სიურპრიზი უძღვნეს — კასტანომუს მუნიციპალიტეტმა მოსახლეობის სურვილით ნატო ნასარიძე ქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩია. ეს რომ სხვა ქვეყანაში მომხდარიყო, გასაოცარი არაფერი იქნებოდა, მაგრამ თურქეთში? იმ ქვეყანაში, სადაც ჩვენებურმა ქალებმა საქვეყნოდ შეირცხვინეს თავი და წესიერ თურქს ქართველი ქალის გაგონებაც არ უნდა. ნატოსთან შეწყვეტილი ინტერვიუც ამ თემაზე საუბრით განვაახლე.*

— კი, ქართველ ქალებს თურქები ალმაცერად უცქერენ, თავიდან მეც მქონდა პატარ-პატარა უსიამოვნებები, მაგრამ თურქებს ცუდისა და კარგის გარჩევა არ ეშლებათ, მით უმეტეს, მე მალე ავითვისე თურქული ენა და ამით ყველა პრობლემა მოვაგვარე. ახლა თურქებს, კაცსაც და ქალსაც, ერთნაირად ვუყვარვარ, მთავარია, სპორტის ჭეშმარიტი ქომაგი იყოს.

**— თავიდან როგორ მიგიღეს გუნდში, იქაურ გოგონებს მალე შეეწყვე?**

— ამ მხრივ პრობლემა არ მქონია. ნაკრების ყველა წევრი გულღია და ალალი გოგონაა. მალე გავუგეთ ერთმანეთს და ახლა ვმეგობრობთ კიდეც.

**— ნატო, შენს გარდა არაერთმა ჩვენებურმა სპორტსმენმა მიაშურა თურქეთს. ზოგმა მოქალაქეობა მიიღო, ზოგი იქაურ კლუბებში ასპარეზობდა. თუ გქონდა მათთან ურთიერთობა?**

— ძიუდოისტ ირაკლი უზნაძესა და მოკრივე აკაკი კაკაურიძეს ვხვდებოდი, უმთავრესად, თურქეთის ეროვნული ნაკრებების ერთობლივ შეკრებებზე. აკაკი წამოვიდა თურქეთიდან, ირაკლი ჯერ იქ არის, მაგრამ ისიც წამოსვლას აპირებს.

მე და ჩემი მწვრთნელი „ტრაბზონსფორის" დიდი გულშემატკივრები ვიყავით, რადგან გუნდში მუდამ იყვნენ ქართველი ბიჭები. ახლა გოჩა ჯამარაულიღა შემორჩა. ჯამარა არ გაახარეს თურქებმა, თორემ სხვაზე ნაკლები არ არის, ვნახოთ, თუ გოჩა დარჩა „ტრაბზონსფორში", მეც ამ გუნდს ვუქომაგებ, თუ არადა, თურქების ჩემპიონატს აღარ ვუყურებ.

**— ხათუნა ქვრივიშვილისა თუ იცი რამე?**

— ხათუნა, გეცოდინება, ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ ამერიკაში დარჩა. მას შემდეგ მუდმივად ვურეკავთ ერთმანეთს. ვარჯიში, ფაქტობრივად, არ შეუწყვეტია, მაგრამ ახალახან სრული დატვირთვით დაიწყო ვარჯიში და ნელ-ნელა ფორმაშიც შედის — ამასწინათ ლას ვეგასის ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა, მანამდე წვრილ-წვრილ ტურნირებშიც გაიმარჯვა. ლას ვეგასის ტურნირი იმით არის გამორჩეული, რომ ამერიკული ტურნირების წლის შემაჯამებელი შეჯიბრებაა და გამოდის, რომ ხათუნა წლევანდელი შედეგით მეორე იყო ამერიკაში.

**— როგორც ვიცი, ხათუნამ ისე გადაწყვიტა დარჩენა ამერიკაში, იქ, ფაქტობრივად, პატრონი არ ჰყავდა და არც დასარჩენად მოესინჯა მანამდე ნიადაგი.**

— ხათუნამ მაინც გაიტანა თავისი, ინგლისური ენა ისწავლა, იქაური მშვილდოსნობის მესვეურნიც დაინტერესდნენ — ბოლოს და ბოლოს, ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორია. ასე თუ ისე, ნორმალურად ცხოვრობს. ერთი პრობლემა აქვს — მწვრთნელი არ ჰყავს და კასტანომუში ხშირად უგზავნის ფაქსს ვლადიმერ ლეკვეიშვილს, ვოვა მასწავლებელიც ფაქსითა და ტელეფონით უწევს კონსულტაციას. სამომავლოდ ჩვენთან, თურქეთშიც აპირებს ჩამოსვლას, ერთად გვინდა ვივარჯიშოთ და ვოვა მასწავლებლის წყალობით ახალ იარაღსაც შეეჩვიოს.

**— ხათუნა ვერ ახერხებს ამერიკის მოქალაქეობის მიღებას?**

— ჯერჯერობით ამერიკაში ცხოვრების უფლება მოიპოვა. ესეც დიდი საქმეა. ისე, ერთ კარგ ამბავსაც გეტყვი: ხათუნა სიდნეის ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით გამოსვლას აპირებს, ოღონდ ამერიკაში მოემზადება. ალბათ, სპორტის აქაური თავკაცებისგან ხელშეწყობაც დასჭირდება, მაგრამ უმთავრესს ხომ ხათუნა თავის თავზე იღებს: იარაღს, სასროლეთს და რაღაც წვრილმანებს — ვთქვათ, კვებასა და დანარჩენ ინვენტარს არ ითხოვს. ვფიქრობ, ასე ბევრი უცხოეთში წასული ქართველი არ მოქცეულა.

**— შენ არ აპირებ დაბრუნებას?**

— გული მომიწევს საქართველოსკენ, მაგრამ აქ ხომ პირობები არ არის, დიდ სპორტში თავი რომ შეინახო და ხვალინდელ წარმატებაზეც იფიქრო. თუ ხელშეწყობა მექნება, რა თქმა უნდა, დავბრუნდები სამშობლოში. თბილისში ხომ ოჯახი და მეგობრები მეგულება. მათაც გულით სურთ ჩემი სამუდამოდ დაბრუნება.

**— ვთქვათ, საქართველოში გამოინახა შენი დაბრუნებისთვის ყველა პირობა. სროლის საერთაშორისო ფედერაცია ამ მოკლე ხანში ორჯერ ეროვნებაგამოცვლილს არ აგიკრძალავს დიდ ჩემპიონატებზე, მით უმეტეს, ოლიმპიადაზე გამოსვლას?**

— ფიტას წესდებით ასეთ შემთხვევაში ერთი წლით გეკრძალება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ასპარეზობა, საერთაშორისო ტურნირებზე კი გიშვებენ. თუ ოლიმპიადაზე გსურს წასვლა, მაშინ ოლიმპიადამდე დარჩენილი ბოლო სამი წელი იმ ქვეყნის მოქალაქე უნდა იყო, ვისი სახელითაც ოლიმპიადაზე აპირებ გამოსვლას. მოკლედ, თუ ჩემს საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრობს ვინმე, ეს საქმე წელსვე, 1997 წლის ბოლომდე უნდა მოგვარდეს, მერე, რომც დავბრუნდე, სიდნეის ოლიმპიადაზე არ დამიშვებენ.

**— ღმერთმა ქნას, დაბრუნდე და სიდნეის ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრებში გიხილოთ. ასეთ შემთხვევაში რას პირდები ქართველ ქომაგებს?**

— მე თუ დავბრუნდი, ხათუნა ქვრივიშვილმაც თუ საქართველოს სახელით იასპარეზა, ძლიერი გუნდი გვეყოლება... ხათუნა ფუტკარაძე ნიჭიერი და პერსპექტიული გოგონაა, მე და ხათუნას ღირსეულ პარტნიორობას გაგვიწევს. ამ სამეულმა, თუკი მოხერხდა მისი თავმოყრა, იქნებ ოლიმპიური ჩემპიონობაც მოიპოვოს.

**— საავსტრალიოდ შენ და ხათუნა ხომ არ მობერდებით?**

— მე 24 წლისა ვარ. ხათუნა — მხოლოდ 22-ის. სიდნეიმდე სამი წელიღა რჩება. 25-27 წელი კი მშვილდოსნისთვის არაფერია.

**ლევან ჯავახიშვილი**



**ქართველ სპორტსმენთა წარუმატებლობით, აბა, ვის გააკვირვებთ. მით უმეტეს, ბოლოხანს ბედი როგორღაც აღარ გვწყალობს. გამონაკლისი არც მსოფლიოს უნივერსიადა იყო, რომელსაც მაფიის სამშობლომ — სიცილიამ და მისმა სამმა ქალაქმა — პალერმომ, კატანიამ და მესინამ უმასპინძლა.**

# მაფიოზები ქართველებს არას ერჩიან

რიგით XIX უნივერსიადამ ყველა წინამორბედი დაჩრდილა მონაწილეთა სიუხვით — 6 000-მა სპორტსმენმა მოიყარა თავი იტალიას, მათ შორის ოთხად-ოთხმა ქართველმა. ჩვენი დელეგაცია კი სულ 9-კაციანი იყო. სამწუხაროდ, ჩვენებურთაგან თავი ვერავინ გამოიჩინა. მხატვრულად ტანმოვარჯიშე ეკა აბრამიამ, რომელსაც ატლანტის ოლიმპიადაში და არაერთ დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობის გამოცდილება აქვს, 28-ე ადგილი დაიკავა, თუმცა, იტალიაში ქართული დელეგაციის თავკაცის გივი მძელურის განმარტებით, აბრამიას ესოდენ ჩამოქვეითებაში მსაჯებსაც მიუძღვით ბრალი.

მეორე ატლანტელი, წყალში მხტომელი გოჩა გახარია მე-14 იყო და ფინალში ვერ გავიდა, სადაც 12 საუკეთესო შეეცილა ერთმანეთს მედლებს. თუმცა, ფაქტია, რომ გოჩას თავი არ დაუზოგავს, მოსკოვში გაიარა შეკრება და საუნივერსიადოდ კარგ ფორმაშიც იყო, მაგრამ ბოლოს ზურგის ნერვის ანთება დაემართა და გაუსაძლისი ტკივილით ხტებოდა კოშკიდან.

სპრინტერმა რუსლან რუსიძემ ახლახან ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა, თავად დონოვან ბეილის გვერდით ირბინა და ბევრს ეგონა, ეს დიდ გამოცდილებას შესძენდა, რაც შედეგშიც აისახებოდა. ამჯერად ასე არ მოხდა და რუსლანმაც მეტად უნუგეშოდ ირბინა. რა თქმა უნდა, მისი ქომაგები იტყვიან, რუსიძემ ძალა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას და ბეილის მხარდამხარ სირბილს შეალიაო. იქნებ ისინიც მართალნი იყვნენ, მაგრამ, მაინც ვფიქრობ, რომ რუსიძეს სტუდენტ სპრინტერებში ასე არ უნდა გასჭირვებოდა თავის გამოჩენა.

საუნივერსიადოდ ტანვარჯიშის ქართველი მესვეურნი ილია გიორგაძეს ამზადებდნენ, მაგრამ ილიამ ამასწინათ მოსკოვურ შეკრებაზე მძიმე ტრავმა მიიღო, ოპერაციაც დასჭირდა და მის ნაცვლად სიცილიას ნიჭიერი ტანმოვარჯიშე ალეკო თვაური გაემგზავრა. ვერც თვაურმა გამოიჩინა თავი — 110 მეტოქეში მხოლოდ მე-60 იყო.

მოკლედ, საუკეთესო შედეგზე თუ მიდგება საქმე, ეს გოჩა გახარიას მე-14 ადგილია, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია თუნდაც საქართველოსთანა უნუგეშო ქვეყნისთვის.

ერთიც: ჩვენი დელეგაცია 2 დღის დაგვიანებით დაბრუნდა იტალიიდან. 9-კაციანი დელეგაცია რომ დროულად არ დაგიბრუნდება მაფიოზების ქვეყნიდან, შეშფოთდები, აბა, რა იქნება. თურმე სიცილიელი მაფიოზები ქართველებს არ ერჩიან. უბრალოდ, დელეგაციის ერთ-ერთ წევრს რომის აეროპორტში გზა აბნევია და უკვე შებილეთიანებული დელეგაციის 8 წევრსაც რაღა დარჩენოდა, რომი-სტამბოლის თვითმფრინავისთვის ხელის დაქნევის გარდა. საბედნიეროდ, ჩვენებურები როგორღაც ზედმეტ ხარჯსა და დავიდარაბას გადარჩენილან, მომდევნო რეისზე ყველა დროულად მისულა და შინაც მშვიდობით დაბრუნდნენ.

**მამუკა ძახნიაშვილი**


# იყიდება

თეთრი, გამჭვირვალე

**ორგანული მინა.**

3 და 4 მილიმეტრიანი.

ზომები: 9%x12%ს და 12%x18%ა

ფასი შეთანხმებით

ტელეფონი: 95-22-56

38-60-88 (საღამოს საათებში)

# მთის ოფლი

## ესპანეთის ველოტური „ვუელტა“

მე-5 ეტაპი. ხერეს დე ლა ფრონტერა — მალაგა 230,8 კმ

ორშაბათს წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ ყვითელი მაისურის მცირე ხნით მფლობელმა, ფრანგმა სედრიკ ვასერმა სამშობლოში მოპოვებული წარმატების გამეორება გადაწყვიტა და სტარტიდან რამდენიმე კილომეტრის შემდეგ პელოტონს გაექცა. ერთი ხანობა იგი 10 წუთზე მეტსაც იგებდა, მაგრამ მერე ტემპს უკლო და რამდენიმე მრბოლს დაწევის საშუალება მისცა. ვასერისგან პირველობა იტალიელმა ფაბიო როსიოლიმ გადაიბარა, მაგრამ ძალები არც ამას ეყო და ეტაპის ყველა გაქცეული პელოტონმა ჩაყლაპა, დღის უკანასკნელ საშუალედო სპრინტზე ვუელტას ექს-ლიდერმა, დანიელმა ლარს მიხელსენმა იყოჩაღა და საერთო ჩათვლაში პირველობა დაიბრუნა. დანიელი წინა ეტაპზე არცერთ მასობრივ დაცემას არ ტოვებდა მონაწილეობის მიუღებლად, ახლა კი ჭკუა ისწავლა და უკანასკნელ კილომეტრზე ყველა ბარიერს შორით მოუარა, დაცემის მსურველებს ცოტათი გადაუსწრო და ტრავმებსაც გადარჩა, სამაგიეროდ, მის მთავარ მოწინააღმდეგეს, იტალიელ ფაბრიციო გვიდის არ გაუმართლა — იგი ფინიშამდე 150 მეტრით ადრე დაახეთქეს მიწას. ეტაპი კი, უკვე მესამედ წლევანდელ ვუელტაზე, გერმანელმა მარსელ ვუსტმა მოიგო, მან კვლავ სულ მცირედით აჯობა უახლოეს მდევრებს — იტალიელ ჯანკარლო რაიმონდისა და ესპანელ ანხელ ედოს. ვუსტს 1995 წლის ვუელტაზეც მოუგია სამი ეტაპი, მაგრამ ახლა ამ შედეგის გაუმჯობესების იმედი აქვს: „საუკეთესო ფორმაში ვარ. ამ რბოლისთვის უკეთ მოვემზადე, ვიდრე შარშან და შრომამაც დამიფასდა“. რბოლის დროს ჰაერის ტემპერატურა 34 გრადუსამდე ავწევდა და შედეგად 11 მრბოლი „ვუელტას“ დასრულების იმედს გამოეთხოვა — შუა გზაზე ასპარეზობის მიტოვება მოუხდათ.



მარსელ ვუსტი

**მე-5 ეტაპი: 1. მარსელ ვუსტი 5:43,27; 2. ჯანკარლო რაიმონდი; 3. ანხელ ედო; 4. ალესიო დი ბასკო (იტალია); 5. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი); 6. იურგენ ვერნერი (გერმანია) — ყველას იგივე დრო.**

მე-6 ეტაპი. მალაგა—გრენადა 147 კმ

ეს ეტაპი წინასთან შედარებით გაცილებით მოკლე იყო, სამაგიეროდ, რბოლა მთიან გზებზე მიმდინარეობდა და ბევრ სპრინტერს სიმწრის ოფლი ედინა. სწორი ტრასების შემდეგ პირველ სერიოზულ გამცდას ვერ გაუძლეს ყოფილმა ლიდერებმა — დანიელმა მიხელსენმა, იტალიელმა გვიდიმ და საერთო ჩათვლაში ოცეულიდან გავარდნენ. ამათ პირველობას წყალი ფრანგმა ლორან ჟალაბერმა შეუყენა. მან სტარტიდანვე ფანტასტიკური ტემპი აიღო და უკან მხოლოდ რამდენიმე გამძლე ველოსიპედისტი მიიყოლა. გზადაგზა ლიდერთა ჯგუფი მცირდებოდა, ფინიშის ხაზი კი ჟალაბერთან ერთად მხოლოდ სამმა მრბოლმა — შვეიცარიელებმა ცულემ და დიუფომ, ესპანელმა ფერნანდო ესკარტინმა გადაკვეთეს. ჯგრო ამ ოთხეულს თითქმის ორი წუთით ჩამორჩა. ეტაპზე გამარჯვებით ფრანგმა საერთო ჩათვლაშიც პირველ ადგილზე გადაინაცვლა და ერთ-ერთიდან პირველობის მთავარ პრედენდენტად იქცა.



ლორან ჟალაბერი

**მე-6 ეტაპი: 1. ლორან ჟალაბერი 3:36,03; 2. ლორან დიუფო; 3. ფერნანდო ესკარტინი; 4. ალექს ცულე — ყველას იგივე დრო; 5. სერგეი ივანოვი (რუსეთი) +1,57.**

**ექვსი ეტაპის ჯამი: 1. ლორან ჟალაბერი 27:48,34; 2. ლორან დიუფო +16; 3. ფერნანდო ესკარტინი +21; 4. ალექს ცულე +26; 5. კლაუდიო კიაპუჩი (იტალია) +2,13; ... 9. აბრაჰამ ოლანო (ესპანეთი) +2,23.**

**ლევან ჩხეიძე**



# იყიდება მუჰამედ ალი

19 ოქტომბერს ლოს ანჯელესში სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი მოეწყობა. „კრისტის“ გასაყიდად გამოაქვს კრივის ისტორიაში უდიდესი ჩემპიონის მუჰამედ ალის 3000 ნივთი. მათ შორის ცოტა უცნაური ექსპონატებიცაა — კარტოფილის ჩიფსები, რომლებიც ალის უყიდია, გაუხსნელი კონსერვის ქილები, ნამცხვრის პაკეტები... გაიყიდება კასიუს კლეი-მუჰამედ ალის უდიდესი მატჩების პლაკატები, ბილეთები, სურათები... მთავარი ყურადღება კი ძვირადღირებული ლოტებისკენაა მიპყრობილი. 40 000 - 60 000 დოლარამდეა შეფასებული ხალათი, რომელიც ალის სონი ლისტონთან 1964 წლის 25 თებერვალს ჩატარებული ბრძოლის წინ ეცვა. ასევე იყიდება ალის წერილები, რომლებიც გრამატიკული შეცდომებითაა აჭრელებული. აუქციონზე გამოიტანენ მის მიერ შესრულებული ცნობილი ჰიტებისა და არანაკლებ ცნობილი ბაქიბუქა გამოსვლების ჩანაწერებს.

კოლექციის მთავარი სატყუარა კი 1974 წლის ალისა და ჯორჯ ფორმენის ლეგენდარული მატჩის ექსპონატებია. ზაირის დედაქალაქ კინშასაში მე-8 რაუნდში ალიმ გაიმარჯვა. მის მაშინდელ ხალათში, მას შემდეგ, რაც საააუქციონოდ გამოიტანეს, კიდევ ერთი საინტერესო ექსპონატი აღმოაჩინეს. თურმე შიგ ასტროლოგიური რუკა ყოფილა ჩაკერებული, რომლის არსებობის შესახებ თავად ჩემპიონმაც არაფერი იცოდა. იგი წინასწარმეტყველებდა ალის გამარჯვებას 1974 წლის 25 სექტემბერს, როცა თავდაპირველად იყო დანიშნული მატჩი, მაგრამ რაკი ფორმენი ვარჯიშზე დაშავდა, ბრძოლა 30 ოქტომბერს შედგა. რუკა ცხვირსახოცზეა დახატული. ალისთვის მის თაობაზე არაფერი უთქვამთ, რადგან იგი ძალზე რელიგიური პიროვნებაა და ასტროლოგიისა არაფერი სწამს. ხალათი 100 ათასიდან 150 ათასამდეა შეფასებული.

ალის კოლექციის შეგროვება მთლიანად კალიფორნიელ ქალთა ტანსაცმლის გამყიდველ რონი პელოგერის კისერზეა. მას ეს საქმე 1980-იანი წლებიდან დაუწყია: „60-იანებში ალი ჩემი კერპი იყო. იგი ნამდვილად სახალხო ჩემპიონია და ვფიქრობ, ამ კოლექციაში ყველასთვის მოიძებნება საინტერესო რამ“. თავად პელოგერს ალის ბრძოლა ცოცხლად არასოდეს უნახავს, მაგრამ ყოფილ მსოფლიოს ჩემპიონთან, რომელიც ახლა პარკინსონის დაავადებას ებრძვის, რამდენიმეჯერ უსაუბრია სასტუმროებსა თუ შინ.

აუქციონის ექსპონატებს 13-დან 18 სექტემბრამდე ნიუ იორკში გამოფენენ, ლოს ანჯელესში გადატანამდე კი მათ ჩიკაგოში გაყიდიან ასევე სამი დღის განმავლობაში. შემოსული თანხიდან ნაწილი ალის სახელობის საქველმოქმედო ფონდს გადაეცემა.

## ოლიმპიადა ჩინეთსაც მოუნდა

მას შემდეგ, რაც 2004 წლის ოლიმპიადის ჩატარების უფლება ათენმა მოიპოვა, მომდევნო თამაშები, სავარაუდოდ, ევროპის გარეთ გაიმართება და არაევროპელი კანდიდატები უკვე ემზადებიან განაცხადების შესატანად.

ერთ-ერთი პრეტენდენტი, სოკ-ის განცხადებით, ჩინეთი იქნება. 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძლის არჩევის წინ პეკინი ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ მაშინ სიდნეისთან დამარცხდა. ახლა მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალ ქვეყანას კვლავ გადაუწყვეტია კანდიდატურის წამოყენება, თუმცა ჯერ კიდევ არაა გარკვეული, ეს პეკინი იქნება თუ შანხაი. სოკ-ის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩის თქმით, ჯერჯერობით ერთი ოფიციალური განაცხადია შესული — იაპონური ოსაკადან. თავად სამარანჩი ათზე მეტი კანდიდატის გამოჩენას ვარაუდობს.



# თავის დაფასებაც საჭიროა

მოგეხსენებათ, ნჰლ კომერციული ორგანიზაციაა, ჰოდა, გასაკვირიც არ არის, რომ ნებისმიერ მოთამაშეზე სწორედ მისი საკონტრაქტო თანხით იქმნება წარმოდგენა. რაც უფრო ძვირადღირებულია ჰოკეისტი, მით უფრო მეტ დროს ატარებს იგი ყინულზე და მეტი რეკლამის ღირსიც ხდება. მას შემდეგ, რაც ლიგის უძვირფასესმა მოთამაშემ მარიო ლემიემ, რომლის წლიური ხელფასი 11 მილიონ ამერიკულ დოლარს აღემატებოდა, განაცხადა, კარიერას ვამთავრებო, ეს საპატიო ადგილი ვაკანტური აღმოჩნდა და ლიგის ელიტარული ჰოკეისტების ქიშპობამაც არ დააყოვნა — ვის არ სურს ყველაზე ძვირი კონტრქტი, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი თავისუფალი აგენტი გახდა. პირველი ნაბიჯი მარკ მესიემ გადადგა, რომელმაც ვანკუვერში გადასვლისთანავე თავისი ისედაც მაღალი ხელფასი (8 მილიონი ამერიკული დოლარი, რაც ლემიეს შემდეგ მეორე იყო ლიგაში) კიდევ გაზარდა და სამ წელიწადში 20 მილიონს მიითვლის. მას კოლორადოელმა ჯო საკიკმაც მიბაძა და კლუბის მესვეურები აიძულა, სამი წლის განმავლობაში მისთვის 21 მილიონი დოლარი გადაეხადათ, თანაც კონტრაქტი სოლიდურ პრემიალურებსაც ითვალისწინებს. ყოველივე ამან მეტად აღაშფოთა ფილადელფიის ლიდერი ერიკ ლინდროსი, რომელმაც, როგორც ადრე გაუწყეთ, უკვე მოქმედი კონტრაქტის განახლებისთვის დაიწყო ბრძოლა და, როგორც ჩანს, მას წარმატებითაც დაასრულებს — უახლოეს დღეებში ჰოკეისტი მრავალწლიან ხელშეკრულებას მოაწერს ხელს წლიური 8 მილიონით.

წელიწადში 7 მილიონ დოლარს ითხოვდა ანაჰაიმელი პოლ კარია, მაგრამ, როგორც გაირკვა, ასეთ დიდ თანხას კლუბი მას ვერ გადაუხდის. ჯერჯერობით ხუთწლიან კონტრაქტზეა ლაპარაკი, სულ კი კარია 25 მილიონს მიიღებს. ისეთი პირი უჩანს, ანაჰაიმელის მოლაპარაკებაც სასიკეთოდ დამთავრდება.

სამაგიეროდ, ბოლო წლების ყველაზე შედეგიანი სნაიპერი სენტლუისელი ბრეტ ჰალი კლუბთან ვერ შეთანხმდა. მიზეზი, სენტ ლუისის თავკაცთა აზრით, ჰალის დიდი პრეტენზიებია. საინტერესოა, რომ თავდამსხმელი ზუსტად ისეთსავე პირობებს აყენებს, როგორსაც კარია, მაგრამ მის საწინააღმდეგოდ ერთი ფაქტორია — ჰალი 33 წლისაა და სენტლუისელები, ალბათ, შიშობენ, ხუთი წლის განმავლობაში მისი თამაში ნაკლებნაყოფიერი არ გახდეს. შესაძლოა, ჰალს სხვა გუნდშიც მოუხდეს გადასვლა, აკი მისით ერთბაშად ოთხი კლუბი დაინტერესდა, რომელთაგან ყველაზე ხელსაყრელი ჰოკეისტის მამის, ბობ ჰალის კლუბის — ჩიკაგოს წინადადებაა. ამასობაში კი ჰალის პარტნიორმა, სენტ ლუისის მთავარმა მეკარემ პიერ ტარჯონმა ახალი ერთწლიანი კონტრაქტი (3, 3 მილიონი) გააფორმა.

ბევრად „გაძვირდნენ“ რუსები. ტორონტოელი ბერეზინი, რომელმაც თავის სადებიუტო სეზონში (25 შაიბა და 16 პასი) საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ხუთი წლის განმავლობაში 9 მილიონ დოლარს მიიღებს. თითქმის სამჯერ მოემატა ხელფასი რეინჯერზის მცველ კარპოვცევს, რომელიც 550 ათასი დოლარის ნაცვლად 1,6 მილიონს ჩაიჯიბავს. ედმონტონის მცველის ბორის მირონოვის ორწლიანი კონტრაქტი კი 2,3 მილიონს ითვალისწინებს (შარშან ჰოკეისტის ხელფასი 625 ათასი იყო). რაც შეეხება რუსული ჰოკეის ცოცხალ ლეგენდას, 39 წლის ვიაჩესლავ ფეტისოვს, იგი კიდევ ერთი წლით დარჩება თასის მფლობელ დეტროიტში. წელს მას ოდნავ ნაკლებს გადაუხდიან, რაც იმის მომასწავებელია, რომ ეს სეზონი, შესაძლოა, უკანასკნელი გახდეს მის 23 (!) წლიან კარიერაში.

სხვა ნჰლ-ელ რუსთ კი ესოდენ იღბლიანად როდი აქვთ საქმე: ბურე — მოგილნი — ფიოდოროვის სუპერსამეულიდან ვერც ერთმა მოაწესრიგა თავისი ფინანსური პრობლემები.

კიდევ ერთი კონტრაქტია ყურადღების ღირსი. აილენდერზის შვედი გოლკიპერის ტომი სალოს ბედი საარბიტრაჟო კომისიამ გადაწყვიტა. სალომ, რომელმაც უკანასკნელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩინებულად ითამაშა და საუკეთესო მეკარის ტიტული ირგუნა, კომისიას კლუბთან კონტრაქტის განახლება სთხოვა. სასამართლომ მას ერთწლიანი ხელშეკრულების (750 ათასი ამერიკული დოლარი და სოლიდური პრემიალურები) უფლება მიანიჭა.

ამ დღეებში მომხდარი გაცვლების ფინანსური პირობები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ზოგიერთზე მაინც გაუწყებთ. ფლორიდამ, როგორც იქნა, გადაიბირა რეინჯერზის გამოცდილი ფინელი ესა ტიკანენი. 32 წლის თავდამსხმელმა, რომელიც სტენლის თასის ხუთგზის მფლობელია, შარშანდელ ფლეი ოფში, ყველას გასაკვირად, ძალზე შედეგიანად ითამაშა და 9 შაიბით კლუბის მეორე სნაიპერი გახდა. მაგრამ ნიუიორკელებმა ვეტერანი არ დაიტოვეს და მანაც „პანტერების“ კაპიტანს ბრაიან სკრუდლანდს გაუცვალა ადგილი. ტიკანენი ფლორიდაში ერთ სეზონს ჩაატარებს, ხოლო თუ მოისურვებს, კლუბში კიდევ სამი წლით დარჩება.

მეორე გამოცდილი მოთამაშე, 33 წლის ბრაიან ბელოუზი, რომელმაც წინა სეზონი ანაჰაიმში დაჰყო, ამჯერად ვანკუვერში ითამაშებს. ბელოუზის მიწვევას, რომელმაც კარიერაში 462 შაიბა გაიტანა, სპეციალისტები ბურესა და მოგილნის საკონტრაქტო პრობლემებს უკავშირებენ. როგორც გამოირკვა, მოგილნი ვანკუვერის საწვრთნელ ბანაკში ჯერჯერობით არც გამოცხადებულა.

ფილადელფიამ, როგორც იქნა, მოუძებნა შემცვლელი კარლ დაიჰუსს, რომელიც გრენტონის ცნობილი „პროცესის“ შემდეგ ტამპაში გადავიდა. მის ადგილს ასევე მცველი, ვანკუვერელი კრის ჯოზეფი დაიჭერს.

კონტრაქტი გააფორმა ორმა გაცვლილმა თავდამსხმელმა. სლოვაკი შტუმპელი თავის ახალ კლუბ ბოსტონში ორ სეზონს გაატარებს, ხოლო სახელოვანმა გერი რობერტსმა კაროლინასთან მრავალწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რაც მით უფრო გასახარია, რომ რობერტსი მძიმე ტრავმის შემდეგ უბრუნდება ჰოკეის. განთქმული სნაიპერი თავის 10 წლიან კარიერაში (257 შაიბა და 248 პასი) ოთხჯერ გადასცდა 35 შაიბიან ზღვარს.

და ბოლოს, კიდევ ერთი ცნობა: 32 წლის ბუფალოელი პეტ ლაფონტენი, მიუხედავად მავანთა პესიმიზმისა, ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მაინც დაუბრუნდება ყინულს. შეგახსენებთ, რომ 1996-97 წლების სეზონში ლაფონტენმა მხოლოდ 13 მატჩი ჩაატარა, რის შემდეგაც ბევრმა ჩათვალა, რომ მისი კარიერა დასრულდა.

**სამველ ლარიბიანი**



ლეგენდარული მარიო ლემიე განუყრელი 66-ით

## დირსეულის განდიდება

სამშაბათს, 9 სექტემბერს პიტსბურგის უდიდესი მოთამაშე მარიო ლემიე ეგრეთ წოდებული „დიდების დარბაზის“ კიდევ ერთი საპატიო წევრი გახდა. ეს დარბაზი ტორონტოშია და იქ მოხვედრის ღირსნი ხდებიან მხოლოდ ის მოთამაშენი, რომლებსაც ჰოკეიში, კერძოდ, ნჰლ-ში განსაკუთრებული წვლილი შეუტანიათ. თავად მარიომ კი მოვლენის აღსანიშნავად გამართულ ცერემონიალზე განაცხადა: „ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ღვაწლი ასე შეფასდა, მით უმეტეს, რომ ამ დარბაზში მოსახვედრად აუცილებელი სამწლიანი ლოდინი არ დამჭირვებია. ეს ნებისმიერი ჰოკეისტისთვის საამაყოა“.

ლეგენდარულ უეინ გრეცკისთან ერთად მარიომ მთელი ეპოქა შექმნა ნჰლ-ის ისტორიაში. ჰოკეისტმა თავისი კარიერა 613 გოლითა და 1494 ქულით დაასრულა. 12 სეზონის განმავლობაში იგი სამჯერ დაასახელეს ლიგის უძვირფასეს მოთამაშედ, ორჯერ — ფლეი ოფის საუკეთესო ჰოკეისტად, ხოლო ექვსჯერ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 1984-85 წლების სეზონში ლემიე საუკეთესო დებიუტანტად აღიარეს, მისთვის საუკეთესო 1988-89 წლების სეზონში კი მან 85 შაიბა და 199 ქულა დააგროვა. ვინ იცის, იქნებ მარიოს დაემხო კიდეც გრეცკის თითქოსდა სამუდამო რეკორდები, რომ არა უმძიმესი ტრავმები და ზურგის ტკივილები, რომლებმაც ნაადრევად დაასრულებინა კარიერა 31 წლის სუპერფორვარდს.

ლემიეს გარდა მხოლოდ რვა მოთამაშეს რგებია კარიერის დამთავრებისთანავე „დიდების დარბაზში“ არჩევის პატივი, მათ შორის, ლეგენდებსაც: გორდი ჰოუს, ჟან ბელივოს, ბობი ორს, მორის რიშარს, ტერი სავჩუკს და სხვებს.

ლემიეს დარად, ღვაწლი დაუფასდათ მის ყოფილ პარტნიორ ბრაიან ტროტიესა და ედმონტონის გენერალურ მენეჯერ გლენ საზერს. ტროტიეს თავის 18 წლიან კარიერაში 524 გოლი და 1425 ქულა დაუგროვებია. ისევე, როგორც ლემიე, ბრაიანიც არაერთი პრიზის მფლობელია: „ჰართ როსის“ (ლიგის უძვირფასესი მოთამაშე), „არტ როსის“ (საუკეთესო ბომბარდირი), „კონ სმაიტის“ (ფლეი ოფის უძვირფასესი). რაც მთავარია, იგი ექვსჯერ იყო სტენლის თასის მფლობელი, ორჯერ — 1991 და 1992 წლებში — ლემიესთან ერთად, 4-ჯერ კი აილენდერზის რიგებში, რომელშიც ბოსი — ტროტიე — ჟილის განთქმული სამეული ბრწყინავდა.

რაც შეეხება გლენ საზერს, იგი ნჰლ-ის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული გენერალური მენეჯერი გახლავთ. სწორედ მის სახელს უკავშირდება ედმონტონის საუკეთესო 80-იანი წლები, როდესაც ვარსკვლავებით სავსე კლუბმა 5-ჯერ აიღო სტენლის თასი.

**სამველ ლარიბიანი**

# ინგლისელები მსოფლიოს გარშემო

**ტაშკენტი. უზბეკეთი. „პრეზიდენტის თასი“. ტარდება ჰარდზე საპრიზო ფონდი 405 ათასი დოლარი**

უზბეკეთში არა მარტო თანამედროვე საჩოგბურთო ცენტრის აშენება მოასწრეს, არამედ თავიანთი პრეზიდენტის სახელის სადიდებლად საერთაშორისო ტურნირიც მოაწყვეს და არცთუ ურიგო მონაწილეებიც შეჰყარეს. მაყურებელთა მთავარი სატყუარა, რაღა თქმა უნდა, მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი ევგენი კაფელნიკოვია. ამან ამერიკის ღია პირველობაზე ციდან ვარსკვლავები ვერ ჩამოკრიფა და ხეირის ნახვას ახლა ტაშკენტში აპირებს. ჟენიას პირველი მოწინააღმდეგე მასპინძელთა ახალბედა წარმომადგენე-



ტიმ ჰენმანი ტაშკენტშია

ლი დმიტრი ტომაშევიჩი იყო. გამოუცდელი უზბეკი სოჭელს კარგა ხანს უძალიანდებოდა, პირველ სეტში 4:4-მდეც მიატანა, მაგრამ მერე უფროს კოლეგას ეტყობა, შერცხვა თავისი თამაშის, ცოტა შეცდომებსაც მოუკლო და ორ ხელში გაიმარჯვა კიდეც — 6:4, 6:2. მეორედ განთესილი ტაშკენტში ინგლისელი ტიმ ჰენმანია. კაფელნიკოვის მსგავსად, ამერიკაში იგიც მეორე წრეში გავარდა და ტაშკენტში იქ დაკლებული სარეიტინგო ქულების მისამატებლად ჩავიდა. ჰენმანი კინაღამ ჩასვლისთანავე მიაბრძანეს უკან: განუთესავმა ფრანგმა ტიერი შამპიონმა მას გვარიანი შიში აჭამა მესამე სეტში, თუმცა, ორსაათიან დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვებას მაინც ინგლისელმა გამოჰკრა ხელი — 6:4, 6:7, 7:6. სამაგიეროდ, იოლად მოიგო ტურნირის კიდევ ერთმა ფავორიტმა — შვეიცარიელმა გიგანტმა მარკ როსემ. მან აწ უკვე ჩამოწერილი რუსი ანდრეი ჩერკასოვი ორ ხელში გაა-გდო — 6:4, 6:2. ერთადერთი განთესილი, ვინაც პირველივე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას, გერმანელი ნიკოლა კიფერი (7) აღმოჩნდა, ნიჭიერმა გერმანელმა უიმბლდონის მერვედფინალში ზემოხსენებულ კაფელნიკოვთან გამარჯვების შემდეგ თავი ველარაფრით გამოიჩინა, ივლისის ბოლოს ტრავმაც მიიღო და ფორმის აღდგენა ვერა და ვერ მოუხერხებია. მისი მძლეველი რუსი ანდრეი სტოლიაროვია — 6:4, 6:7, 6:1.

**პირველი წრე: ეიალ ერლიხი (ისრაელი) — ამდუჰამიდ მაჰმადოვი (უზბეკეთი) 7:5, 7:5, ვინსენტ სპედეა (8, აშშ) — სტივ კემპბელი (აშშ) 2:6, 6:2, 6:3, ნირ ველგრეენი (ისრაელი) — კრისტიანო კარატი (იტალია) 6:4, 6:2, ვინჩენცო სანტოპადრე (იტალია) — ანდრეი მერინოვი (რუსეთი) 6:4, 6:3.**

მეორე წრეში ტაშკენტის ტურნირზე შემორჩენილი ებრაელები დაიფრინეს, თუმცა, უბრძოლველად არც ერთს დაუთმია ადგილი. ეიალ რანი ამერიკელ ვინს სპადეას სამი სეტი უძალიანდებოდა — 5:7, 7:6 (7:4), 3:6; მეორე ეიალი, ერლიხი კი ასევე სამ ხელში დამარცხადა მეექვსედ განთესილ ესპანელ ფრანსისკო კლავეტთან — 6:3, 4:6, 3:6. შარშანდელმა ჩემპიონმა ხავიერ სანჩესმა სლოვაკი იან კროსლაკი 6:2, 6:0 გაანადგურა, თუმცა თავისი შედეგის გამეორება წელს მეტად გაუჭირდება, რადგან შარშან ტაშკენტში შესაფერისი კორტების უქონლობის გამო ტურნირი თელ ავივში ტარდებოდა, თანაც ესპანელთათვის მოსახერხებელ თიხნარის საფარზე. სხვებს არც ევგენი კაფელნიკოვი ჩამორჩა და ისრაელის კიდევ ერთი წარმომადგენელი ნირ ველგრეენი შეიწირა — 6:1, 6:4. მასპინძელთა მთავარ იმედს, ოლეგ ოგოროდოვს კიფერის მძლეველმა რუსმა ანდრეი სტოლიაროვმა მოუგო — 3:6, 6:3, 6:3. წლევანდელი როლან გაროსის ფინალისტმა, მაროკოელმა ჰიშამ არაზიმ (5) საერთაშორისო ასპარეზზე ახალგამოჩეკილ, მაგრამ საკმაოდ ძლიერ ავსტრიელ შტეფან კუბეკს მესამე სეტის ტაი-ბრეიკზედა მოუთავა საქმე — 3:6, 6:3, 7:6 (7:4).

**მეორე წრე: ტიმ ჰენმანი (2, ინგლისი) — ალექსანდრ ვოლკოვი (რუსეთი) 6:3, 6:3; მარკ როსე (3, შვეიცარია) — ვინჩენცო სანტოპადრე (იტალია) 6:3, 6:7 (5:7), 6:2.**

**ბორნმუტი. ინგლისი. სამსუნგის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე საპრიზო ფონდი 375 ათასი დოლარი.**

ბორნმუტში ამერიკის ღია პირველობაზე შესანიშნავი გამოსვლის შემდეგ პირველად უნდა ესასპარეზა აწ მსოფლიოს მე-11 ჩოგანს გრეგ რუზეცკის. მან ტურნირის ორგანიზატორებს პირველი წრის შეხვედრის ოთხშაბათისთვის დანიშვნა სთხოვა და ამხელა კაცს, აბა, ვინ დაალალატებდა. რუზეცკის კორტზე გამოჩენას მაყურებელთა ოვაციები მოჰყვა და მატჩის დაწყება ნახევარი საათითაც გადაიდო. მერე გრეგმა, პლანეტაზე უძლიერესი მოწოდება რომ აქვს, მეტოქეს — ესპანელ ალბერტო მარტინს გაათკეცებული ძალით შეუტია, მაგრამ სამსეტიან მატჩს მაინც ვერ გადაურჩა. ესპანელმა მეორე ხელში იგი უკანა ხაზს მიაჯაჭვა და ერთხელ ნაქები მოწოდებაც წაართვა. მესამე ხელში რუზეცკი ისევ თავის თავს დაემსგავსა, ნელი საფარის მიუხედავად ბადესთან ხშირ გასვლებს არ იშლიდა და შედეგმაც არ დააყოვნა — 6:3, 4:6, 6:2. პირველივე წრეში დაასრულეს ასპარეზობა შარშანდელმა ფინალისტმა, გერმანელმა მარკ-კევინ გელნერმა (5) და წლევანდელი უიმბლდონის ფინალისტმა, ფრანგმა სედრიკ პიოლინმა (4).

**პირველი წრე: ოლივიე დელეტრი (საფრანგეთი) — მარტინ როდრიგესი (არგენტინა) 6:3, 3:6, 6:1; მაილს მაკლაგენი (ინგლისი) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 6:3, 3:6, 6:0.**

ოთხშაბათს, როცა გრეგ რუზეცკი თავისი პირველი წრის შეხვედრას თამაშობდა, სხვებმა უკვე მეოთხედფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი, მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი კარლოს მოია (1) მშობლიურ არმიაში სამსახურს კი დაუძვრა, მაგრამ თავის თაყვანისმცემელთა გულის დასაწყვეტად გრძელი კულულები მაინც ძირამდე შეიჭრა. ამას მის თამაშზე დადებითად თუ არა, უარყოფითად ნამდვილად არ უმოქმედია. აგვისტოს ბოლოს, ზედიზედ ოთხი წაგებული ფინალის შემდეგ, ესპანელმა, როგორც იქნა, დიდ ტურნირში იმარჯვა, სადაც გადამწყვეტ შეხვედრაში ჯერჯერობით უკანასკნელი მარცხი აწვნია „ოუფენის“ ტრიუმფატორ პატრიკ რაფტერს. მოია ბორნმუტშიც კარგად ასპარეზობს და ყველა მეტოქეს იოლად უსწორდება. მისი მორიგი მსხვერპლი ჰოლანდიელი დენის ვან შეპინგენი შეიქნა — 6:1, 6:3. ახალი ესპანური ტალღის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ფელიქს მანტიამ (2), ვინც თიხნარზე წლეულს ყველაზე მეტი — 39 მატჩი მოიგო, თავის აქტივს კიდევ ერთი მიუმატა მასპინძელ კრის ვილკინსონის 6:3, 6:2 ძლევით. პირველ წრეში პიოლინის გამამწარებელმა, ესპანელმა ხაკობო დიასმა ინგლისელებს კიდევ ერთი მოთამაშე — დენი სეპსფორდი გაუგდო — 6:3, 6:1. ოთხშაბათის ყველაზე დაძაბული მატჩში ბელგიელმა კრისტოფ ვან გარსმა მეშვიდედ განთესილ ფრანგ ფაბრის სანტოროს 6:7 (5:7), 6:3, 7:6 (7:2) სძლია. გრეგ რუზეცკის კი იოლი გასეირნება არც მეორე წრეში გამოუვიდა. მისი მეტოქე ასევე ძლიერად მომწოდებელი ავსტრალიელი რიჩარდ ფრომბერგი იყო. პირველ სეტში ვერც ერთმა ჩოგბურთელმა ვერ მოახერხა მოწინააღმდეგისთვის მოწოდების წართმევა, ტაი-ბრეიკზე კი ამ გაჭიანურებული ხელის ბედი მასპინძლის სასარგებლოდ გადაწყდა. მეორე სეტში რუზეცკის უკანა ხაზზე მოუხდა გარჯა, მაგრამ აქტიურმა ავსტრალიელმა ტაი-ბრეიკის თავიდან აცილება მაინც ვერ შეძლო და გამარჯვება კვლავ ინგლისელს დარჩა 7:6 (7:3), 7:6 (7:2). მატჩის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფრომბერგს ესების დუელი მაინც მოეგო მეტოქისთვის — 6:2.

**მეორე წრე: ლუკას არნოლდი (არგენტინა) — იოჰან ვან ჰერკი (ბელგია) 6:1, 7:5; მარკოს ონდრუშკა (სამხრეთ აფრიკა) — მაილს მაკლაგენი (ინგლისი) 6:1, 3:6, 7:5; დავიდე სკალა (იტალია) — ოლივიე დელეტრი (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:1.**

**მარბელა. ესპანეთი. „მარბელა ოუფენ“. ტარდება თიხნარზე საპრიზო ფონდი 326 ათასი დოლარი**

მარბელაში ყველაზე პატარა საპრიზო ფონდია და მონაწილეთა უმეტესობა ან უკვე ჩამოწერილი ჩოგბურთელი, ანაც მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელია. პირველი წრე ყველა ფავორიტმა უპრობლემოდ განვლო და პირველი დანაკარგები განთესილთა შორის მერვედფინალშიღა აღინუსხა. თანამემამულეთა შეხვედრაში პირველი განთესილი იმსხვერპლა ესპანელმა ფრანსისკო როიგმა. მან ალ-



გრეგ რუზეცკი დიდ პატივშია

ბერტო პორტასს (3) მოუგო — 6:4, 6:3. იტალიელმა ანდრეა გაუდენციმ კი ფრანგ გიიომ რაუ (8) 6:4, 6:2 დაამარცხა. ერთ დროს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულში მყოფმა, 1994 წლის როლან გაროსის ფინალისტმა ალბერტო ბარასატეგიმ (2) ავსტრიელ ტომას ნიიდალს მესამე ხელში მოძრაობის ხალისიც კი მოუსპო — 4:6, 7:5, 6:1. ამ ბოლო დროს ცუდად მოასპარეზე კიდევ ერთმა ესპანელმა ალბერტ კოსტამ (1) თანამემამულე ხორდი ბურილიო გააგდო — 7:6 (7:5), 6:3.

**მეორე წრე: გალო ბლანკო (6, ესპანეთი) — ემილიო ალვარესი (ესპანეთი) 6:4, 6:4; ქარიმ ალამი (5, მაროკო) — მარსელო კრაკა (გერმანია) 4:6, 6:3, 7:5; დომინიკ ჰრბატი (4, სლოვაკეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4, 6:4; ხულიან ალონსო (ესპანეთი) — ბერნდ კარბახერი (გერმანია) 6:4, 6:1.**

**ავთანდილ სვანიძე**

## ჩოგბურთის ახალი ამბები

ჩოგბურთის ახალი ამბები

ჩოგბურთის ახალი ამბები

ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ — WTA-მ განაცხადა, რომ მომავალ წელს პირსის მამასა და ყოფილ მწვრთნელს — ჯიმ პირსს ქალთა ჩოგბურთში მოღვაწეობის გაგრძელების ნებას დართავს. უფროსი პირსი მთლად წესიერად ვერ იქცეოდა სხვადასხვა ტურნირებზე. მისმა ქალიშვილმა რამდენჯერმე შეიტანა



პირსს აშარი მამა ჰყოლია

ასოციაციაში საჩივარი მამის გამოხდომების გამო, მაყურებლის ცემისთვის კი 1993 წლის 20 ივნისს მას ოთხი წლით აეკრძალა ქალთა მატჩებზე დასწრება. ჯიმს ერთწლიან გამოსაცდელ ვადას აძლევენ, რომლის განმავლობაშიც მის ქცევას მკაცრად გააკონტროლებენ და ნებისმიერი უწესრიგობის შემთხვევაში სამუდამოდ მოიკვეთენ. ტურნირებზე დასწრების უფლება კი პირსს მხოლოდ მაშინ შეეძლება, თუ იქ მისი ერთ-ერთი აღსაზრდელი გამოვა. ამჟამად ჯიმის ერთი მოწაფე — 17 წლის შვედი კრისტინა ტრისკა მსოფლიოს 151-ე ჩოგანია და გაისად მას საჩოგბურთო ელიტაში შესვლას უწინასწარმეტყველებენ. უფროს-უმცროს პირსებს შორის ურთიერთობა კი, მსუბუქად რომ ვთქვათ, კვლავ არასახარბიელოა. შარშან დეკემბერში ჯიმმა ქალიშვილს სასამართლოში უჩივლა კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო — მოგებული თანხის 25 პროცენტს შემპირდა და არ მაძლევსო. ჯიმ პირსის ერთ-ერთი ახლო და დიდი ხნის მეგობარი კიდევ ერთი შერეკილი — ასევე ნიჭიერი ჩოგბურთელის ვინუს ვილიამსის მამა რიჩარდი ყოფილა. ამან თავისი ჭკუის კაცის დასაცავად თავი გადადო და ახლა WTA-ს დასდო ბრალი, ჯიმს ზანგივით ექცევითო. ვილიამსის გამომწვევი ქცევა კორტზე და მის მიღმა კი სწორედ უფროსი პირსის ნაკარნახევი ყოფილა: „მე ვუთხარი ვინუსს, რომ არავის მიმართ არ გამოეხატა პატივისცემა. კლასიფიკაციაში მაღალ ადგილზე მყოფი ჩოგბურთელები ხშირად ქედმაღლურად იქცევიან და მათ თავი არასოდეს უნდა დააშინებინო“.

* * *

რუმინელი მსოფლიოს მეცხრე ჩოგანი — ირინა სპირლეა, შესაძლოა, 5000 დოლარით დააჯარიმონ. „ოუფენზე“ ვინუს ვილიამსთან წაგებული ნახევარფინალური მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მან მეტოქეს საკმაოდ ცნობილი, ოთხასოიანი ინგლისური სიტყვით მიმართა და ამას იგივე მნიშვნელობის ჟესტიც მიაყოლა. WTA-ს ამის შესახებ მხოლოდ მოგვიანებით გაუგია და ამერიკის ღია პირველობის „მოთამაშეთა ქცევის კომიტეტს“



სპირლეა კაცივით იგინება

ახლაღა მოსთხოვა სასჯელის დაკისრება. კომიტეტის სხდომა მხოლოდ 20 ოქტომბერს შედგება. ყიამყრალობით სპირლეა მანამდეც გამოირჩეოდა, თანაც უცხოურ ენებში განსწავლულობას მაინცდამაინც უწმაწური სიტყვების ცოდნაში გამოხატავს. პალერმოს საერთაშორისო ტურნირზე ერთ-ერთი მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილომ მას საკმაოდ კარგი იტალიურით შეაგინა, რისთვისაც პირველი ჩოგბურთელი გახდა, ვინც კი რომელიმე ტურნირიდან გამოუგდიათ ოდესმე. რუმინელს ამაზეც არ გასტყდომია გული — როგორც იქნა, ერთ რამეში მაინც ვარ პირველიო.

* * *

WTA-მ, როგორც იქნა, გადასინჯა თავისი წესები და ასაკობრივი ცენზის კანონში რამდენიმე ცვლილება შეიტანა, რაც 16 წლის ანა კურნიკოვასა და 15 წლის ხორვატ მირიანა ლუჩიჩს კიდევ რამდენიმე ტურნირზე გამოსვლის შესაძლებლობას მისცემს. კურნიკოვასა და ლუჩიჩს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ძველი წესები ზღუდავდნენ მათი გამოსვლების რაოდენობას და ხელს უშლიდნენ მათი, როგორც მოთამაშეების წინსვლას. ადრე 15 წლის ჩოგბურთელებს ეკრძალებოდათ ცხრაზე მეტ პროფესიულ შეჯიბრებაზე ასპარეზობა, თანაც საპრიზო ფონდები 164 250 დოლარზე ნაკლები უნდა ყოფილიყო, არც დიდი სლემის ტურნირებში მონაწილეობა შეეძლოთ. ეს ბოლო წლებია, ქალთა ჩოგბურთში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ჯერ მარტინა ჰინგისმა, მერე კი ახალი თაობის სხვა მცირეწლოვანმა სპორტსმენებმა დაამტკიცეს, რომ დიდი გამარჯვებების მოსაპოვებლად ვეტერანობა სულაც არ არის საჭირო და საბოლოოდ WTA-მაც დათმო.

ახალი წესების თანახმად 15 წლის ჩოგბურთელ ქალებს 8 პროფესიულ — დიდ თუ პატარა ტურნირზე გამოსვლის უფლება აქვთ და თუ საკმარის ქულებს მოაგროვებენ, დიდი სლემის გათამაშებებზეც დაუშვებენ. მირიანა ლუჩიჩი, რომელმაც ხუთიდან ოთხ ტურნირზე ფინალს მიაღწია, ახლა მსოფლიოს 50-ე ჩოგანია და სულ 12 შეჯიბრზე შეეძლება თამაში. კურნიკოვას კი, ამჟამად მსოფლიოს 29-ე ჩოგანს, სულ 17-ზე.

* * *

გაიმართა წილისყრა ქალთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის — ფედერაციის თასის 1998 წლის გათამაშებისათვის.

I ჯგუფი

საფრანგეთი (2) — ბელგია
ჩეხეთი — შვეიცარია
ესპანეთი — გერმანია
ჰოლანდია — აშშ (1)

II ჯგუფი (გამარჯვებულები პირველ ჯგუფში გადასვლისთვის იბრძოლებენ, დამარცხებულები კი ადგილის შენარჩუნებისთვის)

ავსტრია (1) — იტალია
ავსტრალია — რუსეთი
ხორვატია — იაპონია
არგენტინა — სლოვაკეთი (2)



# ჰოლანდია უძლეველია

ევროპის ჩემპიონის წოდების მაძიებელმა ფრენბურთელმა ვაჟებმა ჯგუფური ტურნირები დაასრულეს. ჰოლანდია და დანარჩენები — მოკლედ ასე შეიძლება შეფასდეს ის, რაც აქამდე ანუ ნახევარფინალებამდე მოხდა. მასპინძლები ჯერჯერობით კვლავაც უძლეველნი არიან — ხუთ მატჩში ერთი ხელიც კი არ დაუთმიათ.

10. IX. მე-4 ტური.

**I ჯგუფი: გერმანია — იტალია 0:3, საბერძნეთი — რუსეთი 0:3, იუგოსლავია — სლოვაკეთი 3:0**

**II ჯგუფი: ფინეთი — ბულგარეთი 1:3, უკრაინა — ჩეხეთი 3:2, ჰოლანდია — საფრანგეთი 3:0.**

11. IX. მე-5 ტური.

**რუსეთი — იტალია 0:3, საბერძნეთი — სლოვაკეთი 1:3, იუგოსლავია — გერმანია 3:0.**

**ჩეხეთი — ფინეთი 3:2, საფრანგეთი — უკრაინა 3:2, ჰოლანდია — ბულგარეთი 3:0.**

საბოლოო მდგომარეობა ჯგუფებში

I ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 5 | 12:4 | 8 |
| იტალია | 5 | 12:4 | 8 |
| სლოვაკეთი | 5 | 10:10 | 6 |
| გერმანია | 5 | 7:12 | 4 |
| რუსეთი | 5 | 10:9 | 4 |
| საბერძნეთი | 5 | 3:15 | 0 |

II ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 5 | 15:0 | 10 |
| საფრანგეთი | 5 | 10:8 | 6 |
| უკრაინა | 5 | 11:10 | 6 |
| ჩეხეთი | 5 | 10:12 | 4 |
| ბულგარეთი | 5 | 8:12 | 4 |
| ფინეთი | 5 | 3:15 | 0 |

ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: ჰოლანდია — იტალია, იუგოსლავია — საფრანგეთი.

# დაიანას პატივი მიაგეს

წინა უქმეებზე მესამედ გაჩაღდა ევროპის საკლუბო თასი. ექვსი ბობოლა ქვეყნის 20 გუნდი დაყოფილია ხუთ (!) პულად. ჯერ გაიმართება ორ-ორი წრე, მერე კი პლეი-ოფი. ფინალი 31 იანვრისთვის დაუნიშნავთ.

საფრანგეთს, ინგლისსა და უელსს თითოს ოთხი კლუბი გამოყავს; ირლანდიასა და შოტლანდიას — სამი პროვინცია; იტალიას — ორი კლუბი, ნაკრების სხვაგუნდელი წევრებით რომ გაუძლიერებიათ. პირველი გათამაშება მოიგო საფრანგეთის „ტულუზმა“, მეორე — იქაურმავე „ბრივმა“. ფინალი ორივეჯერ კარდიფში გაიმართა.

წელს ბუქმეიქერებს ფავორიტად ინგლისის „ბასი“ მიაჩნიათ, მაგრამ ამან პირველ მატჩში მარცხი იწვნია. ესა და ბრიტანული კლუბების ყველა სხვა თამაშიც შაბათის ნაცვლად გაიმართა კვირას, რადგან ქვეყანა პრინცესა დაიანას კრძალავდა.

ბუქმეიქერთა ჯიბრზე გაიმარჯვა ოთხივე ფრანგულმა გუნდმა. ქვეყნის თასის მფლობელ „პოს“ იტალიის ჩემპიონ „ტრევიზოსთან“ ბერნა-სალის მიერ ბოლო წამებზე გატანილმა არეკნმა გაამარჯვებინა. ამ თამაშის მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, შემცვლელად შესულმა იტალიელმა ბურჯმა გრესპანმა მეტოქე რომ დაწიხლა და 60-დღიანი დისკვალიფიკაციაც დაიმსახურა.

„ჰაინეკენის თასის“ მფლობელ „ბრივს“ თუმც აღარა ყავს პოლონელი ფლანკერი კაჩალა, ვინაც „კარდიფში“ გადავიდა, მაინც უსიტყვოდ მოიგო. მცველმა ვიარმა სამხრეთელ სქოთებს სამი ლელო გაუტანა. მოიგეს ევროპის კონფერენციის ჩემპიონმა „ბურგუენმა“ და ქვეყნის ჩემპიონმა „ტულუზმაც“. ბოლო შინაური პირველობის ფინალში მეორემ პირველი ძლია.

დაიწყო კონფერენციის თამაშებიც. აქ 8 პულად 32 გუნდია დანაწილებული. მათგან 16 ფრანგულია. ამბობენ, გაისად ამ შეჯიბრში ოთხი ევროპული ქვეყანაც უნდა დავუშვათ. ისინი ეროვნული გუნდებით იასპარეზებენო.

ვინძლო მარაქაში „ბორჯღალოსნებიც“ გაერიონ!

### „ჰაინეკენის“ ევროპის თასი

I ტური. 6-8.09: ა ქვეჯგუფი. ლესთერი (ინგლისი) 26 (16) (3ლ) — მილანი (იტალია) 10 (0) (ლ); ლენსთერი (ირლანდია) 25 (6) (2ლ) — ტულუზი (საფრანგეთი) 34 (14) (4ლ)

ბ ქვეჯგუფი. სვონზი (უელსი) 25 (18) (3ლ) — ვოსფსი (ინგლისი) 31 (10) (4ლ); ალსთერი (ირლანდია) 12 (6) — გლაზგო (შოტლანდია) 18 (15) (2ლ)

გ ქვეჯგუფი. ბრივი (საფრანგეთი) 56 (31) (8ლ) — საზღვარი (შოტლანდია) 18 (13) (3ლ); პონტიპრიზი (უელსი) 21 (3) (2ლ) — ბასი (ინგლისი) 15 (10) (2ლ)

დ ქვეჯგუფი. ბურგუენი (საფრანგეთი) 26 (14) (3ლ) — კარდიფი (უელსი) 25 (9) (ლ); ჰარლიქვინზი (ინგლისი) 48 (30) (6ლ) — მანსთერი (ირლანდია) 40 (18) (5ლ)

ე ქვეჯგუფი. კალედონია (შოტლანდია) 18 (6) (2ლ) — ლლანელი (უელსი) 23 (23) (2ლ); ტრევიზო (იტალია) 18 (12) (2ლ) — პო (საფრანგეთი) 19 (3) (ლ)



# ლომუ არ ჩანს

ზელანდიაში ქენთებრიმ ახალი ლიდერის — ქაუნთიზ-მანუკაუს სტუმრად ძლევით დაიბრუნა წინა ტურში შინ, ვაიქათოსთან წაგებით დაკარგული მოწინავე პოზიცია. ამასობაში ვაიქათომ კიდევ მოიგო და საპლეიოფო ოთხეულში დამკვიდრდა ჩემპიონ ოქლენდთან ერთად, რომელმაც გარდამავალი „რანფერლის ფარი“ კი დაიცვა საუსლენდის ხელყოფისაგან, მაგრამ შინ ორი პრემიალური ქულა კი გაატანა.

თირკმლებ-ნამკურნალებმა ჯონა ლომუმ მანუკაუს შემადგენლობაში ვერც ამჯერად ითამაშა. მთაკაცს ვერც ხვალ იხილავენ მავანი ამხანაგური მატჩის მაყურებლები. აი, მისი გუნდის მორკინალებმა კი ქენთებრის თუმც 68-30 აჯობეს იერიშის მეორე და შემდგომი ფაზის გახერხებაში, სტუმრებმა მაინც ისე თავგამოდებით იცვეს თავი და ბოჭეს მეტოქე, რომ „ახალი ლომუ“ — მანუკაუს ფიჯელი გარემარბი ჯოელი ვიდირიც დააშინეს; ესეც წინ გაქცევის ნაცვლად ბურთს ფეხს ურტყამდა.

ქენთებრიმ, ვისაც ნახევარდაცვაში მარშალი და მერთენსი უყენია, ბოლო სამ წუთში ორი ლელო გაიტანა.

### ახალი ზელანდიის პირველობა

AIR NEW ZEALAND NPC

IV ტური. 5-7.09: ქაუნთიზ-მანუკაუ (პუკეკოე) 18 (11) (2ლ) — ქენთებრი (ქრაისთჩერჩი) 33 (18) (4ლ); ოქლენდი 34 (27) (5ლ) — საუსლენდი (ინვერქარგილი) 32 (8) (4ლ); ოთაგო (დანიდინი) 35 (16) (2ლ) — ჩრდ. ნავსაყუდელი (ოქლენდი) 25 (8) (2ლ); ვაიქათო (ჰამილთონი) 50 (22) (7ლ) — თარანაქი (ნიუ-პლიმუთი) 13 (3) (2ლ)

| პირველი ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | + | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქენთებრი | 4 | 3 | - | 1 | 4 | 166: 69 | 16 |
| ვაიქათო | 4 | 3 | - | 1 | 2 | 113: 62 | 14 |
| ქაუნთიზ-მანუკაუ | 4 | 3 | - | 1 | 1 | 101: 93 | 13 |
| ოქლენდი | 3 | 2 | - | 1 | 2 | 71: 67 | 10 |
| ოთაგო | 4 | 2 | - | 2 | 1 | 104:100 | 9 |
| საუსლენდი | 3 | 1 | - | 2 | 2 | 74: 96 | 6 |
| თარანაქი | 3 | 1 | - | 2 | 1 | 62:103 | 5 |
| ველინგთონი | 3 | 1 | - | 2 | 1 | 65:127 | 5 |
| ჩრდ. ნავსაყუდელი | 4 | - | - | 4 | 2 | 79:118 | 2 |

# აფრიკაში მარცხი ვის შერჩენია!

ნაკრების მწვრთნელი სამხრეთ აფრიკაშიც მოხსნეს. წინა პარასკევს, 5 სექტემბერს რაგბის კავშირის ალმასკომზე დაიბარეს 37 წლის კარელ დიუპლესი, მისი მუშაობის ანგარიშის მოსმენის შემდეგაც გამოაცხადეს, გუნდთან აღარ იმუშავებსო.

დიუპლესის მორაგბეობისას „გარემარბთა უფლისწულად“ იცნობდნენ, ეროვნული გუნდი „ქურციკები“ კი ისე ჩააბარეს, რომ მანამდე არსად ემწვრთნელა. ჰოდა, მსოფლიო ჩემპიონებმაც წელს რვა თამაშიდან ხუთი წააგეს, რასაც აღზევებიდან ნახევარი წლის თავზე კარელის დამხობა მოყვა.

კავშირი ახალი მწვრთნელის დანიშვნას არ ჩქარობს — 26 სექტემბრისთვის აპირებს. მთავარ კანდიდატად პროვინციული ბოლანდის შეფი, ძველი „ქურციკი“ ნიკ მოლითი მიაჩნიათ, ვინაც დიუპლესის წინამორბედ ანდრე მარკჰრააფს მორკინალთა გაწვრთნაში შველოდა. იმასაც ამბობენ, გუნდის ტექნიკურ მრჩევლად შეიძლება დადგეს იენ მაკინტოში, კავშირის თავკერძა პრეზიდენტმა ლუი ლეიტმა 1994 წელს უბოდიშოდ რომ დაითხოვა „ქურციკთა“ მწვრთნელობიდანო.

მაკინტოში ნატალს დაუბრუნდა და ქარრის თასი ზედიზედ ორჯერ აღებინა. ახლა ფეხს ითრევს, რადგან წყენა კარგად ახსოვს. არადა, აფრიკის სარაგბო თემი მწვრთნელს აგულიანებს, ესაო და ლეიტის დღეები დათვლილია — ზანგურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში ისე შორს შეტოპა, რომ ნოემბერში, კავშირის ყრილობაზე უეჭველი გადადგომა მოუწევს და მისი სიძე რიან ობერჰოლცერი მარტოლა მიხედავს კავშირსო.

### BANKFIN CURRIE CUP

5-7.09: ჩრდ. დასავლეთი (პოჩეფსტრუმი) 21 (3ლ) — გრიკვალენდი (ქიმბერლი) 47 (7ლ); ბოლანდი (ველინგთონი) 59 (9ლ) — შავარდნები 33 (5ლ); საზღვარი (ისთ-ლონდონი) 56 (8ლ) — ჩრდ. ნატალი 23 (2ლ); ნარინჯი (ბლუმფონტეინი) 69 (11ლ) — სამხრ. დას. ოლქები 15 (2ლ); ნატალი (დურბანი) 41 (17) (5ლ) — ლომები (იოჰანესბურგი) 17 (6) (ლ); მპუმალანგა (ვიტბანკი) 16 (ლ) — ჩრდ. ტრანსვაალი (პრეტორია) 36 (4ლ); ალმ. კონცხი (პორტ-ელიზაბეთი) 23 (2ლ) — დას. კონცხი (ქეიფთაუნი) 39 (5ლ)

| ქარრის თასი-97 | თ | მ | ფ | წ | ბ | + | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნატალი | 9 | 9 | 0 | 0 | 383:149 | 5 | 41 |
| დას. კონცხი | 9 | 8 | 0 | 1 | 401:202 | 7 | 39 |
| გრიკვალენდი | 10 | 6 | 1 | 3 | 349:244 | 8 | 34 |
| ნარინჯი | 8 | 6 | 0 | 2 | 366:182 | 5 | 29 |
| ბოლანდი | 9 | 4 | 1 | 4 | 310:257 | 9 | 27 |
| ჰაუტენპის ლომები | 8 | 5 | 0 | 3 | 262:258 | 5 | 25 |
| სამხრ.დას. ოლქები | 9 | 5 | 0 | 4 | 241:262 | 4 | 24 |
| ჩრდ. ტრანსვაალი | 8 | 4 | 0 | 4 | 222:223 | 5 | 21 |
| ჰაუტენპის შავარდნები | 8 | 3 | 0 | 5 | 244:258 | 3 | 15 |
| ჩრდ. ნარინჯი | 8 | 3 | 0 | 5 | 231:364 | 3 | 15 |
| ჩრდ. დასავლეთი | 8 | 2 | 0 | 6 | 236:274 | 4 | 12 |
| საზღვარი | 9 | 2 | 0 | 7 | 203:373 | 4 | 12 |
| ალმ. კონცხი | 9 | 1 | 0 | 8 | 181:320 | 2 | 6 |
| მპუმალანგა | 8 | 1 | 0 | 7 | 135:298 | 2 | 6 |

Australian Rugby.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს კაცი თუ გვიშველისო!

ავსტრალიის რაგბის კავშირმა საშურ საქმეს დაადგა თავი: წინამორბედ გრეგ სმითის გადადგომიდან ორი კვირის თავზე, ამ ოთხშაბათს ეროვნულ ნაკრებ „ვოლაბების“ მწვრთნელად დანიშნა 47 წლის როდ მაკქვინი.

მაკქვინის კონტრაქტი ორწლიანია. იგი გუნდს 1999 წლის მსოფლიო თასის ბოლომდე უთავკაცებს. მის გარდა კანდიდატებად მიიჩნევდნენ „ვოლაბთა“ ყოფილ გადიებს — ბობ დვაიერსა და ალან ჯოუნზს, მაგრამ რაგბის კავშირის მთავარმა მოხელე ჯონ ონილმა ესენი სათვალავში არც ჩააგდო, ესაო და მომავლისკენ ვიმზირებით და არა წარსულისკენო.

დვაიერი ახლა ინგლისის „ლესთერსა“ წვრთნის, ჯოუნზი კი ხან პოლიტიკაში გაიჭრა, ხანაც ლიგის რაგბში (?!) მოსინჯა ძალა და ახლა ისევ რაგბისკენ გამოუწია გულმა. თავის კანდიდატურას აცილება მიცა ჯოუნზის ექს-თანაშემწე ალეკ ევანსმაც, ვინაც უელსის „კარდიფში“ დარჩენა არჩია. რაც შეხება ქვინზლენდის მოძლვარ ჯონ ქონოლის, მას, თუ წინა ჯერზე სმითი ამჯობინეს, ახლა მაკქვინმაც აჯობა.

თავიდანვე ჩანდა, რომ ეს კაცი აშკარა ფავორიტი იყო. მაკქვინი მხოლოდ ორი წელია წვრთნის კანბერის „ბრომბიზს“, მაგრამ გუნდმა, ადგილობრივ ჭეელთა და სხვათა მიერ დაწუნებულთა კრებული რომ იყო, ყველა მოხიბლა, წელს კი ზე-12-ის ფინალშიც გავიდა. ამან ავსტრალიური რაგბის ოდინდელი ბურჯები — ახალი სამხრეთი უელსი და ქვინზლენდი გააცოფა.

მაკქვინი იქადნება, „ვოლაბებს“ რისკიანად, ეშხიანად ავათამაშებ; უცებ ბევრსაც არაფერს შევცვლი, რადგან სმითმა კარგი მემკვიდრეობა დამიტოვაო. აი, ონილი კი ამბობს, პირველესი ამოცანა ისაა, ნაკრებმა მოგება დაიწყოს. ეს როდს ნაღდად ხელეწიფება — პროფესიული რაგბის ეპოქაში ჭეშმარიტი პროფესიონალიაო!

მაკქვინმა რვა წლის წინ მძიმე განსაცდელი გამოიარა — ტვინიდან სიმსივნე ამოკვეთეს. მას აქეთ ცხოვრებას სხვაგვარად შეხედა და სხვადასხვა სფეროში ბევრსაც მიაღწია. დიზაინერი კაცი დღეს სუვენირების დამამზადებელ, 20-კაცა, აყვავებულ ფირმას უძღვება, რაგბში კი მის იშვიათ ორგანიზატორულ ნიჭზე ისიც მეტყველებს, რომ „ბრომბიზის“ ყოველ წევრს წლევანდელი სეზონის დასაწყისში 40-გვერდა საქაღალდე ჩამოურიგა და რაც იქ ჩაუწერა, მოედანზე კიდეც აღასრულებინა.



### საქართველოს პირველობა

შემოდგომის სტადია

#### ა ჯგუფი

I ტური. 5.09. ცაგერი (!!). ქუთაისის აია-ვეი 5 (5) (ლ: ჩუბინიძე) — ქორები 15 (8) (2ლ: ცქიტიშვილი, ალანია; გ, ს: კვინიხიძე). მსაჯი გოჩა აბაშიძე

6.09. ვაკე: ყოჩები 25 (12) (ლ: მხეიძე; გ, 6ს: კობახიძე) — გუმარი 19 (12) (3ლ: ბესელია, კიზირია, ჯანელიძე; 2გ: მოდებაძე). მსაჯი ნოდარ რობიტაშვილი

6.09. ავლაბარი: ასკ 10 (0) (ლ: კილაურიძე; გ: აბუსერიძე; ს: ძამიაშვილი) — რუსთავის აზოტი 14 (0) (2ლ: აფციაური, ძონენიძე; 2გ: ე. ძაგნიძე). მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი

II ტური. 9.09. ქყონდიდლის დასახლება: აზოტი 10 (3) (ლ: ჩიქვინიძე; გ და ს: ძაგნიძე) — გუმარი 29 (16) (2ლ: ჯანელიძე, ბუგიანიშვილი; 2გ, 5ს: მოდებაძე). მსაჯი ნარიმანაშვილი

10.09. ავლაბარი: ასკ 0 — აია-ვეი 17 (17) (2ლ: სოფრომაძე; 2გ, ს: შერვაშიძე). მსაჯი რობიტაშვილი

50-ე წუთზე ჭარისკაცთა სათადარიგო მოთამაშე შეება ქუთაისელ თანმსაჯს, რის გამოც ლიანგური მუშტი-კრივი გაიმართა. მოჩხუბართა დაშოშმინების შემდეგ კომისარმა რამაზ ბერაძემ თამაშის განახლება მაინც შეუძლებლად მიიჩნია

| ა ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 14 | 13 | 1 | 0 | 378:158 | 44-15 | 27 |
| აზოტი (რ) | 14 | 11 | 1 | 2 | 275:143 | 35- 8 | 22 |
| ქორები | 14 | 8 | 0 | 6 | 267:188 | 30-19 | 16 |
| აია-ვეი (ქ) | 14 | 7 | 0 | 7 | 209:225 | 26-23 | 13 |
| გუმარი | 14 | 5 | 0 | 9 | 244:247 | 28-24 | 8 |
| ასკ | 14 | 3 | 0 | 11 | 154:355 | 19-54 | 6 |

#### ბ ჯგუფი

7.09. ვაკე: შევარდენი 55 (21) (9ლ, 5გ) — თბილისი 11 (3) (ლ, 2ს); უნივერსიტეტ-ლელო 27 (22) (4ლ, 2გ, ს) — დინამო 13 (3) (2ლ, ს)

| ბ ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 7 | 7 | 0 | 0 | 155: 25 | 24- 2 | 14 |
| უნივერსიტეტ - ლელო | 7 | 2 | 2 | 3 | 100:133 | 9-14 | 6 |
| დინამო | 7 | 2 | 2 | 3 | 71:107 | 7-10 | 5 |
| თბილისი | 7 | 1 | 0 | 6 | 69:130 | 4-18 | 0 |

# ბიჭები წავიდ-წამოვიდნენ

გაილია ზაფხულის არდადეგები. განახლდა საშინაო პირველობა. ლიდერმა „ყოჩებმა“ მორიგი ორი თამაშიც მოიგო და მდევრებს მეტად დაშორდა. ეს იმის საწინდარია, რომ პრეზიდენტ თემურ გაფრინდაშვილის, მწვრთნელ ლაშა გეგენავასა და მოთამაშე-თანამსაჯ მალხაზ ჭეიშვილის შეგირდები პლეი-ოფის ორივე წრეში შინ — ვაკეში ითამაშებენ.

არდადეგებზე გუნდები გადახალისებულან. ბიჭები წავიდ-წამოვიდნენ. „ყოჩებს“ გაეროს წარმომადგენლობიდან დაუბრუნდა 32 წლის გია ფერაძე და მოედანზე პირველი ტაიმი დაყო. ძლიერ იზარალა რუსთავის გუნდმა: გია რაფავა საფრანგეთში მიბრუნდა და ლევან ცაბაძემაც იქეთ გაუტია.

ახალ ზელანდიაში რომ დასრულებულა საშინაო საკლუბო სეზონი, ამისი წყალობით სამხრეთი ქენთებრიდან სამშობლოში მოგვიბრუნდა ნაკრების ორი მორკინალი: ალეკო ლიბრაძე — „ქორებში“, ზურაბ მჭედლიშვილი — „გუმარში“. მის გამო ნაკრების მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ გვითხრა, ზელანდიაში სტაჟირება სასწაულად მოხდენიაო. აკი „გუმარმაც“ სტუმრად ძლია „აზოტი“ და ალბათ კიდევ ბევრს გაამწარებს, მაგრამ უწესრიგობის გამო ერთბაშად 4 ქულა რომა აქვს დაკლებული, საპლეიოფო ოთხეულში მოხვედრა უნდა გაუჭირდეს.

თვითმხილველნი ამტკიცებენ, „ყოჩებისა“ და „გუმარის“ ერთი კვირის წინდელი მატჩი იშვიათი სანახაობა იყო, თან ერთბაშად ოთხი ლელო გავიდაო. თუ ამგვარი შეფასება უტყუარია, ამას რა ჯობს, მით უფრო, თუ ჩვენს ნარჩევ-ნარჩევ ბიჭებს ანუ „ბორჯღალოსნებს“ ოქტომბერში მსოფლიო თასის ორი შესარჩევი თამაში ელით: 12 ოქტომბერს თბილისში — ხორვატიასთან, ერთი კვირის შემდეგ კი — უკვე დანიაში.

გუშინწინდელ თამაშზე იგივე ვერ ითქმის. მასში მოსაწონი არაფერი იყო — მოედნის

| 11.09. ვაკე | | |
|---|---|---|
| ყოჩები | 36:27 | ქორები |

(12:6). მსაჯი (დრო) რამაზ სანებლიძე (89 წუთი)

ყოჩები — 5ლ: ლიპარტელიანი (19), საკანდელიძე (23), ტეფნაძე (46), ტყეშელაშვილი (68), გიორხელიძე (80); 4გ (-19) და ს (57): კობახიძე

ქორები — 3ლ: ალანია (52), ჯგუფური (71), ჩხენკელი (87); 3გ და 2ს (34, 38): კვინიხიძე

გაწყობით დაწყებული და რაგბის დონით დამთავრებული. და კიდევ, „ქორმა“ ირაკლი სიხარულიძემ მძიმე ტრავმა მიიღო — ლავიწი ჩაუტყდა. ამის გამო მატჩის ბოლოს თამაში კარგა ხნით შეჩერდა.

„ყოჩებმა“ წელს მესამედაც დაამარცხეს „ქორები“. 20 ივნისს ლელო საერთოდ არ გასულა, 29 ივლისს მეტოქეებმა ორ-ორი გაიტანეს, აი 11 სექტემბერს კი ერთბაშად 8 ლელო აღინუსხა, მაგრამ რად გინდა — მათი უმეტესობა ან უბრალო შეცდომების შედეგი იყო, ანაც მცველებმა მოიერიშე მონუსხულებმავით გაატარეს. ამის აღნიშვნა ლელოს გამტანებს, რა თქმა უნდა, ვერ გაახარებთ, მაგრამ მწარე სიმართლეს სად წაუხვალ?

ზაზა ფხაკაძე




– საიუბილეო, X შვიდკაცა გაიმართება.

თითქო ბოშათა ბანაკიაო, ჩვენი რაგბის გუნდები და მათი მცირერიცხოვანი ქომაგნი შეესევიან ტრიბუნებს, მოედანს, მძლეოსნობის სექტორსა და სრულიად სტადიონის შემოგარენს. გაჩაღდება ალალი, ჩვენი რაგბის კვალობაზე არც მთლად ურიგო, ზოგჯერ ამაღელვებელი, ზოგჯერაც კი მთლად გულის გამაწვრილებელი ბურთაობა, რომელშიც ვინ ვის აჯობებს, კაცმა ძნელად რომ წინდაწინ გამოიცნოს — დიდ რაგბში დადგენილ უფროს-უმცროსობას შვიდკაცა, რაგბის ეს თავშესაქცევი სახეობა, ხომ არა ცნობს!

ბოლო ჟამს ასეა, რომ ამა თუ იმ შეჯიბრში თუ რომელი ქართული გუნდები იასპარეზებენ, ზედ სტარტის წინლა ირკვევა ხოლმე. თუმც პარასკევს რაგბის კავშირმა სავარაუდო მონაწილეთა შეკრება დანიშნა, გამორიცხული სულაც არაა, რომ ტურნირის მონაწილეთა სია და გათამაშების სისტემაც შეიცვალოს. ისიც მოსალოდნელია, რომ შეჯიბრი მთლად დათქმულ დროს ვერ დაიწყოს და განრიგს ან ჩამორჩეს, ანაც გაუსწროს.

და მაინც, შეჯიბრი უსიკვდილოდ გაიმართება და მორიგ გამარჯვებულსაც გამოავლენს. ისიც სათქმელია, რომ ჩვენში შვიდკაცა მაინცდამაინც პატივში ვერაა. ამად იყო, შარშან, მისი მსოფლიო თასის ლისაბონის შესარჩევში „ბორჯღალოსნებმა“ კრახი რომ იწვნიეს.

რა გველის ოთხი წლის თავზე, შემდეგ მსოფლიო თასზე? — მისკენ სვლას ქართველი მეშვიდკაცეები ხვალ, ვაკეში იწყებენ.

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29